„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე



# ლიტერატურული მესხეთი

№9 (225)
სექტემბერი
2017 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეცხრამეტე წელი "LITERATURULI MESKHETI" "ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"

# ანალოგიები, — ფილოსოფიური დასაბუთება „ვეფხისტყაოსანში,“ კოსმოლოგიური წესრიგის მიმართება შემეცნებასთან

**გიორგი შავგულიძე**

როგორი იყო cogito - ს მიმართება საგანთა ყოფიერების წესისადმი რუსთაველის ეპოქაში და ის კოსმოლოგიური ხედვა, რამაც სამყაროში არსებულ „სიტყვებსა“ და „საგნებს“ შორის მიმართება განაწესრიგა? (cogito - ს თანამედროვე მეცნიერული (პოსტსტრუქტურალისტური) გაგება აუქმებს დეკარტისეულ ცნობილ გამოთქმას. ცნებაში იგულისხმება შემმეცნებელი სუბიექტის მიმართება მისი ეპოქისათვის დამახასიათებელი სააზროვნო წესრიგისადმი) როგორ აისახა „ვეფხისტყაოსანში“ ფილოსოფიური აზრი და რამდენად მართებულია, რომ მხატვრულ ნაწარმოებში იდეის განსახიერებაზე ვიმსჯელოთ, თუ აღნიშნული მეცნიერების სპეციფიკიდან გამომდინარე, არ იქნება წარმოდგენილი დასაბუთების ის ფორმა, რომელიც მხატვრულ სიტყვაში შენივთდა. ამასთანავე, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფილოსოფია ყოველთვის და ყველგან ცნებათა სისტემაა, წარმოდგენილი, დასაბუთებული და ლოგიკურად სისტემატიზებული მსოფლმხედველობით, და თუ ეს არ იქნა გათვალისწინებული, წაიშლება ზღვარი, ერთი მხრივ, ფილოსოფიასა და, მეორე მხრივ, რელიგიას, მითოლოგიასა და მხატვრული სახეებით გამოხატულ მსოფლმხედველობას შორის. ფილოსოფიის სპეციფიკას დასაბუთება წარმოადგენს.

რუსთაველი, პირველ ყოვლისა, პოეტია და მისი ინტერესი ფილოსოფიისადმი პირდაპირი, უშუალო მიზნით არ არის განსაზღვრული. მის მთავარ მიზანს სინამდვილის მხატვრული ასახვა, მხატვრული განზოგადება შეადგენს და თავის მსოფლმხედველობას მხატვრული აზროვნების საშუალებით გამოხატავს; პოეზია სიბრძნის დარგად მიაჩნია და მხატვრულ განზოგადებას სამყაროს ფილოსოფიურ მოაზრებასთან ერთად ახდენს.

თუმცა საკითხის ამგვარი გაგება მკვლევართა გარკვეულ ჯგუფს უბიძგებდა — პოეტის მიერ დანახული სამყაროს ფილოსოფიური გააზრება ერთიმეორის გამომრიცხავი, ზერელე და არაადეკვატური, ჭეშმარიტი ფილოსოფიური განსჯისათვის შეუთავსებელი მოძღვრებებით წარმოედგინა. ასე მაგ., სამყაროს ოთხი ელემენტის თეორია ჯერ კიდევ ინდურ ფილოსოფიაში იყო ცნობილი, ამიტომ ნესტან-დარეჯანის წერილში ასახული ცოდნა ამ თეორიისა ინდოეთიდან მომდინარეობდა: *„რომელი ფილოსოფიური დოქტრინა შეიძლებოდა სცოდნოდა ინდოეთის მეფის ასულს, თუ არა ინდური?!“* ვინაიდან კატაფატიკური და აპოფატიკური თეოლოგია ცნობილი იყო უპანიშადებისათვის, ამდენად, რუსთაველის ფილოსოფიური წყაროები ინდურ ფილოსოფიაში უნდა ვეძიოთ და ა. შ.

რუსთველისეული სამყაროს ფილოსოფიურ გააზრებას საკმაოდ მყარი თეორიული საფუძვლები გააჩნია მისი წინამორბედი თანამემამულეების — **იოანე პეტრიწის, ეფრემ მცირის** თუ **ფსევდო-დიონისე არეოპაგელის** მოძღვრებათა სახით. იოანე პეტრიწის შემდეგ ფილოსოფია, როგორც დასაბუთებული მეცნიერული მსოფლმხედველობის ძიება, ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილი ხდება და, ცხადია, არც რუსთაველისთვის უნდა იყოს უცხო, როგორც განსჯის, დასაბუთებისა და ჭეშმარიტებათა დასკვნის ხელოვნება. მით უფრო, რომ შუა საუკუნეების ეპოქის მთელი ფილოსოფიური აზროვნება საქართველოში ანტიკური ფილოსოფიით იკვებება. ანტიკურ ფილოსოფიურ მოძღვრებათა შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდათ **პლატონის, არისტოტელეს** ნააზრევს, ნეოპლატონიზმს. არ შეიძლება არ დაეთანხმო რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის მკვლევრის — **შალვა ხიდაშელის** აზრს, რომლის თანახმად: *„ვინც იცნობს შუა საუკუნეების ქართულ ფილოსოფიურ ვითარებას და მისი შესწავლის დღევანდელ დონეს, მისთვის ისიცაა ცხადი, რომ აქ ნეოპლატონიზმს განსაკუთრებული მდგომარეობა ჰქონდა მოპოვებული და, კერძოდ, რუსთაველის ეპოქაში ორი მნიშვნელოვანი მოძღვრების სახით იყო წარმოდგენილი: არეოპაგიტიკისა (ფსევდო-დიონისე – პეტრე იბერი – ეფრემ მცირე) და პეტრიწის სახით. ორივე პროკლეს მოძღვრების საფუძველზე იყო აღმოცენებული და ანტიკური ფილოსოფიის ამ ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნის ქრისტიანულ გადამუშავებას წარმოადგენდა“.*

ჩვენი აზრით, მართალია, ეს უტყუარი ფაქტი წინასწარ განსაზღვრავს მეცნიერის კვლევის ორიენტაციას, როდესაც საქმე რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის გარკვევას ეხება, მაგრამ, ამასთანავე, დასადგენია ის იდეური ანალოგიები, რომლებიც პეტრიწისა და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ფილოსოფიასთან მიმართებაში თავს იჩენს, გამოსჭვივის და მჟღავნდება წინარექრისტიანული პროტოქართულ, პროტოიბერიულ კულტურულ იდეურ ძირებთან კავშირი. ამასთან ერთად, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსთველოლოგიურ კვლევებში დღემდე არ არის მითითებული „ვეფხისტყაოსნის“ ფილოსოფიურად დასაბუთებული და ლოგიკურად სისტემატიზებული, ფილოსოფიური მსოფლმხედველობა მსჯელობათა სისტემაში დასკვნის რომელ ფორმას ემყარება.



ლიტერატურასა და ხელოვნებაში ფილოსოფიის მხოლოდ ასახვაა შესაძლებელი, სადაც მისთვის დამახასიათებელი აზრობრივი სიღრმეები ერთი ან რამდენიმე ფილოსოფიური დასკვნის ფორმებზე მიგვანიშნებს. რუსთაველი მხატვრულ ნაწარმოებში ფილოსოფიის გამოყენების ნიმუშს იძლევა, სადაც პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი„–ს პეტრიწისეული კომენტარების საფუძველზე შესაძლებლობა გვეძლევა, განვსაზღვროთ ანალოგიის, როგორც მეთოდის, თავისებური გამოვლინება, რომლის დროსაც, მისი ბუნებიდან გამომდინარე, პეტრიწი წარმოაჩენს ანალოგიისათვის დამახასიათებელ მსგავსებისა და განსხვავების შინაგან კავშირს, რამაც შემდგომ ასახვა პოვა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“.

ანალოგია დასკვნის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც, განსხვავებით ინდუქციისა და დედუქციისაგან, საშუალებას იძლევა, გარკვეული ცოდნა მივიღოთ ისეთი საგნის შესახებ, რომელიც უშუალო შესწავლის ობიექტი არ არის. შემეცნების ობიექტთან მიმართებაში დასკვნის ამგვარი ფორმა ემყარება საგნის შედარებით მიმართებას სხვა ჩვენთვის ცნობილ საგნებთან.

ვიდრე ანალოგიის პეტრიწისეულ გაგებას შევეხებოდეთ, რომელმაც შემდგომ რუსთაველთან პოვა ასახვა, განვიხილავთ ანტიკური და შუა საუკუნეების ფილოსოფიაში არსებულ ანალოგიის გენეზისს, რამაც გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ევროპის ფილოსოფიური აზროვნების ეპოქალურ ცვალებადობაზე; ანალოგიის, როგორც მეთოდის, პეტრიწისეული გაგება ხომ მთელი ასი წლით უსწრებს ევროპის ფილოსოფიურ აზროვნებაში აღნიშნული მეთოდის დამკვიდრებას.

ანალოგია თავისი წარმოშობით მათემატიკური ცნებაა. იგი პითაგორელთა სკოლაში წარმოიშვა და ისინი მათემატიკური ანალოგიის სამ სახეზე მიუთითებენ: არითმეტიკულზე მაგ., (10 – 6 = 6 – 2); გეომეტრიულზე (8 – 4 = 4 – 2) და ჰარმონიულზე, რომელიც გეომეტრიულისა და არითმეტიკულის ნაზავს წარმოადგენს (6 – 4 – 3) – მომდევნო წინაზე ნაკლებია ერთი მესამედით.

ფილოსოფიურ ტექსტებში ანალოგია პირველად გვხვდება პლატონის „ტიმეოსში“ და „სახელმწიფოში“. „სახელმწიფოში“ მოცემულია ცნობილი ანალოგია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შუა საუკუნეების ფილოსოფიაში. სიკეთის იდეის რაობის გასაგებად პლატონი მას ადარებს მზეს ხილულ სამყაროში: სიკეთემ მზე საკუთარ თავის მსგავსად წარმოშვა – წერს პლატონი, რაც სიკეთეა გონებით საწვდომ სფეროში, გონებისა და გონებით საწვდომთან მიმართებაში, იგივე იქნება ხილულ სამყაროში მზე. ამასვე ბრძანებს რუსთაველი, რომელიც შესატყვისობაშია პლატონისეულ ანალოგიასთან:

*„ასმათ თქვა: „ღმერთო, რომელი არ ითქმი კაცთა ენითა,*
*შენ ხარ სავსება ყოველთა, აგვავსებ მზეებრ ფენითა“.*

ღმერთის აქ მოცემული მოაზრება წარმოდგენილია, როგორც „სავსება ყოველთა“ სიკეთისა და მისი მიმართება სამყაროსადმი, როგორც „მზეებრ ფენა“. ამგვარად, წარმოდგენილ სტროფში ანალოგიის გარკვეულ ფორმასთან გვაქვს შეხება, რომლის ახსნას აღნიშნულ ფორმათა გარკვევისას შევეცდებით.

როგორც ვხედავთ, პლატონის „სახელმწიფოდან“ წარმოდგენილი ანალოგია რუსთაველის მოტანილ სტროფთან ეჭვს არ იწვევს. ღმერთი, როგორც „სავსება ყოველთა“ სიკეთისა და „მიმფენელი“ („მზეებრ ფენითა“) წარმოადგენს ზუსტ ანალოგიას სამყაროსთან მიმართებაში.

„ტიმეოსში“ პლატონი ანალოგიას უწოდებს იმ კავშირთა შორის უმშვენიერესს, რომელთა საშუალებითაც სამყაროს დემიურგი ქაოსიდან ქმნის კოსმოსს, როგორც ერთიან ცოცხალ არსებას. ამასთანავე, ანალოგია პლატონთან ღებულობს წმინდა გნოსეოლოგიურ მნიშვნელობასაც. არსება ისეთსავე მიმართებაშია ქმნადობასთან, ამტკიცებდა იგი, როგორც აზროვნება – შეხედულებასთან.

პლატონის ფილოსოფიასთან მიმართებაში, წარმოდგენილი დებულების სრული და უზუსტესი ასახვაა რუსთაველის პოემის დასაწყისი, სადაც ანალოგიის ფილოსოფიურად აღქმის პრინციპით არის სამყარო დახატული:

*„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,*
*ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,*
*ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,*
*მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“.*

ანალოგიის მიხედვით, ღმერთისა და სამყაროს გარკვეული გაერთიანება ზემოაღნიშნულ პოეტურ სტროფში, როგორც რუსთაველთან გვაქვს წარმოდგენილი, არის სქოლასტიკის მამათა მიერ პლატონის იდეათა ორიგინალური ინტერპრეტაცია და, თუ ვერწმუნებით სქოლასტიკური ფილოსოფიის მკვლევრებს, ანალოგიის ამგვარი გაგება ევროპულ ფილოსოფიურ აზროვნებაში XIII საუკუნის დასაწყისამდე არ გვხვდება.

პეტრიწი, როგორც პროკლეს („კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“) კომენტატორი, ბერძნულ ტექსტში არსებულ ტერმინს („analogie“) იყენებს, როგორც შემეცნების მეთოდს, დამყარებულს ორი თვისებრივად განსხვავებული სფეროს წევრებს შორის მიმართებათა მსგავსებაზე, და მათ თარგმნის სიტყვებით: ***რაზამოზაი, რაზამი, შესაზამი***. (*სულხან–საბა ორბელიანის ლექსიკონში ტერმინები შეტანილია განუმარტავად*).

ამდენად, ჩვენ გვეძლევა შესაძლებლობა პეტრიწის კომენტარების დისკურსიის საფუძველზე განვსაზღვროთ შუა საუკუნეების ქართული აზროვნებისათვის დამახასიათებელი ეპისტემოლოგიური ველი, რაც წარმოადგენდა ეპოქის ნიშანდობლივი ცოდნის (სამყაროს შემეცნების, მეცნიერების, ფილოსოფიის) ერთობლიობას და მასთან ერთად ღმერთისა და სამყაროს წესრიგის მიმართებას შემეცნებასთან. ეპისტემეს ცნებაში ფრანგი ფილოსოფოსი **მიშელ ფუკო** გარკვეული, ერთი რომელიმე ეპოქის რეპრეზენტული აზროვნების საყრდენების ძიებას გულისხმობს და, სიტყვისა და საგნის მიმართებიდან გამომდინარე, ეჭვს არ იწვევს, რომ ანალოგია შუა საუკუნეების ქათულ ფილოსოფიურ აზროვნებაში და მათ შორის რუსთაველის შემოქმედებაში სამყაროსა და ღმერთის მიმართების გაგების ყველა მოდალობაში იგულისხმება. მათი მჭიდრო კავშირით სურდა პეტრიწს აეგო „ღმრთისმეტყველებაი ნივთისაგან მიუხებელი“.

ნებისმიერ ისტორიულ ეტაპზე „სიტყვა“ შეესაბამება „საგანს“, რის საფუძველზეც მიშელ ფუკო („სიტყვები და საგნები“) მიმოიხილავს ევროპის კულტურას და არსებითი ნიშნების გამოყოფით წარმოგვიდგენს სამ ეპისტემეს: რენესანსის (XVI ს.), კლასიკურს (რაციონალიზმი XVII – XVIII სს.) და თანამედროვეს (XVIII – XX სს.). ფუკოს თვალსაზრისით, ევროპის რენესანსულ ეპისტემეში, რომელსაც წინ უსწრებს ქართული რენესანსი რამდენიმე საუკუნით, წესრიგის კრიტერიუმია მსგავსება. სიტყვა და საგანი მსგავსია, კავშირი უშუალოა და ურთიერთმონაცვლე, ზეცა დედამიწის სარკეა და დედამიწა –ზეცისა, რაც ხორციელდება „სიტყვა–სიმბოლოებით“. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ მთლიანად სიტყვა-სიმბოლოთა ნაკადია: ტარიელის საძებრად ველად გაჭრილ ავთანდილს ***„უჩნდის ქვეყანა ტახტად და მკლავი სადებლად თავისად“***. შუა საუკუნეების ეპისტემოლოგიურ კონფიგურაციაში ცოდნა ინტერპრეტაციაა იმისა, რასაც ადამიანი საგნებში ხედავს და მსგავსების ფორმათა მეშვეობით სიმბოლო-ნიშნებად გარდაქმნის. ენა, როგორც სამყაროს ენა, თანაზიარია სამყაროსი და სამყარო – ენისა; ენასა და სამყაროს შორის უშუალო კავშირია. სამყარო არის ენა ფართო გაგებით, რომლის კოსმოლოგიური ცნობიერება ღვთაებრივ საწყისს შეესაბამება. ***„პირველთაგან იყო სიტყუაი, და სიტყუაი იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაი იგი“*** (*ახალი აღთქუმაი, სახარებაი იოვანესი, თავი I.1; 2; 3;*). ღმერთის ქმნადობით, ენა და სამყარო ურთიერთ ღრმა თანაზიარობას განიცდის. ენა სხივია, ემანაციაა ღმერთისა, ***„ვითარ, თუალი მზისაი შარავანდედთად“***.

ბიბლიის თანახმად, ***„ღმერთმა ადამიანი შექმნა ხატად და მსგავსად თვისსა“***. გამომდინარე აქედან, ქმნილსა და მის შემოქმედს შორის აუცილებლობით განთავსდება არა იგივეობის, არამედ მსგავსების ნიშანი. ის, რასაც ადამიანი ეწოდება, არის მსგავსი ღვთაებრივისა და, ამდენად, მსგავსმა მსგავსი უნდა შეიმეცნოს, სხვაგვარად შემეცნება ვერ განხორციელდება. წარმოდგენილი თეზისი ნეოპლატონური ფილოსოფიის გნოსეოლოგიური თეორიის ქვაკუთხედია. მსგავსება, უდაოდ, სხვა არაფერია, თუ არა მინიშნება ერთი საგნისა მეორეზე, ნიშანი არ არსებობს მსგავსების კატეგორიის გარეშე.

მსგავსება (ფუკოსეულ მხატვრულ განზომილებაში) სამყაროს დიდი, მდუმარე სარკეა, რომელიც მიგვანიშნებს და მინიშნებით გვესაუბრება, — იგი არის სვლა ხილული აღნიშვნიდან იმისაკენ, რაც თავისთავს მისი (აღმნიშვნელის) მეშვეობით ცხადყოფს. ფუკოს განმარტებით, მსგავსება-ანალოგიამ, როგორც დასკვნის სახემ, განსაკუთრებული როლი შეასრულა XVI საუკუნემდე დასავლური კულტურის ცოდნის მშენებლობაში და წარმოადგენს ევროპის რენესანსული ეპოქის ეპისტემეს. მან ***„ჩამოაყალიბა სიმბოლოთა თამაში, შესაძლებელი გახადა ხილული და უხილავი საგნების შეცნობა, უძღვებოდა მათი წარმოსახვის ხელოვნებას, მიწა იმეორებდა ცას, სახეები აისახებოდა ვარსკვლავებში, ხოლო ბალახი თავის***

გაგრძელება მე-2 გვ. ▶

# ანალოგიები, — ფილოსოფიური დასაბუთება „ვეფხისტყაოსანში,'' კოსმოლოგიური წესრიგის მიმართება შემეცნებასთან




◀დასაწყისი გვ. 1

*ღეროში ფარავდა ადამიანისათვის სასარგებლო საიდუმლოებებს, ფერწერა სივრცის იმიტაციას ეწეოდა და წარმოდგენა – ზეიმს ეხებოდა ეს თუ ცოდნას – გამეორებად გამოდიოდა: ცხოვრების თეატრი, ან მსოფლიოს სარკე – აი, როგორ სახელებს არქმევდნენ ენას, საკუთარი გამოხატვის ენობრივ მანერას და გამოხატვის – მეტყველების – უფლების ფორმულირებას*“.

პეტრიწის ფილოსოფიური შეხედულებანი ძალიან ახლოს მივიდა ამგვარ გაგებასთან და კომენტარებში ვხვდებით ანალოგიის გზით დასკვნათა მთელ სისტემას: არსის ანალოგიას, შესატყვისობის ანალოგიას, მეტაფორას ანალოგიის მიხედვით.

არ იქნებოდა მართებული, პეტრიწის ფილოსოფიაში წარმოდგენილ დასკვნათა სისტემებს მხოლოდ და მხოლოდ პლატონისა და ნეოპლატონური ფილოსოფიიდან მომდინარე გავლენის შედეგად ჩამოყალიბებულ თეორიად თუ განვიხილავდით; საყურადღებოა ასევე ადრექრისტიანული, პროტოიბერიული, ქალდეური ასტროლოგიური შეხედულებანი. ასტროლოგიას, როგორც ცოდნას, საფუძლად უდევს საგანთა შორის ანალოგია-მსგავსების წესი, რომლის ორიგინალურ ასახვას „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს. ასტროლოგიის თანახმად, ზეცა დედამიწის სარკეა და დედამიწა – ზეცისა; ისინი ერთმანეთს ირეკლავენ და მათ შორის კავშირი მსგავსება-ანალოგიის მიხედვით მყარდება. მზე დადის ცარგვალზე, გადადის ციდან ცაზე, იცვლება წლები, კოსმიურ გზაზე ეგებებიან ვარსკვლავები და თან მიყვებიან მზეს; მიწამ კი უნდა დახატოს და გამოსახოს ყოველივე ის, რაც ზეცაშია. შთაბეჭდილების, გახსენების, წარმოსახვის, მეხსიერების ეს ძალაუნებური ანალიზი ხატის დროში მოგზაურობის არსებობის ერთგვარი მექანიკაა, ქალდეველთა ისტორიიდან მოყოლებული, ერთსა და იმავეს რომ იმეორებს, ირეკლავს და გამოხატავს მზის, მთვარისა და ვარსკვლავების მოძრაობას, სამყაროს მთლიანობას, რომლის ცენტრი ლოგოსია. იგი დღემდე სვანური კოშკების ფერხთით უნდა აღსრულდეს ყოველი შობის ღამეს ცისკრის ჟამს „ო, ლილეს“ შეძახილით ფერხულში ჩაბმულთა მიერ. იგი ასევე ქართულმა საცეკვაო ხელოვნებამ უნდა გამოსახოს ქალისა და მამაკაცის წრეში მოძრაობით. ვასილ **ამაშუკელის** სინემატოგრაფი კიდევ ერთხელ და სამუდამოდ დააფიქსირებს (1912 წ.) სამყაროს კოსმოლოგიური წესრიგის მიწიერ ჰარმონიასთან მიმართებას – მხცოვან პოეტთან ფერხულში ჩაბმული საუკუნის რაჭველები აკაკის რომ შეჰხარიან, მშვენიერება ქვეყნიერებასა და ზეცას შორის მოექცევა, ფერხული ირეკლავს ზეცის ცარგვალს და ეხმიანება რუსთველისეულ კოსმოგონიას. არასოდეს აკლდა ქართულ ფოლკლორს, მწერლობასა და პოეზიას მზისადმი მიძღვნილი საგალობლები. რუსთველის შემოქმედება სამყაროს პროზად ყოფნის ნიმუშია შორეული წარმართობიდან მომავალი მზის კულტი რომ აცისკროვნებს და ქალის კულტთან არის შეწყვილებული: ***„მზე დედაა ჩემი, მთვარე მამაა – ჩემი, ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები დაძმებია ჩემი“.*** წარმართობიდან დღემდე, ჟამიდან ჟამამდე იმეორებს ქართველი ამ სიტყვებს და რუსთველის გმირების დარად ზნესრულობისკენ სწრაფვა მზისკენ სწრაფვაზე ნაკლები როდია, როგორც სინათლის, სიკეთის, უბიწობის ხატისადმი. ქართველს მზის შვილად მიაჩნდა თავი, მზისგან დაფერილ ვაზს ეალერსებოდა და სურდა მზეებრ ნათელნი და მართალნი ყოფილიყვნენ რომ მრავალგზის გამეორებით ეთქვა: „მზე დედაა ჩემი“... ***„საწყისი არის ის, რაც გამუდმებით განახლდება, გამეორდება, რომლისკენაც მიილტვის აზრი, დაბრუნება იმისა, რაც ერთხელ მაინც დაწყებულა, სიახლოვე სინათლისა, ოდითგანვე რომ ხილული იყო“.*** რა გამეორდება?! გამეორდება ის, რაც სამყაროს მსგავსია, სხვა – ვერა. მყარდება ნათესაობა ანალოგიათა საფუძველზე ზეციურ სხეულებსა და ადამიანებს შორის – ნაწილსა და მთელს შორის მსგავსებაა.

შუა საუკუნეების ეპისტემოლოგიურ ველში ასტროლოგიას მეცნიერული ცოდნის ადგილი უკავია. იგი სამყაროში არსებული წესრიგის გაზომვადობის ერთადერთი უნიკალური ხერხია და ანალოგიათა საფუძველზე კოსმიურ წესრიგს განავრცობს მიწაზე. ნეოპლატონიზმმაც სწორედ ამავე იდეების გამო ვერ თქვა უარი ასტროლოგიაზე, რადგან მიაჩნდათ, ***„ცაში ყველაფერი ისეა, როგორც სულდგმულში, შესაძლოა, შეიცნო ერთი ნაწილი მეორის წიაღში“***. მნათობები სარკეებია, რომლებიც არეკლავენ ღვთაებრივ ფიქრს და აზრს, მნათობთა ასტროლოგიური პოზიციები და ურთიერთობები განიხილება, როგორც ღვთაებრივი ნაწერი ასტროლოგიის და ის არის შუა საუკუნეების ცოდნა სამყაროს წესრიგზე. იგი სამყაროში არსებული ჰარმონიის გაზომვადობისა და მისი შემეცნების წესია. მისი ამოცანაა ამოკითხვა იმ ღვთაებრივი ნაწერისა, რომელიც იშიფრება ანალოგიათა და ანალოგიაში არსებულ მსგავსება –განსხვავებათა საფუძველზე.

რუსთაველი კარგად იცნობს თავის თანამედროვე ასტროლოგიურ სისტემას და ტერმინოლოგიას. ავთანდილის ლოცვის ყველა დეტალი, ყველა სიტყვა ასტროლოგიურია. გმირი მიმართავს შვიდივე მნათობს და თითოეულ მათგანს აძლევს ისეთ დავალებას, რაც, ასტროლოგიური შეხედულებით, ამ მნათობს შეეფერება:

***„აჰა, მმოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემოწმებიან:***
***მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან,***
***მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მოწმად მყვებიან.***
***მას გააგონებ, რანიცა ცეცხლნი უშრეტნი მდებიან“.***

ყველაზე ძველი ქართული ხელნაწერი, რომელშიც გადმოცემულია ასტროლოგიური ცოდნა და არა ასტრონომიული, (ზოგჯერ, მკვლევრებთან შუა საუკუნეების ასტროლოგიური ცოდნა განიხილება, როგორც ასტრონომია, რაც არამართებულია. ასტრონომიის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბებას წინ უძღოდა ასტროლოგიური ცოდნა ციურ სხეულებზე. როგორც ხშირად არამართებულად მიუთითებენ მკვლევრები, სინური მრავალთავის სახელით არის ცნობილი და განეკუთვნება IX საუკუნეს *(გამოიცა 1960 წელს მზექალა შანიძის რედაქტორობით).* შუა საუკუნეების ქართული მწერლობისთვის უცხო არ არის ასტროლოგიური ცოდნა, რასაც გვიდასტურებს ძველი საეკლესიო ფონდის უნიკალური ხელნაწერი, რომელიც 1188 წლით თარიღდება და ეწოდება „ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის“ *(დაამუშავა და ცალკე წიგნად გამოსცა აკადემიკოსმა **აკაკი შანიძემ** 1975 წელს).* ტრაქტატი სამი ნაწილისაგან შედგება, დაწერილია ნუსხა-ხუცურით, მოცემულია მთვარის კალენდარი და დახასიათებულია შვიდი მნათობი ქართული სახელებით: ზუალი – სატურნი, მუშთარი – იუპიტერი, მარიხი – მარსი, მზე, მთიები – ვენერა, ოტარიდი – მერკური, მთოარე.

თამარის მეფობისას გადაწერილ ამ ხელნაწერს კარგად რომ იცნობს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, ცხადი ჭეშმარიტებაა; ჭეშმარიტებაა ისიც, რომ შუა საუკუნეების ქართული ისტორიის ხატი და მოწოდებაა სამყაროს კოსმიური ხედვის წესთან და წესრიგთან მიმართება. მასვე ექვემდებარება პოეტური სიტყვა და, საერთოდ, ლიტერატურა. ცოდნა ინტერპრეტაციაა იმისა, რასაც ადამიანი საგნებში ხედავს და ასტრალურ სხეულებთან მიმართებაში მსგავსების ფორმათა მეშვეობით სიმბოლო-ნიშნებად გარდაქმნის. ეს არის სვლა ხილული აღნიშვნიდან იმისაკენ, რაც თავისთავს მისი (აღმნიშვნელის) მეშვეობით ცხადყოფს.

თუ ამ თვალსაზრისით გავიაზრებთ „ვეფხისტყაოსანს“, დავრწმუნდებით, რომ ამგვარად გაგებული ასტროლოგიით რუსთაველი აღიარებს სამყაროს კოორდინირებული აგების პრინციპს. ამ პრინციპის მიხედვით, ყველაფერი ეთანხმება, განაპირობებს ერთმანეთს და წარმოადგენს მსგავსება-ანალოგიათა დასკვნის შედეგს:

*„... მადლი ღმერთსა, შემოქმედსა,*
*არსთა მხადსა,*
*ვისგან ძალნი ზეციერნი*
*განაგებენ აქა ქმნადსა,*
*იგი იქმენ ყველაკასა,*
*იდუმალსა, ზოგსა ცხადსა;*
*ხამს ყოვლისა დაჯერება,*
*ბრძენი სჯერა მოწევნადსა“.*

შევეცდებით ავღწეროთ, სქემატურად მაინც, თუ როგორი მიმართება აქვს რუსთაველის მიხედვით სამყაროს წესრიგს „ძალნი ზეციერნს“ ზოდიაქოს ნიშნის თანახმად, „აქა ქმნადდთან“. ასტროლოგიურ სწავლებაში მზეს უპირველესი ადგილი უჭირავს, იგი მნათობთა დასის მეთაურია; ანალოგიით კი ამქვეყნიურ ცხოვრებაში მზე მეფეთა, ხელმწიფეთა ეტლია; ხელმწიფეთა ბედნიერების მიმნიჭებელია. Gგარდა ამისა მზე სიყვარულის შემწე და მფარველიცაა. პოემის მიხედვით, ტარიელი – ლომი და ნესტანი – მზე უნდა შეხვდნენ ერთმანეთს. უერთმანეთოდ ისინი ვერ იქნებიან, რადგან ლომი, ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით, მზის სადგომია. ლომმა მზე დაკარგა, ისინი ერთმანეთს დაეძებენ: ***„ცნა ამირბარმან, წავიდა ლომი მის მზისა მძებნელად“.*** ლომისა და მზის ასტროლოგიურ შეყრასთანაა მეტაფორულად შედარებული თინათინისა და ავთანდილის საბოლოო შეერთებაც: ***„მალე შეგყრი, ლომო, მზესა, თავი მისკე არე, მარე“.*** ციტატიდან ირკვევა, რომ ასტროლოგიის მიხედვით, ლომი მზის წილხვედრია ისევე, როგორც კირჩხიბი – მთვარისა. ზუალი სევდიანი ეტლია რუსთაველთან, ასტროლოგიურად იგი ძალმომრეობისა და უბედურების უფალია. იგი ფერად შავია და სიბნელე, ჭირი, ცრემლები და კაეშანია მისი ნიშნები. ამიტომაც ავთანდილი შესაფერისი სიტყვებით მიმართავს სატურნს:

*„მო, ზუალო, მომიმატე ცრემლი*
*ცრემლსა, ჭირი ჭირსა,*
*გული შავად შემიღებე, სიბნელესა*
*მიმეც ხშირსა,*
*შემომყარე კაეშანი, ტვირთი მძიმე,*
*ვითა ვირსა...“*

ზუალთან ვირის ხსენება ასტროლოგიურია, ვინაიდან ასტროლოგიური წარმოდგენით თითოეულ მნათობს გარკვეული ცხოველი შეესაბამებოდა.

მუშთარი მოსამართლეთა ეტლია, იუპიტერი შეესაბამება სახელად – სამართლიანი და უმწიკვლო მსაჯულია და ავთანდილი მისგან „უმართლეს“ განკითხვას მოითხოვს:

*„ჰე, მუშთარო, გეაჯები შენ,*
*მართალსა ბრჭესა, ღმრთეულსა,*
*მო და უყავ სამართალი,*
*გაებრჭობის გული გულსა;*
*ნუ ამრუდებ უმართლესსა,*
*ნუ წაიწყმედ ამით სულსა!*
*მართალი ვარ, გამიკითხე! რად*
*მაწყლულებ მისთვის წყლულსა?“*

მარიხი, იგივე მარსი, ოდითგანვე ადამიანები მის სისხლივით წითელი ფერის ცის კაბადონზე გამოჩენას უბედურების მომტანად რომ აღიქვამდნენ, რუსთაველის მიხედვით, „შე-ცა-მღებე(ლია) და შემსვარე წითლად სისხლისა დენითა“.

ასპიროზი ვენერას ბერძნული სახელია, ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით, სიყვარულის დედოფალი და მკურნალია, მას უნდა უამბოს ავთანდილმა იმაზე, ვინაც დასწვა „ცეცხლითა დაგითა“.

ოტარიდი მერკურის სახელია, ზოდიაქოს ნიშნით, მწიგნობარია, მწერალთა მფარველია, მან უნდა აღწეროს ავთანდილის თავგადასავალი:

*„დაჯე წერად ჭირთა ჩემთა,*
*მელნად მოგცემ ცრემლთა ტბასა,*
*კალმად გიკვეთ გაწლობილსა*
*ტანსა ჩემსა ვითა თმასა“.*

მთვარე, როგორც მზე, სიყვარულის ზოდიაქოს ნიშანია იმ განსხვავებით, რომ სიყვარულისადმი სრული და მუდმივი სავსეობა არ ახასიათებს, მზისგან იღებს ენერგიას, მასზეა დამოკიდებული, იგი სნეულ და სასოწარკვეთილ მიჯნურთა მფარველია:

*„მო, მთვარეო, შემიბრალე,*
*ვილევი და შენებრ ვჭკლდები,*
*მზე გამავსებს, მზევე გამლევს,*
*ზოგჯერ ვსხვდები, ზოგჯერ*
*ვწვლდები“.*

სამყაროში, „აქა ქმნადდთან“ არსებულ პროცესებს მსგავსება-ანალოგია აკავშირებს ზოდიაქოს ნიშნით გამოხატულ ასტრალურ სხეულებთან. კავშირი პირდაპირია და უშუალო, რომელიც ერთი დიდი მთლიანი წესრიგის გამოხატულებაა. „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობრივი იდეის თავისებურებაც ესაა – კოსმიურ ჰარმონიაში მთელი სამყაროა ჩართული ყველა მისი მოვლენით, დაწყებული მნათობებით და დამთავრებული ქვებით. ჰარმონიაა საფუძველი სამყაროს მთლიანობისა და მისი ესთეტიური ღირებულებებისა, რომელიც მხატვრული შემოქმედების საოცარი სიძლიერით არის განსახიერებული პოემაში.

აქ წარმოდგენილი პრობლემის ამომწურავი ანალიზის გაკეთების პრეტენზია სულაც არა გვაქვს, თუმცა იმის ჩვენებას კი ვცდილობთ, სქემატურად მაინც წარმოვადგინოთ – „ძალნი ზეციერნი“ როგორ კავშირში იმყოფება „აქა ქმნადდთან“ ანალოგია-მსგავსებათა საფუძველზე.

„ვეფხისტყაოსანში“ ასტროლოგიური ცნებებია: „ძალნი ზეციერნი“ (იხ. ელგუჯა ხინთიბიძის მსოფლმხედველობითი პრობლემები ვეფხისტყაოსანში, თსუ, 1975, გვ.,44.„შუქ–მონავანი“, („მზისა დასი“, „ცისა ხომნი“, „მთვარის მოვანება„; „განგება“, „ნათლის სვეტი“, „ციერნი“ – ესაა ცოდნის სფეროში არსებული ის კონფიგურაციები, პოემის მხატვრულ სტრუქტურაზე დაკვირვებამ რომ უნდა დაგვარწმუნოს აღნიშნულ ტერმინთა ასტროლოგიური წარმომავლობაში, სხვა შინაარსი და გააზრება მას არ გააჩნია. იგი რუსთაველთან „აზროვნების ალფაბეტია“, რომლის უცილობელი პირობაა სამყაროში არსებული წესრიგის მიმართება შემეცნებასთან, რაც პოეტური სიტყვა-ნიშნებით ხორციელდება და შესაძლებელს ხდის, მთლიანობაში დავინახოთ XII საუკუნის ქართული აზროვნებისათვის დამახასიათებელი ნიშანდობლივი ცოდნის ერთობლიობა – ეპისტემე (ეპისტემოლოგიური ველი). ასტროლოგია „ვეფხისტყაოსანში“ ზეციური სარკეა, მიწაზე არსებულის ანარეკლებით.

შუა საუკუნეების ქართულ ეპისტემეში, მსგავსება-ანალოგიის, როგორც დასკვნის, ფორმის ძირითადი დანიშნულებაა აბსოლუტური ერთის, ღმერთის გასაგებად მისი გამოყენება. მას უნდა მიენიჭებინა ქმნადობა მიზეზის, მსგავსების, განსხვავების და სხვა კატეგორიებისათვის, რათა შენარჩუნებულიყო სამყაროსა და ღმერთის კავშირი. რუსთველისეული კოსმოლოგიური სისტემის თანახმად, სამყაროს ცენტრში დგას ღმერთი, მაგრამ იგი უშუალოდ არ ერევა ამქვეყნიურ „აქა ქმნადდთა“ საქმეებში; ღმერთსა და ადამიანს შორის დგას ასტროლოგიური „ძალნი ზეციერნი“ - მნათობნი, რომლებიც ღვთაებრივი ჩანაფიქრის მიხედვით განაგებენ ადამიანთა სვე-ბედს.

შუა საუკუნეებისა და აღორძინების ეპოქის ევროპის ეპისტემესათვის მიშელ ფუკო „სიტყვებსა და საგნებში“ მსგავსება-ანალოგიის ოთხ ფორმას (შესაბამისობას convenientia, მეტოქობას aemulatio, ანალოგიას analogie, სიმპათიას simpatique) განიხილავს, რომლის ფენომენმა XVI საუკუნის დასავლური კულტურის ცოდნის აღმშენებლობაში განსაკუთრებული როლი შეასრულა. იგი არაერთგზის აღნიშნავს, რომ მსგავსების სამყარო უდავოდ მხოლოდ მინიშნებათა, აღნიშვნათა სამყაროა, რომელიც დასაბამს (XIII ს.) ევროპის სქოლასტიკურ აზროვნებაში ბონავენტურას მასწავლებლის, ცნობილი ინგლისელი თეოლოგის – **ალექსანდრე ჰალელის** (1186 – 1245) მოძღვრებიდან იღებდა, ფიქსირებულია ნაშრომში – „Summa fratris Alexsandri“.

მსგავსების პირველი ფორმა, შესაბამისობა, ორ ურთიერთმსგავს საგანზე მეტად საგანთა შორის ადგილმდებარეობის სიახლოვეს აღნიშნავს. აქ იგულისხმება არა ორი უახლოესი საგნის მიმართება, არამედ ერთ სივრცეში განთავსებული საგნების „შესაბამისობა“. აღნიშნული ფორმა, რომელიც ასტროლოგიური ცოდნის ნიშანდობლივი მახასიათებელია რუსთაველთან, მშვენიერ მხატვრულ სახეს ქმნის „ვეფხისტყაოსანში“. ასმათის მიერ ავთანდილის წაყვანას ტარიელთან შესახვედრად ზეცის თავანზე მთვარის მოსავანებლად წასვლას ადარებს ავტორი. ასტროლოგიურ სწავლებაში მთვარე ცის კამარაზე დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ მზის მახლობლად დაივანებს. ასევე ავთანდილიც, რომელმაც სამი წელი იხეტიალა, მოვლო მთელი ქვეყნის პირი, (მზის გვერდით) ტარიელის გვერდით მოსავანებლად მიდის:

*„ხელი მოჰკიდა, მოჰყვანდა,*
*ვით მთვარე მოსავანებლად;*
*იგი რა ნახა ტარიელ, თქვა*
*`მზისა დასაგვანებლად“.*

მსგავსების მეორე ფორმა - მეტოქეობა ორ არეკლილ ფიგურას ერთმანეთის მიმართ გულგრილს არ ტოვებს და მათ შორის დაპირისპირებას იწვევს. ერთი მათგანი უფრო სუსტია და ემორჩილება ძლიერ ზეგავლენას მეორისას, რომელიც მისი პასიურობის სარკეში აისახება ისევე, როგორც ადამიანის სიბრძნე არასრულყოფილად ასახავს ღმერთის სიბრძნეს. მეტოქობა არის გამოძახილი სარკისებრი არეკვლისა.

ველად გაჭრილი ტარიელის დასახმარებლად მიმავალი ავთანდილი მეფე როსტევანს დაეთხოვება და თავის ვეზირ შერმადინს შესთხოვს:

*„ან, ვაზირო, მაგა პირსა გული*
*კრული ვით მოგთმინდეს?*
*რკინა, ჩემი მონაცვალე, ხამს,*
*გაცვილდეს, არ გატინდეს;*
*ვერ გარდვიხდი ცრემლთა მისთა,*
*ჯეონიცა თვალთა მდინდეს,*
*მომეხმარე, ნუთუ ჩემგან*
*მომხმარება შენცა გინდეს.“*

მსგავსების მესამე ფორმაა ანალოგია. მას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კარგად იცნობდა ჯერ კიდევ ანტიკური და შუა საუკუნეების აზროვნება. ანალოგიაში ერთმანეთს ეშრევება მსგავსების (შესაბამისობისა და მეტოქეობის) პირველი და მეორე ფორმა. მეტოქეობის მსგავსად, ანალოგიაც უზრუნველყოფს მსგავსებათა საოცარ ურთიერთშეჯახებას სივრცეში; შესაბამისობის მსგავსად ანალოგია საგანთა შორის ურთიერთობაზე, მათ კავშირსა და შეერთებაზე ამახვილებს ყურადღებას. იგი, უპირველესად, გულისხმობს საგანთა შორის არსებულ მიმართებებზე მორგებულ მსგავსებას, მაგრამ ეს მსგავსებები არ არის ხილული, ამასთანავე, არ წამოადგენს მასობრივ მსგავსებებს თავად საგნებთან.

პოემაში წარმოდგენილი „ძალნი ზეციერნი“, „ცისა ძალთა დასი“ ვარსკვლავთა, მნათობთა დასია, რომელსაც მზე სარდლობს, თინათინი კი „აქა ქმნადდთა“ მზეა. კავშირი მათ შორის ანალოგიასთან მიმართებაში ასტროლოგიურია. პოეტის რწმენით, თინათინი სწორედ ამ მზის დასის სადარია, ზეციურ მნათობთა გუნდის მსგავსია:

*„სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ*
*ოდენ მარტოდ ასული,*
*სოფლისა მნათი მნათობი,*
*მზისაცა დასთა დასული“.*

მსგავსების მეოთხე ფორმა, სიმპათია, საგნის საგანთან კონტაქტის დამყარების საშუალებაა. „სიმპათია თავისუფლად მოქმედებს სამყაროს სიგრძე-სიგანესა თუ სიღრმეში“. იგი მოძრაობის პრინციპია, გამსჭვალავს ყოველივეს და ყველაფერს, სამყაროს ერთი მთლიანობის გამომხატველია. თანამედროვე ფილოსოფია მას ხილულის ღრმა უხილაობას უწოდებს. შოთა რუსთაველისთვის წარმოდგენილი ვითარება „მზიანი ღამე“ და „უჟამო ჟამია“.

რუსთაველის კოსმოლოგიური შეხედულებებით, სამყაროს ცენტრი ღმერთია. მართალია, „აქა ქმნადს“ ასტრალური ძალები განაგებენ, მაგრამ იგი ღმერთის ნებით იმართება. რუსთველისეული პოეტური ეპითეტები ღვთისადმი მრავალფეროვანია; მათ შორის მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს უფლის „მზიან ღამესთან“ შედარება, რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, გაუგებრობად განიხილებოდა.

მსგავსების ეს მეოთხე ფორმა – სიმპათია, რომელიც ევროპის რენესანსული აზროვნების ეპისტემეს უდევს საფუძვლად, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის (პეტრე იბერის) მოძღვრების („საღმრთო სახელთათვის“) ქვაკუთხედია, რაც შემდგომ განვრცობას იოანე პეტრიწთან პროკლეს (ამ მიმართულებით ფილოსოფიური აზროვნების განვითარების კვალად, უკვე XVI საუკუნის ევროპულ აზროვნებაში მსგავსების სემანტიკური ჩამონათვალი ძალზე მდიდარია (micitia, equalitas (contractus, consensus, matrimonium, societas,pax et similia), Consonantia, Concertus, Continuum, Paritas, Proportio, Similitudo, Conjunctio, Copula), თუმცა ის ძირითადი ფორმები, რომლებიც განსაზღვრავენ ცოდნის აგებულებას მსგავსების შემთხვევაში, ჩვენ მიერ ზე-

## დათია ბადალაშვილი




დრო იყო ასეთი, ყველა თითქოს გავგიჟდით და ამ სიგიჟის დრო მე მაინც მიყვარდა. ცრემლებზე არ დავიწყებ მოყოლას, როგორც ამბობენ, ყველას თავის სამყოფი „მძიმე ცხოვრება აქვს“. მაშინ, დროებით, თბილისის ერთ ლამაზ – მზით და ფიჭვებით სავსე უბანში ვცხოვრობდი. უნივერსიტეტიდან შინ დაბრუნებული, მთელ დღეებს ცაცხვის ქვეშ, ძელსკამზე, კითხვაში ვატარებდი. ის კი ჩემი საცხოვრებელი სახლის ქვემოთ, კლდის პირზე გაშენებულ, ხის აივნიან სახლში ცხოვრობდა. საბჭოთა სისტემის შეცვლამდე, ამ სახლში მინისტრებს დაჩები ჰქონდათ. მერე, ქვეყანა რომ აირია და ხალხიც, ამ სახლში ხან ვინ შესახლდა, ხან ვინ, მათ შორის – სტიქიით დაზარალებული სვანებიც, ბოლოს – აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულები. ისიც დევნილი იყო და, თანაც – ობოლი. მამამისი ჭუბერის უღელტეხილზე მოუკლავთ ქართველებს – დაყაჩაღება სდომებიათ, თურმე. ცხოვრობდა დედასთან და დასთან ერთად. დიდი, შავი სათვალეებით და შავი თმებით უყვარდა სიარული. ასეთი სათვალე მათემატიკის ჩემ მასწავლებელს ეკეთა, რომლის სათვალეც დღემდე კარგად მახსოვს და ქარვისთვლიანი ბეჭედიც, თავში რომ მიკაკუნებდა ხოლმე.

ის გოგონა ხშირად ჩამოდიოდა ფიჭვის ხმელი წიწვებით მოფენილ გზაზე. შავ კატას მაგონებდა. კატას, რომელსაც არ უნდოდა თათები რამით დასვროდა. ვიჯექი და იმაზეც ვფიქრობდი, რატომ უნდა სცმოდა გოგონას ასეთი სქელ ძირიანი ფეხსაცმელი, რატომ უნდა ეთრია ასე მძიმე ჩანთა. გარეთ ჯდომით კი მისი მთელი დღის განრიგი ვიცოდი – როდის იღვიძებდა, როდის მიდიოდა სასწავლებელში და როდის ბრუნდებოდა იქიდან. ერთხელ, მზის გულზე „ანკარა“ დაინახა, შიშით გადაფითრდა... თუმცა არ შეუმჩნევია. მე კი იმ დროს ეზოში ვიჯექი და ვითომ ვკითხულობდი წიგნს. მაშინ, ჩემი მოკლე ჭკუით, მეგონა, რომ მთელი დღე კითხვით ითხრიდა თვალებს. მას კი, როგორც შემდგომ გავიგე, მეგობრებთან გართობა, მუსიკა და თეატრი ჰყვარებია თურმე. ბოლოს, როგორც იქნა, გავიცანი... მისი ლოდინით ხშირად მიღამდებოდა თვალები, რომ ის, გვიან, სახლამდე ჩამეცილებინა. სულ რაღაც ოცდაათი მეტრი გვქონდა გასავლელი მხოლოდ. რამდენჯერმე რომ ჩავაცილე, მივხვდი, – შემიყვარდა. ჩემი უბედურება თუ ბედნიერება ის იყო, ჯერ არავის ეთქვა ჩემთვის, – მიყვარხარო! მე კი სიყვარულს ყველგან ვეძებდი, პირველად, ჩვენს ეზოში გაცნობილი „მინი მარკეტში“ გამყიდველად მომუშავე გოგოს შემოხედვაც საკმარისი იყო, რომ მთელი დღე მასზე მეფიქრა. არ ყოფილა შემთხვევა, ვინმეს აშოლტილ ფეხებზე ან მის ფაქიზ სახეზე დავფეთებულიყავი და მეთქვა, – მიყვარს-მეთქი, არა! მაშინაც კი, როცა ისეთ ასაკში ხარ, ქალის მოშიშვლებული მკერდის დანახვისთანავე რომ მისი უბისკენ გაგექცეს თვალები. შეყვარების მიზეზი კი ჩემი მგრძნობიარე ხასიათი და მისი ყურადღება იყო, ჩემს მიმართ რომ იჩენდა. საერთოდ, მიკვირდა, წყალწაღებულს ადამიანურად რომ დამელაპარაკა. ასეა ხშირად, კაცებს ბევრად უკეთესი ქალები ხვდებიან, ვიდრე იმსახურებენ. ამბობენ, ცხოვრებაშიც და სიყვარულშიც, ბოლომდე არაფერი არ უნდა თქვა. მე კი არ ვიცვლები. ადამიანში, რაც უნდა სვლები გათვალო, მისი ხასიათი მაინც იჩენს თავს. მასთან დარეკვა იმას ჰგავდა, სახლში საინტერესო წიგნი რომ გაქვს და იზოგავ, არ კითხულობ, გენანება, არ გინდა, რომ მალე დამთავრდეს. თუმცა დასარეკად მოკრებილი სიმამაცე მისი ხმის გაგონებისთანავე სადღაც მეკარგებოდა. ღრუბლებში დავფრინავდი. კაცს, რაც არ უნდა უჭკუო იყოს, თავის სამყოფი ეშმაკობა მაინც აქვს. მორიგი განშორებისას სინანულით ვუთხარი – თეატრში არასოდეს ვყოფილვარ-მეთქი. მისი დაპატიჟება მინდოდა და შორიდან მოვუარე... თვითონ დამპატიჟა: – ამ დღეებში სპექტაკლს შევარჩევ და წავიდეთო. ოთხშაბათს დამირეკა და... მისი ხმის გაგონებისთანავე, სადღაც, სიღრმისკენ გამექცა გული. – პარასკევს, რვა საათზე, მარჯანიშვილის თეატრში სპექტაკლია, არ დააგვიანოო.

პარასკევამდე ორი დღე მქონდა. მზადება ხუთშაბათიდანვე დავიწყე, ყოველთვის ყველგან ვაგვიანებდი, გვიან დავიწყე სწავლაც, წერაც. ამიტომაც ხშირად იტყოდა მამაჩემი ჩემზე: „არ აძლევს მაგის უტვინო თავი მოსვენებას ფეხებსო“. ვიცოდი ჩემი ხასიათი, რაც არ უნდა გავფრთხილებოდი ტანსაცმელს, სახლში მაინც ტალახში ამოსვრილი ვბრუნდებოდი. მწარე გამოცდილებით დაბრძენებულმა გადავწყვიტე, დილით ლექციაზე წავსულიყავი და მერე დამეწყო მომზადება წასასვლელად. ის დილა კი დათარსულად დაიწყო... ვიჯექით ფიზიკის ლექციაზე სულ სამნი და ლექტორის დასანახად რაღაცას ვჯღაბნიდი ტალღების შესახებ. ის კი არც ყურადღებას მაქცევდა და არც კითხვაზე მპასუხობდა. ჩემთვის ნაყოფიერი ლექცია დასასრულისკენ წავიდა და ჯიბეში სიგარეტი მოვიჩხრიკე. ამ დროს შემოვიდა სხვა ლექტორი ქალი, ჩემი ლექტორის სანახავად. საუბარი უნივერსიტეტის უნიჭო თაობის შესახებ დაიწყო და მათ შემჭკნარ სილამაზეზე საუბრით გაგრძელდა. მეგობარი ლექტორის ქათინაურზე, – „კარგად გამოიყურებიო“, ჩემმა „გამნანათლებელმა“ ნაზად მიუტყაპუნა საჯდომზე ხელი და დაუყოლა – „არც შენ გამოიყურები ცუდად, მარტო ერთი ადგილი გაგსიებიაო“. თითქოს მეშველა, – გავიფიქრე, ზარი რომ დაირეკა, თავი ავილე, თქვენი საჯდომი და შავი ჭირიც თქვენო და აჩქარებულმა დავტოვე აუდიტორია...

დაკვირვება მაქვს, სარკეში ყველაზე დიდხანს ის იყურება, ვისაც თავისი თავი ან ძალიან მოსწონს, ან არა. მე მეორე ვარ, თუმცა იმასაც კარგად ვხვდებოდი, ვინც ძალიან მიყვარდა. სასწრაფოდ შინ დავბრუნდი და სათეატროდ დავიწყე მზადება. ფეხსაცმელს და შარვალს არა უშავდა, ჩემ საკუბოვე პერანგს კი გადავუსვი უთო და საყელოზე შავი ზოლი გავუყოლე. უკვე შვიდი ხდებოდა. სასწრაფოდ ტაქსში ჩავჯექი და... ვერა და ვერ მოვისვენე სავარძელში, თავბრუ მეხვეოდა სიგარეტის სიგარეტზე წევით. „ნახალოვკასთან“ ატმის წითლად აფეთქებული ყვავილი მოვტეხე... პაემანზე მისვლა გოგოსთან, რომელიც ძალიან მიყვარდა, დავაგვიანე. მერჩივნა მიწა გამხეთქვოდა. ვეხვეწე დაცვას, შემიშვითმეთქი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. მაინც არ შემიშვეს. მერე ვიღაც მოხუც მსახიობს შევეხვეწე, რომელმაც ისე მიპასუხა, სხვა დროს მოვალებდი პირს და შევამკობდი გემრიელად, მაგრამ... გაბრაზებული და გულგახეთქილი გამოვბრუნდი. მარჯანიშვილის მეტროსთან პლუტარქეს „ბიოგრაფიები“ ვიყიდე. ისე, პლუტარქეს კითხვას მერჩივნა, წამეკითხა რამე დამრიგებლური ხასიათის წიგნი, დაახლოებით ასეთი სათაურით: „როგორ არ ვიყო გამოშტერებული“. დიდხანს ვიყავი ატუზული თეატრის წინ და, აი, ისიც გამოვიდა. საყვედური არ უთქვამს, ისეთი სახე მქონდა, მგონი, შევეცოდე კიდეც. გაწვიმდა. არ მიყვარს წვიმა ქალაქში, სულ სხვა სუნი აქვს. ქურთუკი გავიხადე და მხრებზე მოვასხი. მივეცი ყვავილიც და ვუთხარი: ფერიასავით ლამაზი ხარ-მეთქი. გაიღიმა შავი, წყლიანი თვალებით. – ფერიები ქერები არიანო და მხარზე ჩამომეყრდნო. მე სუნთქვა შევწყვიტე. სანამ მეტრომდე მივაღწევდით, წვიმამაც იმატა. მიუხედავად ამისა, ის მაინც ლაპარაკობდა. მე ვუსმენდი. მეშინოდა, ჩემი სიტყვის ჩაკვეხებით არ გაჩუმებულიყო. მივხვდი, ეს ხმა ისევე მჭირდებოდა, როგორც დაღლილს, ზაფხულის ხვატში ნამუშევარს, ცივი წყალი. გზადაგზა ვუყვებოდა ჩემს ამბებს, შელამაზებისა და გულჩვილობის გარეშე. უკვე სიყვარულია, როცა რაღაცის მოყოლა გინდა. სახლამდე მივაცილე. დავემშვიდობე და იმაზე ვფიქრობდი, რომ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დღე გავაფუჭე. მიუხედავად ამისა, მას არ უსაყვედურია ჩემთვის. დამიჯერეთ, ხანდახან სულაც არ არის ქალის თავაზიანობა კარგი.

დრო გადიოდა... ხშირად მენატრებოდა... მახსენდებოდა მისი წყლიანი ღიმილი და სითბოთი მევსებოდა გული. ვუყვარდი მას თუ არა? არა, არ ვუყვარდი! ალბათ, ჩემი შეყვარება ძალიან რთულია...

გული ჩემ მეგობარ ცოტნეს გადავუშალე. მოვუყევი ჩემი მორიგი „გმირობის“ ამბავი. რომ ვთქვა, გაუკვირდა-მეთქი, მოგატყუებთ. უბრალოდ, უფრო მეტი იცინა, ვიდრე მაშინ, როცა წავქცეულვარ და ფეხზე ძლივს ავმდგარვარ, ცეცხლზე თითები დამიწვავს და ხშირად ტელეფონს ვკარგავ. მინდოდა დამეჯერებინა, რომ ჯერ კიდევ არ იყო დაკარგული ყველაფერი და გადავწყვიტე, ისევ თეატრში დამეპატიჟა. მოვძებნეთ შექსპირის სპექტაკლი, ახლა უკვე ბულაძის ინტერპრეტაციით. ფული, როგორც ყოველთვის, არ მქონდა და გადავწყვიტე, სასესხებლად ჩემს ნათესავს მივდგომოდი. ისეთი მოხუცი ქალი იყო, რომლის მსგავსნიც არასოდეს იცვლებიან – ოთხად მოკეცილი და შავებში ჩაცმული. ფული ვთხოვე და ასე მითხრა, – მოგცემდი, მარა, მომპარესო. არ იცოდა ვინ მოპარა, მაგრამ ვარაუდით დაამატა: –. ხომ იცი, ჩემი შვილიშვილი, როგორ მეზიზღება, ფულს მაგიდაზე განგებ ვტოვებ და ხელს არ კიდებს, – დაამატა კიდეც თავის მართლებით: – იმიტომ მეზიზღება, რომ დედა ბოზი ჰყავს და იცავს, თქვენ უგონებთო! რაღა მეთქვა, გამოვხატე ღრმა მწუხარება მისი დანაკარგის გამო. გამიხარდა, დედა ბოზი რომ არ მყავდა და დასაცავი არ მიხდებოდა. ისე, მე სულაც არ მეშინია სიბერის, ლამაზებსა და მდიდრებს უნდა ეშინოდეთ, თორემ მე არც ერთი ვარ და არც მეორე. როცა აღარ ვიცოდი, რა მექნა, ცოტნემ დამირეკა, მეტრო „300 არაგველთან“ მოდიო. სიცხით იწვოდა ყველაფერი, მე ლოდი მაწვა გულზე. ამოვყავით თავი ორმა ჯიბეგაფხეკილმა მეგობარმა სისხლის ჩაბარების ცენტრში. რიგში ცოტნე ჩადგა. მე შანსი არ მქონდა, ქარში, ლოტკინის აღმართზე მიმავალს, ლამის ქვები ჩამეყარა ჯიბეში... ვილას არ ნახავდი რიგში – ჯარისკაცებს, მოთამაშეებს, კაზინოში რომ ულამდებათ და ვიღაც ფულიან ახვრებს უფრო რომ ამდიდრებენ. ცოტნეს ვიღაც სქელგავა ქალმა ჩაი დაალევინა და შეიყვანა სისხლის ჩასაბარებლად. ეს ეშმაკი, შეიყვანეს თუ არა, ვითომ ცუდად გახდა. ხან თავი უვარდება მკვდარივით, ხან – თვალებს ძველი მრიცხველივით ატრიალებდა. მე გარეთ მოვარღვიე სკამი ნერვიულობით. გამოვედით ჩაფულიანებულები. მე, დაღლილი და მშიერი, ძლივს მოვათრევდი ფეხებს. მეტროში ჩავედით და ის ჯარისკაცებიც ვნახეთ, ჩვენთან ერთად რომ ჩააბარეს სისხლი. ისხდნენ არხეინად და შოკოლადს შეექცეოდნენ. ცოტნე მომიბრუნდა, – შოკოლადი რომ დაგვავიწყდა? უნდა მოეცათ... უნებლიეთ გამეცინა და მხრები ავიჩეჩე, – დაანებე-მეთქი თავი, ცოტნე! – სისხლი ჩავაბარე და არ დავუტოვებ ჩემს შოკოლადს იქო. ადგა და წავიდა. „ზებრაზე“ მომავალი კრეჭით ილულმებოდა შოკოლადს, მეორე ნატეხი ხელში ეჭირა, ჩემთვის. მისი შემყურე, მივხვდი, არის რაღაცები, რისთვისაც ღირს იცხოვრო, ის რაღაცა, რომელიც გაძაღლებულ სიცოცხლეს გაძლებინებს, ვიცი, ისეთი რამ სულაც არ მჭირს, სხვას რომ არ გასჭირვებია, უბრალოდ, მხარზე მეგობრის ხელის შეგრძნება ბედნიერებას განიჭებს. დროა ასეთი და რას იზამ... – ყველას სადღაც გვეჩქარება, წამი, წუთები, საათები გვიხდება და დროის დაკარგვის შეგრძნება გვიღრღნის გულს. მე ხვალინდელ შეხვედრაზე ვფიქრობდი... უცბად ვაგონი შექანდა და ჩემს წინ მდგომი გოგონა შებარბაცდა. მეზობელმა ბიჭმა იმარჯვა და ხელი შეაშველა. გოგონა გაწითლდა, გადამრჩენელს მადლობა გადაუხადა და თავი მორცხვად დახარა. ბიჭმა მიბრუნებულ გოგონას საჯდომზე გახედა და დაჯდა. ტელეფონს დაუწყო კირკიტი. გოგონას ეს ბიჭი აშკარად მოეწონა, რამდენჯერმე გახედა კიდეც მადლიერი თვალებით. ბიჭი ისევ სხვა მხარეს იყურებოდა და ვერ ამჩნევდა გოგოს აღტაცებულ მზერას. ჯანდაბა, ამ მზერის გამო ღირს ცხოვრება, ლამაზი ქალის მადლიერი მზერის... შემშურდა იმ ბიჭის! შურისას რას გაიგებ?! შეიძლება ავტობუსის გაჩერებაზე სიცივით აკანკალებულს ჩავლილ მანქანაში მგზავრის შეგშურდეს, ზოგს კი, პირში სული რომ გიდგას, ის შურთ შენი. არა, არ შემშურებია... დავბრუნდი თუ არა სახლში, მივწერე და შეხვედრაზე შევთანხმდით. ღამით გაწვიმდა, კი არ გაწვიმდა, ცა ფეხად ჩამოვიდა. მდინარე, რომელსაც, კნინობით „რეჩკას" ეძახდნენ, ადიდდა, გზა კი, რომლითაც შაბათ-კვირას სოფელში ავდიოდი, ჩამოინგრა. დროებით ჩაკეტილმა მდინარემ ცოდვის კალო დაატრიალა მძინარე ქალაქში. ის იქ იყო ღამით, გმირთა მოედანზე, მე მეძინა. დილით გაღვიძებულმა ქალაქმა დაინახა, რომ ამქვეყნად ბევრად უარესი შეიძლება მოხდეს. უგზოუკვლოდ დაკარგული და მანქანებში ამომხრჩვალი ხალხი, გაოგნებული ბეჰემოტი მოედანზე, შეშინებული დათვის ბელი გამათბობელზე... რამდენიმე დღის შემდეგ დანგრეულ ქუჩაზე ისევ მოვხვდი. ჭადრის ფესვები სახლის აივნებზე... გაძვალტყავებული ძაღლები შიშჩამდგარი თვალებით მიწით ამოვსებული მანქანების წინ. კედელზე, ტალახში ამოსვრილ და მიმხმარ „ანა კარენინას" მოვკარი თვალი, სათუთად გადავუსვი ხელი, მიწა მოვწმინდე და იღლიაში ამოვიჩარე. მკვეთრი სუნი მაინც ჰქონდა – შმორის თუ სიკვდილის. მაღალ, ხმელ ხეს უამრავი ყვავი დასტრიალებდა... დავინახე ის, დიდი შავი სათვალით და მძიმე ჩანთით მარადიული ცეცხლის წინ... უკან გამობრუნებულს კი თვალში მეცა ლაბორატორიის შენობაზე წარღვნამდე თუ მის შემდეგ დიდი ასოებით მიწერილი: „ღმერთი დიდია, ის გადაგვარჩენს"!

## ანალოგიები, – ფილოსოფიური დასაბუთება „ვეფხისტყაოსანში,“ კოსმოლოგიური წესრიგის მიმართება შემეცნებასთან

მოთ დასახელებული ოთხი ფორმაა). („კავშირნი ღმრთის მეტყველებითნი“) მოძღვრების კომენტირებისას პოვებს, სადაც ანალოგიათა ფორმების ქართული, პეტრიწისეული შესატყვისობებია – რაბამობაი, რაბამი, შესაბამი.

სამყაროს ამგვარი ფორმით გააზრებისა და XII საუკუნის ქართული ეპისტემეს პოეტურ სხმულს „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს. რუსთაველი იტყვის:

*„ამა საქმესა დაფარულსა*
*ბრძენი დივნოს გააცხადებს:*
*ღმერთი კარგსა მოავლინებს და*
*ბოროტსა არ დაბადებს,*
*ავსა წამ–ერთ შეამოკლებს, კარგსა*
*ხან-გრძლად გააკვლადებს,*
*თავსა მასსა უკეთესსა*
*უზადო ჰყოფს, არ აზადებს“.*

უფლის ათორმეტ მოწაფეს უფლისმიერი სამყარო უშუალო განცდაში, მისტიკურ ხილვაში ეძლევა. მოკვდავთათვის სამყარო მყოფობაა, რომლის გამოსაცნობად ღმერთმა, შემოქმედმა ყველაფერს გარეგნული და ხილული ნიშნები დაუწესა, მათი პოვნა საგანგებო ნიშან-სიმბოლოებით შეიძლება. ღმერთი ყველგანაა და ყველაფერში იცნობების – *„სოფელსა შინად, სოფლისა გარეთ, სოფლისა ზეშთად, ზეშთაცად, ზეშთარსებისად, მზედა, ვარსკვლავად, წყლად, ქარად, ცუარად, ღრუბლად, ლოდად და კლდედ, ყოვლად“*. იგი გამსჭვალავს ყოველივეს, მაგრამ, ამავე დროს, ღმერთი, როგორც პირველმიზეზი, ზეალმატებულია შედეგზე – როგორც შემოქმედი ზეალმატებულია ქმნილზე და მის მიღმა სუფევს. ამიტომ იგი **„არარაი არს არსთაგანი, არცა რაის არსთაგანისა შორის იცნობების“**.



შესაბამისად რუსთაველი პოეტურად იტყვის: *„უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო“*. ღმერთი გონებისათვის მიუწვდომელი, პირველმიზეზი და ზეშთაარსია, იგი „უჟამო ჟამია“, „მზიანი ლამეა“, დიონისე არეოპაგელის (პეტრე იბერის) მოძღვრებაში კი „ზეშთაუცნაურის“ ცნებით განისაზღვრება, *„რაჟამს სახელი ვსდვათ ჭეშმარიტებისასა მას დაფარულებასა ღმრთად, ცხოვრებად, ანუ არსებად, გინა ნათლად, ანუ სიტყუად, არარას სხუასა გულისხმა – ვჰყოფთ“.*

*„იტყვის: „ჰე, მზეო, ვინ ხატად*
*გთქვეს მზიანისა ღამისად,*
*ერთ-არსებისა ერთისა, მის*
*უჟამოსა ჟამისად,*
*ვის გმორჩილობენ ციერნი*
*ერთის იოტის წამისად,*
*ბედსა ნუ მიცვლი, მიაჯე,*
*შეყრამდის ჩემად და მისად!“*

ღმერთისა და მზის ანალოგია რუსთაველის წინამორბედ ფილოსოფოსთა ნააზრევის ნიშანდობლივი მახასიათებელია; როგორც პეტრე იბერთან, ასევე პეტრიწის ფილოსოფიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ერთისა და მზის ანალოგიას *– „ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი“*. ერთს, როგორც ყოვლად სავსეობასა და სიკეთეს, ისეთივე ადგილი უკავია ზეშთა სამყაროში, როგორიც მზეს გრძნობად არსებებთან მიმართებაში: *„ვინაი თუ სიტყუა მამისა ღმრთისა პირველად დაბადებულთა და წარმოჩენილთა ძალად პირველ მებრ აწ მათი, მაგრა თანამებუნებე მათდა და ერთი ნაბადთა და წარმოჩენილთაგანი... რომელ არს დასაბამი თვისი – შორისისა სიტყვისაი, ვითარ დისკოი, თუალი მზისაი შარავანდედთად“*.

როგორც ვხედავთ, დამოწმებული ადგილების ანალოგია რუსთაველის მოტანილ სტროფებთან ეჭვს არ იწვევს. ღმერთი, როგორც „სავსება ყოველთა“ და „მიმფენელი“ („მზეებრ ფენითა“), ზუსტ ანალოგიას სამყაროსთან მიმართებაში პოულობს, რომლის შესაბამის წინარე ფილოსოფიურ განსჯას იოანე პეტრიწისა და არეოპაგიტიკული მოძღვრება წარმოადგენს.

ამდენად, შუა საუკუნეების ქართული აზროვნების ეპისტემოლოგიურ ველს ასტროლოგია შეადგენს, რომლის შემეცნებისას, ანალოგია-მსგავსებათა დასკვნის ფორმათა საფუძველზე, გამომუშავდება სამყაროში არსებული კოსმოლოგიური წესრიგის გაზომვადობის პრინციპი და რუსთაველი, ასტროლოგიურ შეხედულებებზე დაყრდნობით, ანალოგიის მრავალსართულიანი დასკვნებიდან გამომდინარე, აგებს „უთვალავ ფერებიანი“ ქვეყნის პოეტურ შენობას. ასტროლოგიური ნიშან-აღნიშვნები არ არის პოემის მხოლოდ მხატვრული სამკაული; იგი ცოდნის სფეროს ის კონფიგურაციაა, სადაც სამყაროში არსებული წესრიგის შემეცნების კრიტერიუმი მსგავსება-ანალოგიად წარმოგვიდგება.

# მიხეილ თუმანიშვილი

## ციკლიდან „მესხები"

### მ ე ს ხ ს

ქმნიდი ღირსებით,
შედევრებს ქმნიდი –
უხმაუროდ და ლოცვა-
ვედრებით,
ბობოქარი და საოცრად მშვიდი
უწუწუნოდ და არ
დაყვედრებით.

არც სხვა სამოთხე არ გიძებნია
– სადღაც, სულ სხვაგან,
საკუთარს ქმნიდი,
და რა ადვილი მისახვედრია
დასაბამიდან რატომ ხარ დიდი...

შენი შესაქმე ღაღადებს
თვითონ,
ვერავინ შეხსნა შენი კლიტენი...
ბევრი ცდა დარჩა ფუჭი და
ლიტონ,
ბოღმამ დაახრჩო მონაპირენი.

შენ კი კვლავ მისდევ ძირძველ
ბილიკებს,
ისევ აშენებ, მოგყავს და ხატავ –
არვის არასდროს არ აქილიკებ
და სიტყვაკაზმულ ტილოებს
ქარგავ.

ქმნიდი ღირსებით,
შედევრებს ქმნიდი
უხმაუროდ და
ლოცვა-ვედრებით,
ბობოქარი და საოცრად მშვიდი
და მუდამ ასე ... არ
დაყვედრებით.

### ექვთიმე

დღეს საოცარი სიმრუმე
ჰქონდა,
მარტოობის და უცხო ზმანების,
გადაღლილ სხეულს სული
დაჰქონდა
და მოლოდინი ...
გარდაცვალების!

არ იყო მზე და არ იყო წვიმა,
ეს იყო რაღაც, მიღმა ნაქარგი...
სწორედ ისეთი, სული რომ
გტკივა,
სული, რომელიც უკვე დაკარგე.

და აღევლინა ლოცვა
მაშვრალის,
ერისკაცის და ღვთისკაცის
ერთობ,
ჯალათებს ერგოთ ყველა
სამსჭვალი,
მისი სული კი, შენ გერგო,
ღმერთო!

### კამათი ევროპელთან

მე სად ვიყავი?
ცას ვხნავდი მაშინ,
ელვის გუთნით და
ღრუბლის ხარებით,
ვინ ვიყავი და...
ვიყავ წარმართი,
რკინის მკლავით და
საცრის თვალებით.
გულის მაგიერ
მიცემდა გრდემლი,
და ეს სამჭედლო
ლეგენდებს ქსოვდა,
ხალიბი ვიყავ და
ტომით მუშქი...
და ვაჟკაცობა ჩემს სისხლში
ძოვდა!

მერე კი... მერე,
მე შევქმენ მცხეთა,
მერე ვაშენე
უფლის ციხენი,
რამდენჯერ ვნახე
შიგანი მტერთა...
და შენგრეული
ციხის კლიტენი...
და ასე ბრძოლით
ვილვაწდი, ვქმნიდი,
ხატებს ვჭედდი და
ფრესკებს ვქარგავდი,
სწორედ ამიტომ
ვარ შენზე დიდი,
ტყუილად ფიქრობ –
დავპატარავდი...
აი, ვინა ვარ...
უფალის მონა
და შემოქმედი
ვეფხვის ბალადის,
რა გეკამათო...
აზრი
არა აქვს...
არც გეხსომება
ხვალე დილამდე!

### წარსულთა ხსოვნას

შორი რაც იყო, დღეს არი
ახლოს...
რაც ახლო იყო დღეს რა შორია,
სიახლოვეში დღეს დარდი
სახლობს
და გული ტკივილს
დაუტბორია...

დღევანდელ შორეთს აღარ
მივტირი,
უბრალოდ, ფიქრი სევდას



უნდება
მე მენატრება შენი სიცილი,
დღეს რომ ღიმილად ძლივს
მიბრუნდება.

გადიან წლები და ყველაფერი
იცვლის ფერსა და აღქმების
გამას...
„ან ყველაფერი, ან არაფერი"! –
ვაი რომ ველარ, ვერ ვამბობ
ამას.

დღეს შეუცნობლის ახლოს
ვართ კართან
და გაგვილებენ, დრო როცა
მოვა...
ულმობელ ომში ვმარცხდებით
ქართან,
სიკვდილის დროს ხომ ყველა
მარტოა...

იქ ჩარჩა შენი სიცილის წლები,
რაც იყო ახლოს და დღეს
შორია...
სიახლოვეში დღეს დარდი
სახლობს
და გული ტკივილს
დაუტბორია...

### განწყობა

ამინდს კი არა, ან
გათოვლებას...
ვდარდობ გარდასულს, ყავლი
რომ გასდის,
გაგიკვირდება ამ ბედობა დღეს
წარსული წლების სუნი რომ
ასდის.

შენი ასაკის მითენებია...
სიყვარულის და დარდის
მიქსებით,
ძალიან მინდა ვიყო იქამდე...
ბოლოს და ბოლოს როცა
მიხვდები...

და განამწესებს არსთა გამრიგე,
რიგს ჩემი წასვლის, შენი
დარჩენის...
ეს ისე, მართლა,
სასხვათაშოროდ
და მერე იყოს სხვა დანარჩენი!

***
რა მრჯიდა მაშინ, ან რა მრჯის
ახლა,
მავანის ცოდვებს მოვწმინდო
დუჟი?!..
ბოლოს და ბოლოს, მართლა და
მართლა...
ის ნაგავია, რაც იყო გუშინ...

### სიბერე

გარდასულ დღეთა მრუმე
სიმძიმე...
გასავლელ დღეთა ერთობ
სიმწირე,
როცა სიზმრები გამოიძინე,
გამოსაფხიზლი –
გამოიფხიზლე...

მაშინ მოსულა თურმე სიბერე,
როგორც გონი და როგორც
სიბრიყვე,
რაც გულით გსურდა, რომ ვერ
იმღერე,
ის რაც მერესთვის
გადაიფიქრე...

წასულან ასე დღეები, წლები,
მონანიება...
არყოფნა მერე,
საუბედუროდ რა გვიან
ვხვდებით,
რა ადრე დგება თურმე სიბერე.

### ქვითხურო

*„ღონე" პაპას ხსოვნას*

შენი ნაშენი დღესაც დგას
უტყვი,
ვით იაკობი სამოთხის კართან,
მწამს საუგოს ვერავინ იტყვის
ვერც ეშმაკთან და ვერც
ზენაართან.

ბევრს ეცადნენ და ვერ
დაგამცირეს,
შენი ცხოვრება ღირსად დახურე,
შენი ნაღვაწი დიდი თუ მცირე,
მერწმუნე, უფრო მეტს
იმსახურებს.

მაგრამ ერთს ვიტყვი – შენ
კაცი იყავ,
და არ გიყვარდა დიდი ხმაური,
მე შენში სწორედ ეს კრძალვა
მხიბლავს
გასაოცარი და უცნაური...

ღონეს ბადიში – ეს წოდებაა,
ძვირფასი ჯილდო და რეგალია,
და თუ ვერ გავწვდეთ, პაპავ,
იცოდე,
მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი
ბრალია !

შენი ნაშენი დღესაც დგას
უტყვი,
ვით იაკობი სამოთხის კართან,
მწამს საუგოს ვერავინ იტყვის
ვერც ეშმაკთან და ვერც
ზენაართან.

### მ ჯ ე რ ა

შენ დარანების
კულტურა გქონდა,
უნიკალური ერდო თუ ბანი –
საქართველო კი გულით
დაგქონდა...
და მიდიოდა უკუნი ხანი.

ვერ შეგიცვალა ვერ რამ იერი,
შენ არ მოისხი სხვა
რჯულის კაბა!
შენი ქართული თვალსაწიერით,
ვინ შეგედაროს, მითხარი, აბა?!

შენ საქართველოს იყავ აკვანი,
მისი დიდების შემწე და ბურჯი –
დღესაც შენა ხარ მისი სამანი,
წინამებრძოლი უტეხი გურჯი.

არ გიყვარს ქება ლიქნა ნარევი,
არც რას შეირჩენ,
არც ჰკადრი სხვათა...
გტკივა სუყველა ნაიარევი –
საქართველოში,
კაცთა თუ ქვათა.

და მიდის ასე წრე
დროთა ბრუნვის,
უკვე გავლილის კვლავ
გიწევს გავლა,
მაგრამ მე მჯერა – გავა
დრო ურვის,
კვლავაც იხარებს
მესხური ალვა !

### მესხური ზალადა

დარაჯო ქვეყნის და
მეციხოვნევ,
ხარ უბოროტო ...
უერთგულესი,
შექმნა-შენების
უბადლო მცოდნე
და ბურჯი, შენი
საქართველოსი!
შენ საქართველოს იყავი ზღუდე,
წინამებრძოლი
და მენაპირე...
განგრევდნენ, გშლიდნენ,
გფხრეწდნენ ეშვებით
და რამდენჯერაც კი
დააპირეს
წინ აღუდექი
თავგამეტებით!

გაუცვეთელი გეცვა
ბეგთარი,
ფუნჯით ქარგავდი
თუ საჭრეთელით...
დანგრეულ კერას,
რწმენით ნეტარით,
ისევ ზღუდავდი
მტკიცე კედელით.

ასე მიჰქროდნენ ჟამნი
დროების,
როგორც უბელო
ბედაურები,
ერთად ყოფნის და
განმარტოების,
სიხარულის და
უბედურების!
მე სიყვარულის ახსნას
გავბედავ,
თითქმის ჩურჩულით და
მდუმარებით,
გული მიკვდება ასეთს რომ
გხედავ
შემოქმედს...
სულის გამყინვარებით.
რამდენ ვაებას
ღვთით გადაურჩი,
რამდენი დარდად
შემოგრჩენია ...
ოშკი, ხახული თუ
არტანუჯი
ოპიზარები...
შოთას გენია ...

### ნაკერფალები

წმინდა ნინოსი,
კიდევ რამდენი ...
ჩამოთვლაც მიჭირს,
მე ვაღიარებ –
ჭიქა ღვინოში,
რომ ხარ საბადო
ულევი ნიჭის!
აქ დაიბადა
ბევრი ლეგენდა,
შორს რომ გასტყორცნა
შენი სახელი...
მერე კი ... მერე
სისხლი შედედდა...
რამდენი დარჩა
გამოუთქმელი?!
და მაინც, ჩემო...
კრძალვით და რწმენით
შემოგბედავ და
მოგეფერები,
გულიც შენია და
სულიც შენი ...
და დაკოჟრილი
ჩემი ხელებიც!
იმსახურე და
ისე გახარჯე,
შენ, როგორც ჩათვლი,
შენს სამსახურად,
დრო როცა მოვა,
შენ შეაფასე,
ისე, ვინც როგორ
დაიმსახურა.
თუ არ ჩამითვლი კადნიერებად
(შენდამი კრძალვა
ვერ გაიყოფა),
და თუ დაგვბადა
ღმერთმა მესხებად
ჩვენ საამაყოდ
ესეც გვეყოფა!
დღეს ბევრი რამე,
მართლაც არ მაწყობს,
გამოთქმული თუ
გულში დაფლული,
ვავედრი უფალს
დღევანდელ აწმყოს,
შევთხოვ, დალოცოს
შენი წარსული.
დარაჯო ქვეყნის და
მეციხოვნევ,
ხარ უბოროტო ...
უერთგულესი,
შექმნა-შენების
უბადლო მცოდნე
და ბურჯი შენი
საქართველოსი!

# სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმის 80 წლის საიუბილეოდ

გაგრძ. დას. იხ. N4-8 2017წ

*„... რაკი მუზეუმი არის, ყოველი... ერთს ადგილას თავს მოიყრის, და ვინ იცის, ამ კაი ადგილას კარგთა გამგებელთა ხელში ერთად თავმოყრილმა ძველმა ნაშთმა რამდენიმე ახალი საბუთი მისცეს ჩვენს ისტორიასა და ჩვენის ისტორიის მაძიებელთა და მკვლევართა“.*

*ილია ჭავჭავაძე*

... გადიოდა წლები, სხვადასხვა დროს მუზეუმის საქმიანობას სათავეში ედგნენ ისეთი ღვაწლმოსილი ადამიანები, რომელთაც კეთილი ხნული გაავლეს და მტკიცე საძირკველი შექმნეს შემდეგი თაობებისათვის. ქალბატონი **ელენე დიდიმამიშვილის** უნივერსიტეტში დაბრუნების შემდეგ, ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებლად, ახალციხის რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგის ბრძანებით (№583/IX 43წ.) ინიშნება **ნინო ლავრენტის ასული მელიქიძე.**

*– ნინო მელიქიძე დაიბადა 1921 წელს ქ. ახალციხეში. 6 წლის იყო, როცა დაჟინებული თხოვნით მშობლებმა ქალაქის პირველ საშუალო სკოლაში შეიყვანეს*, – წერს ქალბატონ ნინოს უახლოესი მეგობარი და თანაკლასელი, შემდეგში მუზეუმის დირექტორი ქალბატონი **თამარ ჩილაშვილი** და აგრძელებს თხრობას – ნინოს სკოლის კედლებშივე ჩამოუყალიბდა სურვილი – *მასწავლებელი გამხდარიყო და, როცა მან წარჩინებით დაამთავრა ახალციხის პირველი საშუალო სკოლა, 16 წლის გოგონამ, იმავე წელს, მისაღები გამოცდები წარმატებით ჩააბარა და ჩაირიცხა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ხოლო 1941 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივესიტეტი წითელ დიპლომზე დაამთავრა – ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.*

*ნინო ყოველთვის გამოირჩეოდა ნიჭიერებასთან ერთად შრომისმოყვარეობით, წიგნისადმი უსაზღვრო სიყვარულით... სკოლის სისხლსავსე ცხოვრების ფერხულში ჩაბმული, ყოველთვის ავლენდა თავის უნარს, ენერგიას და პასუხისმგებლობას.*

დიახ, სწორედ გამორჩეული თვისებები დაეხმარა მას, როცა სხვადასხვა დროს ინიშნება – ახალციხის რაიონული გაზეთის „წითელი დროშის“ რედაქტორად, ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად, საქართველოს კპ ახალციხის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილედ (პარტიული კაბინეტის გამგედ); 1942-1945 წლებში საქართველოს ალკკ ახალციხის რაიკომის წევრია. სხვადასხვა დროს არჩეული იყო რაიონული და საქალაქო საბჭოს დეპუტატად და ა.შ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქალბატონ ნინოს საქმიანობის ერთ-ერთი ლამაზი ფურცელია მისი მოღვაწეობა ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. სადაც ამაგდარმა ქალბატონმა, დროის მცირე მონაკვეთში, სერიოზული და მიზანმიმართული საქმიანობით, სამუდამოდ დაიმკვიდრა საპატიო ადგილი მუზეუმის ისტორიაში. მუზეუმის საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ნინო მელიქიძე პირველ რიგში გაეცნო მუზეუმის გრძელვადიან გეგმას... მას მხედველობიდან არ გამორჩენია ის ფაქტიც, რომ აუცილებელი იყო მუზეუმის შენობის თუნდაც კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოს შესრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში ექსპოზიციის მოწყობა შეუძლებელი იქნებოდა.

ამასთან ერთად, დაიწყო ფიქრი, თუ რა საშუალებით შეიძლებოდა მუზეუმში მოძიებითი ექსპედიციების ტრადიციების გაგრძელება, როგორ უნდა წარემართა საქმიანობა, რომ საინტერესო გაეხადა დამთვალიერებლისათვის საგამოფენო ველი...

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მუზეუმის ფონდებში დაცულ ერთ-ერთ ხელშეკრულებაში ვგებულობთ; *„ერთის მხრივ, საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოება, მისი სწავლული მდივნის – სერგი იოსების-ძე მაკალათიას სახით, ხოლო მეორეს მხრივ, ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ნინო მელიქიძე, სდებენ ხელშეკრულებას შემდეგზე: საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოება კისრულობს ვალდებულებას, ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს მოუწყოს გამოფენა დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილი. გაგრძელება თანდართული გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, ხოლო მეორეს მხრივ, მუზეუმის დირექტორი ნინო მელიქიძე მოამზადებს გამოფენისათვის საჭირო დოკუმენტებსა და საგამოფენო მასალებს.*

*თბილისი, 22 ნოემბერი, 1943წ.“.*

*„... წინამდებარე ხელშეკრულებამ შესანიშნავი შედეგი გამოიღო და, დიდი წარმატებაც მოუტანა მუზეუმს“.* აღნიშნავს შემდეგში გაზეთ „წითელი დროშის“ ფურცლებზე მუზეუმის მომავალი დირექტორი ქალბატონი **თ. ჩილაშვილი.**

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ქალბატონი ნინო მელიქიძე წერილით მიმართავს გაზ. „კომუნისტის“ რედაქტორს ამხ. **ხატიაშვილს.**

*„ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი გასულ წელს შეუდგა დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილ გამოფენის შევსება-განახლებას მიმდინარე საომარ ვითარებასთან დაკავშირებით. ამ საქმისთვის მას ესაჭიროება წითელი არმიის გმირული საბრძოლო ეპიზოდების ამსახველი ფოტოსურათები.*

*მუზეუმი გთხოვთ, დაუთმოთ მას ხსენებული საჭიროებისათვის თქვენს გაზეთში სხვადასხვა დროს მოთავსებული სურათების ფოტო ასლები.“*

*მუზეუმის დირექტორი – ნ. მელიქიძე“.*

ასეთივე შინაარსის წერილებია დაგზავნილი ნინო მელიქიძის მიერ საქართველოს მხატვართა კავშირში. ხოლო **იოსებ იმედაშვილს** წერს შემდეგი შინაარსის წერილს – *„ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი აწყობს სამცხე-ჯავახეთის მოღვაწეთა გამოფენას, რისთვისაც მას ესაჭიროება ყოველგვარი ცნობები ამ კუთხიდან გამოსულ მოღვაწეთა ცხოვრება-შემოქმედების შესახებ.*

*მუზეუმის დირექცია გთხოვთ, ამხ. ილია მაისურაძის საშუალებით მოგვაწოდოთ საჭირო მასალები თქვენი შრომიდან – „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი.“*

*თქვენს მიერ მოწოდებული მასალების ღირებულების ასანაზღაურებლად მუზეუმი გაიღებს საჭირო თანხას. პატივისცემით – მუზეუმის დირექტორი, ნინო მელიქიძე“.*

მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონმა ნინომ მხოლოდ რამდენიმე თვე იმუშავა მუზეუმის დირექტორის თანამდებობაზე, როგორც ვხედავთ, იგი თავდადებით ეწეოდა აქტიურ სამუზეუმო საქმიანობას.



ნინო მელიქიძე



ნანა ჯინჭველაძე

## მესხეთის სიძველეთა საუნჯე

მონაწილეობდა სამცხე-ჯავახეთის მატერიალური კულტურის ისტორიის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების აქტუალური პრობლემების მოგვარებაში. დიდი მონდომებითა და ინტერესით მონაწილეობდა მუზეუმის შემდგომი დახვეწისა და განვითარების საქმეში.

მიუხადავად ჩვენ მიერ ზემოჩამოთვლილი რეგალიებისა, ნინო მელიქიძე-ბეგიშვილისა გახლდათ ჭეშმარიტი პედაგოგი... მისი პედაგოგიური საქმიანობის შესახებ წარმოგიდგენთ ამონარიდს სკოლის დირექტორის დახასიათებიდან – *„ნ. მელიქიძე, როგორც გამორჩეული პედაგოგი, თავის ცოდნას და გამოცდილებას უზიარებდა რაიონის სკოლების უცხოური ენების მასწავლებლებს (ინგლისური ენის სპეციალისტი) სისტემატურად უწევდა მათ დახმარებას, აქტიურად მონაწილეობდა რაიონული მეთოდური კაბინეტის მუშაობაში და იძლეოდა საინტერესო მითითებებს....*



თამარ ჩილაშვილი

*...ვგრძნობ ძალიან გამიგრძელდა საუბარი სახალხო განათლების წარჩინებულ პედაგოგზე, რესპუბლიკური მნიშვნელობის პენსიონერზე, სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის ყოფილ, წარმატებულ დირექტორზე და დიდი ნიკოლოზ ბეგიშვილის მეუღლეზე – ქალბატონ ნინო ლავრენტის ასულ მელიქიძე-ბეგიშვილიზე, რასაც იმსახურებს კიდეც“.* ... ნინო მელიქიძე პირადი განცხადების საფუძველზე თავისუფლდება მუზეუმის დირექტორის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით და ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად ინიშნება სრულიად ახალგაზრდა, პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი **თამარ სოლომონის ასული ჩილაშვილი** (ბრძანება №21. 8 დეკემბერი, 1943 წელი).

– **„თანახმად საქართველოს კ.პ.(ბ) ახალციხის რაიკომის ბიუროს დადგენილებისა, დღეის რიცხვიდან, შევუდექი ქ. ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის მოვალეობის აღსრულებას“** – აღნიშნავს ქალბატონი **თამარ ჩილაშვილი.**

უნდა აღინიშნოს, რომ თ. ჩილაშვილის მუშაობის პერიოდი ისე, როგორც დანარჩენი მისი წინამორბედებისა, დიდი სამამულო ომის პერიოდს დაემთხვა. მიუხედავად ომით გამოწვეული სიძნელეებისა, სრულიად ახალგაზრდა დირექტორის საქმიანობით მოხიბლული რაიონის ხელმძღვანელები დიდი პატივისცემით აღნიშნავდნენ მის სწორ და მიზანსწრაფული საქმიანობის შედეგებს. პირველი, რამაც ფართო საზოგადოების აღფრთოვანება გამოიწვია, ეს იყო მუზეუმის ფონდების მოსაწესრიგებელი სამუშაოების სრულყოფა. ამ მიზნით მან აღნუსხა 1937 წლიდან შემოსული ექსპონატები და საკუთარი ხელით შეადგინა მუზეუმის დიდი დავთარი, რომელშიც რეგისტრირებულია 1944 წლამდე მუზეუმში შემოსული ყველა ექსპონატი. ამ საქმეზე ქალბატონ თამარ ჩილაშვილს სამი თვის ენერგიული მუშაობა მოუხდა, შედეგად ამისა, დღესაც მის მიერ შედგენილი დავთრით მუშაობენ გამოჩენილი მეცნიერები და სხვა დაინტერესებული მკვლევარები.

თამარ ჩილაშვილის სახელს უკავშირდება ისეთი მნიშვნელოვანი საფონდო სამუშაოს ჩატარება, როგორიცაა – მუზეუმის ნუმიზმატიკის ფონდის შესწავლა – კლასიფიკაცია. ...ეს მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმეა, რის გამოც მუზეუმის დირექტორმა – ქალბატონმა თამარმა 1944 წლის 6 ნოემბერს მოიწვია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკური კაბინეტის გამგე, იმ დროისათვის მეტად წარმატებული მკვლევარი ბატონი **დავით კაპანაძე.**

დავით კაპანაძემ გულდასმით შეისწავლა ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდი, გამოიკვლია და დაადგინა თითოეული მათგანის რაობა და წარმომავლობა. დამუშავებული მონეტები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით სპეციალურ ყუთებში ჩაალაგა და მუზეუმის დალუქულ სეიფში მიუჩინა ბინა.

აქვე დავძენთ, – ნუმიზმატიკური ფონდის სიმრავლე და მისი მრავალფეროვნება იმითაც იყო გამოწვეული, რომ ახალციხე, როგორც სავაჭრო – სახელოსნო ქალაქი ერთ-ერთი მათგანი გახლდათ იმ სამ სამონეტო კართა შორის, რომელიც საქართველოში არსებობდა...

მუზეუმის დირექტორი აქტიურ საქმიანობას რომ ეწეოდა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ იგი ხშირად წერდა წერილებს იმ მეცნიერ-მკვლევარებს, რომლებიც სამცხე-ჯავახეთიდან იყვნენ. მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანი გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის ინსტიტუტის დოცენტი **ილია მაისურაძე.**

მუზეუმის დირექტორმა სწორედ მასთან გააფორმა ერთ-ერთი პირველი ხელშეკრულება, რომელიც მიზნად ისახავდა „ასპინძის ომის“ მეცნიერული ნარკვევის სახით გამოქვეყნებას, რაშიც მუზეუმი მკვლევარს გადაუხდიდა 300 მანეთს.

ამასთანავე, ხელშეკრულებაში ნათქვამი იყო, რომ თემის დამუშავებაში ილ. მაისურაძე გამოიყენებდა როგორც ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერ წყაროებს, ისე არსებული ლიტერატურისა და ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალებს. საინტერესოა, რომ დასახელებული საკითხის ირგვლივ არსებული მასალების შეკრება-გადაწერასა და ტექნიკურ სამუშაოთა შესრულებაში თემის ავტორს, მუზეუმის დირექტორის თხოვნით, მუზეუმის მუშაკებიც დაეხმარებოდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მუზეუმის ახალგაზრდა თანამშრომლებს გარკვეული პრაქტიკული ცოდნა მიეღოთ შემდგომი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის.

...თამარ ჩილაშვილს დაკისრებული მოვალეობისადმი ერთგულება და აკადემიურობა მთელი ცხოვრების მანძილზე მეგზურად გაჰყვა...

თამარ ჩილაშილის მუზეუმის დირექტორობიდან სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო, ვკითხულობთ მუზეუმის არქივის დოკუმენტში – 1945 წლის 12 თებერვალს ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად დაინიშნა **ნანა Lლუკას ასული ჯინჭველაძე.** საფუძველი, რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგის ბრძანება № 25, 12/II-1947წ.

ქალბატონ ნანა ჯინჭველაძის ბიოგრაფია, ისე, როგორც მისი წინამორბედი დირექტორებისა, ახალციხის ქართული საშუალო სკოლის კედლებიდან იწყება, რომლის სრული კურსი ნ. ჯინჭველაძემ წარჩინებით დაამთავრა 1938წ. და, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე, სკოლის დირექციამ, იქვე დატოვა უფროს პიონერხელმძღვანელად...

1939 წელს ნ. ჯინჭველაძემ წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო-სარკინიგზო ფაკულტეტზე. მიუხედავად მისი შესაძლებლობისა, ოჯახური მდგომარეობის გამო იძულებულია მე-3 კურსიდან დატოვოს ინსტიტუტი და დაბრუნდეს მშობლიურ ქალაქში...

1945 წლის თებერვლიდან მუშაობას იწყებს ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად. 1949 წელს სწავლას აგრძელებს თბილისის ალ. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე ფიზიკა-მათემატიკის სპეციალობით, რომელსაც იგი წარჩინებით ამთავრებს 1954 წელს. ამის შემდეგ ნანა ჯინჭველაძე წარმატებული პედაგოგი და დირექტორი გახლდათ.

ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ნანა ჯინჭველაძე მუზეუმში მისვლის პირველივე დღეებში მოხსენებითი ბარათით მიმართა ახალციხის პარტიის რაიკომის პირველ მდივანს **გიორგი კირვალიძეს,** სადაც, დეტალურად აუხსნა მუზეუმში არსებული მდგომარეობა და ზოგიერთი საკითხის გამოსწორების მიზნით მოითხოვა დახმარება. აქვე გთავაზობთ მოხსენებითი ბარათის შემოკლებულ შინაარსს: *„შევუდექი რა მუზეუმის დირექტორის მოვალეობის შესრულებას, მოგახსენებთ, რომ ყოფილი დირექტორების მიერ მთელი რიგი სამუშაოებია ჩატარებული. მათ შორის მუზეუმის სრული ინვენტრიზაცია, სანიმუშოდაა მოწესრიგებული მუზეუმის ბიბლიოთეკა, მოვლილია მუზეუმის მეცნიერ-მუშაკების მიერ დარგობრივად შეგროვილი შრომები. ცალკეა დალაგებული მუზეუმის საარქივო მასალები, რომლის სათანადოდ დამუშავება მოითხოვს სპეციალისტებს.*

*დღეისათვის მუზეუმის მდგომარეობის გაცნობამ საჭიროდ დამანახა, მოგმართოდ თხოვნით, რომ 1945 წლის სამუშაო გეგმების განსახორციელებლად, ხელთ გვაქვს უნიკალური მასალები სამამულო ომის თემაზე, რისი საშუალებითაც შეგვიძლია მოვაწყოთ ძალიან საინტერესო გამოფენა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ჩვენი მხარის როგორც მოსახლეობისათვის, ასევე ქვეყნის სხვადასხვა კუთხის დამთვალიერებელთა და, განსაკუთრებით – სკოლის მოსწავლეებისათვის, მაგრამ მუზეუმის ფართის სივიწროვის გამო, ეს არ ხერხდება. Aამიტომ გთხოვთ თქვენს განკარგულებას, გაგვითავისუფლონ მუზეუმის პირველ სართულში მდებარე ყველა ოთახი და სარდაფი. ამ გამოფენის მოსაწყობად აგრეთვე საჭიროა საკმაო რაოდენობის ფარები და მინა ვიტრინებისათვის.“* *მომხს. ნ. ჯინჭველაძე,* 16/II-1945წ.

ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები რომ ბატონმა გიორგი კირვალიძემ მუზეუმის დირექტორს ერთი სამუშაო კვირის განმავლობაში მოუგვარა, ეს ჩანს მუზეუმის დირექტორის **ნანა ჯიჭველაძის** საპასუხო წერილში – *„ბატონო გიორგი ვლადიმერის ძევ, ჩვენი მუზეუმის და ჩემი სახელით დიდ მადლობას მოგახსენებთ დროული დახმარებისათვის. გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს, ძალიან დიდხანს ბრძანდებოდეთ ჩვენი რაიონის ინტერესების დამცველი და მოამაგე. პატივისცემით, მუზეუმის დირექტორი – ნანა ჯინჭველაძე„.*

მისასალმებელია, რომ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო სივრცის მაღალ დონეზე მოწყობის პრაქტიკა დიდად დაუფასებია განსახკომის კომიტეტის ხელმძღვანელობას და მუზეუმში მოუვლინებია გამოცდილი სპეციალისტები – **ა. კრიხელი** და *ნ. ბადრიაშვილი.* აღნიშნულის შესახებ ვკითხულობთ: – *„1945 წლის 9 ივნისი ქ. ახალციხე. ა. კრიხელი და ნ. ბადრიაშვილი აფორმებენ ხელშეკრულებას მუზეუმის დირექტორთან ამხ. ნ. ჯინჭველაძესთან, რათა შეადგინონ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფართობის გენერალური ექსპოზიციის სქემატური გეგმა. რისთვისაც:*

*ა). დაადგინოს ექსპოზიციის მარშრუტები;*

*ბ). გენერალური ექსპოზიციის თემატიკა და ქრონოლოგია;*

*გ). შეადგინონ გენერალური ექსპოზიციის საორიენტაციო გეგმა:*

*ისტორია-ეთნოგრაფიის და სოც.მშენებლობის განყოფილების თემატიკაზე“.*

ხელს აწერენ: ნ. ჯინჭველაძე,
ა. კრიხელი და
ნ. ბადრიაშვილი. 9/VII-1945წ.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, მუზეუმის საქმიანობაში ოდნავ გარკვეული ადამიანიც კი მიხვდება, თუ რა მნიშვნელობა ენიჭებოდა ნანა ჯინჭველაძის მიერ ა. კრიხელთან და ნ. ბადრიაშვილთან გაფორმებულ ხელშეკრულების შესრულებას, რაც ნამდვილი გარანტია იყო მუზეუმის შემდგომი წარმატებული საქმიანობისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ისე, როგორც მისი წინამორბედი დირექტორები, ქალბატონი ნანაც სულ რამდენიმე თვეს მუშაობდა ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად, მაგრამ მათი მიზანმიმართული საქმიანობით დამერწმუნეთ, რომ დიდი და ძლიერი ხიდია გადებული მუზეუმის წარსულსა და მომავალს შორის.

ციური ლაფაჩი

# ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის

**თინა იველაშვილი**

*პროფესორი*

*„მამული, ენა, სარწმუნოება — ეს ისეთი ცნებებია, რომელიც ნორმალური თვითმყოფადი სახელმწიფოებრიობის არსებობისა და მისი, შინაგანი სიმტკიცის ნიშან-სვეტია;*

*ეს ისეთი ცნებებია, რომლის დაცვა-შენახვისათვის ყოველ ეპოქაში ერიც და ბერიც მხარდამხარ, თავგანწირვით უნდა იყოს.*

*სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათგან: მამული, ენა, სარწმუნოება.*

*თუ ამათაც არ ვეპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას.“*

*წმიდა ილია მართალი*

ქართველი ერი საქართველოს სახელმწიფოებრივ არსებობას ყოვლისმომცველ, მრავალი სასიცოცხლო მნიშვნელობით დატვირთულ სამ ცნებას, — **მამულს, ენას** და **სარწნუნოებას,** — უკავშირებს. ამ მუდმივი განუყოფელი სამეულიდან ერთ-ერთის დაკნინება-დამცრობა დანარჩენი ორის და, შესაბამისად, მთლიანი ერის არსებობას უქმნის საფრთხეს.

მამული, ენა, სარწმუნოება — ეს ისეთი ცნებებია, რომლებიც ნორმალური თვითმყოფადი სახელმწიფოებრიობის არსებობისა და მისი, შინაგანი სიმტკიცის ნიშან-სვეტია; ეს ისეთი ცნებებია, რომელთა დაცვა-შენახვისთვის ყოველ ეპოქაში ერიც და ბერიც მხარდამხარ, თავგანწირვით უნდა იბრძოდეს. ამასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ თავის დროზე **გიორგი მერჩულე** აღნიშნავდა: *„ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“.*



დღეს ჩვენს ქვეყანაში მიზანმიმართულად, დიდი ხანია ებრძვიან ქართულ ეროვნულ მენტალობას, აზროვნებას, მრწამს და, საერთოდ, ყველაფერს იმას, რაც კი ქართველ კაცს მრავალი ათასი წლის განმავლობაში შეუქმნია. მათი ამოცანაა — საქართველოში ქართველმა დაივიწყოს თავისი ისტორია, წარმომავლობა და რაღაც უეროვნებო, უჯიშო, რწმენადაკარგულ, გაუგებარ წარმონაქმნად იქცეს. **დიდი ილია** გვაფრთხილებს: *„ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი თავის საუბედუროდ თავის ისტორიას ივიწყებს ... როგორც კაცად არ იხსენიება მაწანწალა, რომელსაც აღარ ახსოვს ვინ არის იგი, საიდამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელიც არ არის იგი, რომელსაც თავისი ისტორია არ ახსოვს ... ამისთანა ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, არ იცის ვინ არის და რისთვის არის“.*

*მამული.* ამ სამი ცნებიდან მამული ეს არის ყოველი დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის (*მნიშვნელობა არ აქვს ის დემოკრატიულია თუ არა*) საყრდენი ქვაკუთხედი, რომლის გამოცლა მისი დაქცევის ტოლფასია.

*„მამული!... ამ სიტყვის ყოვლად-მპყრობელი მნიშვნელობა ვრცელია და ფართო. იქ, საცა ხალხი დარღვეული არ არის და განთვითეულობა — ეგ ჭირთა-ჭირი არ მეფობს, იქ მაგ სიტყვის აზრი ცხოვრების მიმნიჭებელი სულია მთელი ხალხისა, და მთელს ხალხს თვითოეულსა ჭირი და ლხინი წარმოუდგება ხოლმე. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ დიდი და პატარა, ქალი და კაცი თავისი ქვეყნის ნაღველითა ნაღვლობს, ლხინითა ლხინობს, დღეობითა და სასოებითა — დღესასწაულობს ... ჩვენში! ჩვენშიც მაგ სიტყვას მაგეთი მნიშვნელობა ჰქონია თურმე... ეხლა ეგ დიდებული სიტყვა თითეულის ჩვენთაგანის გათავთავებულ უძრავს ქონებას ნიშნავს და არა მთელის ხალხის სამშობლოს“* (ილია).

მეფის რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ანექსიის შემდეგ, საქართველოს მოსახლეობის გაბატონებული ფენის დიდმა ნაწილმა დაკარგა რა ქვეყნის მართვა-დაცვაში გარკვეული ფუნქცია, ნაცვლად იმისა, რომ მის ხელში თავმოყრილი მიწა-წყლისთვის მიეხედა და მოევლო, ფუქსავატ ცხოვრებას მიჰყო ხელი და მისი განიავება დაიწყო. მამა-პაპის სისხლით შენარჩუნებულ ადგილ-მამულს ძირითადად უცხოელებზე და საქართველოში ახლად ფეხადგმულ უცხო ტომის ჩარჩ-ვაჭრებზე კაპიკების ფასად ჰყიდდა. შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის ბოლოს საქართველოში საუკეთესო მიწების უდიდესი ნაწილის მესაკუთრენი ძირითადად უცხო ტომელები იყვნენ. ამ პროცესს ქართველი საზოგადო მოღვაწენი (ი.ჭავჭავაძე, ნ.ნიკოლაძე და სხვები) შეშფოთებით ადევნებდნენ თვალს და მოსახლეობას გამოფხიზლებისკენ მოუწოდებდნენ. რუსეთის ცარისტული ხელისუფლება კიდევ რამდენიმე ხანს რომ დარჩენილიყო, ალბათ, ქართველი კაცის ხელში მამაპაპური მამულის გოჯიც კი აღარ დარჩებოდა.

1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, გამოცემული დეკრეტით, მიწის ნაციონალიზაცია გამოცხადდა (ყველა მესაკუთრეს, განურჩევლად ეროვნებისა, ჩამორთვეს მამულები და სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადეს). ვინც ამ პროცესს შეეწინააღმდეგა, გააკულაკეს და შუა აზიაში გადაასახლეს, ღარიბ-ღატაკი გლეხობა კი კოლექტიურ მეურნეობებში გააერთიანეს და დროებით მფლობელობაში მცირეოდენი საკარმიდამო ნაკვეთები დაუტოვეს. შეიძლება ითქვას, რომ იმ დროისათვის მიწის ნაციონალიზაცია (სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლა) იყო ერთადერთი სწორი ნაბიჯი, რომლის მეშვეობითაც, 70 წლის განმავლობაში, ე.წ. საბჭოთა საქართველო საკუთარი მიწის თუნდაც ფორმალურ მესაკუთრედ დარჩა.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ, დაიწყო მიწის აქტიური დენაციონალიზაცია. მისი გარკვეული ნაწილი მოსახლეობას საკუთრებაში გადაეცა; უდიდესი ნაწილი, ტყის მასივებთან ერთად კი, სახელმწიფოს (უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, მმართველი ხელისუფლების) ხელში აღმოჩნდა. ამ უკანასკნელთა მიერ ეროვნული სიმდიდრის უმოწყალო, არასწორი ექსპლოატაციის წყალობით, ქვეყნისათვის გამოუსწორებელი ეკოლოგიური ზიანი უკვე სახეზე გვაქვს.

საგანგაშოა ისიც, რომ აქედან გამომდინარე, უმდიდრესი წიაღისეული (მარგანეცის, კვარცის, ნავთობის და სხვა სახის უმნიშვნელოვანესი საბადოები), ენერგეტიკის, წყალმომარაგების, ტყის მასივები, დარჩენილი სამრეწველო ქარხნები და ა.შ. — ქვეყნის სასიცოცხლო არტერიები, — არა მის რეალურ მეპატრონეს — ქართველ ხალხს, არამედ უცხოტომელებს (ყოველ შემთხვევაში ოფიციალურად ასე ჩანს) კაპიკების ფასებში ჩავაბარეთ.

თუ ასე გაგრძელდა, ალბათ, ქვეყნის სოფლის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს საბოსტნე ნაკვეთიც კი აღარ დარჩება. თუ ამას დავამატებთ ახლახან (2008 წელს) ჩვენი მიწების ოცი პროცენტის დაკარგვას, საიდანაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი მოსახლეობა ძალით აჰყარეს და ბოგანო ლტოლვილად აქციეს, გამოდის, რომ სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და ძლიერებას ჩვენ თვითონ, ჩვენი ხელით, ვუთხრით ძირს; მოსახლეობას ვაიძულებთ სოფლები მიატოვონ — დაცალონ, ქალაქებში გადაიხვეწონ და დღიურ მუშად — მეკურტნეებად იქცნენ.

საქართველო ოდითგანვე აგრარული ქვეყანა იყო და შეიძლება ამან გადაგვირჩინა, როგორც სახელმწიფო და დღემდე მოგვიყვანა. ეს კარგად იციან ჩვენმა უცხოელმა „კეთილის მსურველებმა“ და ამიტომ ყველანაირად ცდილობენ — ქართველი მიწათმოქმედი მეურნე მოწყვიტოს იმ მიწას, რომელზედაც უძველესი დროიდან ჭაპლარით არის მიბმული. მიწას მოწყვეტილი მეურნე კი, როგორც საყრდენგამოცლილი, იძულებულია თავის გატანისათვის დღიური სამუშაო ეძებოს. ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და გაძლიერებისათვის დაინტერესებულმა სახელმწიფოს ხელმძღვანელობამ სწორედ სოფლის მეურნეობის აღდგენა-გაძლიერებისაკენ უნდა აიღოს გეზი და არა მის დაცლა-გაპარტახებისაკენ, რადგან *„რა ამოწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდეს“!* რამდენიმე საუკუნის წინ ნათქვამი ეს ბრძნული გამონათქვამი დღესაც აქტუალურია და მომავალშიც აქტუალური იქნება.

მიწის უცხოელებზე გასხვისებით — დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოებრიობას ერთ-ერთ ძირითად და უმნეშვნელოვანეს საყრდენს ვაცლით. თავის დროზე მიწის გასხვისებასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძემ დაარისხა ზარები და შეშფოთებული გვაფრთხილებდა: *„ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიან მტერს გავუძელით, გადავრჩით. ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსულმა ვერა დაგვაკლო-რა, შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული კი — თან გაგვიტანს, ფეხქვეშ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან“.*

*ენა.* ენა სახელმწიფოს თვით იდენტიფიკაციის ერთეულია, ღერძია. ილუზიაა იმის მტკიცება, თითქოს მრავალეთნიკური (შესაბამისად მრავალენოვანი) ქვეყანა ეთნოსების სიმრავლით სახელმწიფოს ღირსება და სიმდიდრე იყოს. ეს მისი ღირსება კი არა, მისი დაკნინება არის. ენა ცოცხალი ორგანიზმია და, ამავე დროს, ცვალებადიც. როდესაც ერთდროულად მრავალმხრივი (ზნეობრივი, მორალური, ფიზიკური, ეროვნული და ა. შ.) სახედაკარგვის საშიშროება ემუქრება ამა თუ ამ კონკრეტულ ქვეყანას, პირველ რიგში ენას უნდა მოუფრთხილდნენ, რადგან ე ნ ა ერის სულია და როდესაც სული კვდება, მაშინ სხეულის ფიზიკურ დარჩენას აზრი ეკარგება. სული — ენა კი მაშინ კვდება, როცა მას ამახინჯებენ. სამწუხაროდ, დღეს, საქართველოში, ეს პროცესი მიზანმიმართულად მიმდინარეობს, რაც ქვეყნის დამოუკიდებლად არსებობას საფრთხეს უქმნის.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ოცწლეულია, მიზანმიმართულად მიმდინარეობს ქართული ენის — ერის სულის, როგორც სახელმწიფო ენის, არა მხოლოდ შეგნებულად დაკნინება-დამცრობა, არამედ ანგლოფიცირების ნიღაბს ამოფარებული უცხო სიტყვებით გაჯერება-დანაგვიანებაც. საყოველთაოდ ცნობილია, რომ უცხო სიტყვათა მოძალება ქართულ ენაში საკმაოდ სერიოზულ პრობლემებს ქმნის მოქალაქეთა აზროვნებაშიც. ფაქტია, რომ ენა, წერა და აზროვნება, ეს ერთიანი პროცესია, რომელიც ეფუძნება ლოგიკას. აქედან გამომდინარე, ერთის დანაგვიანება-დაკნინება ავტომატურად უარყოფით გავლენას ახდენს დანარჩენ ორზეც.

სახელმწიფო ენის დისკრედიტაცია ნათლად გამოჩნდა განათლების სისტემაში გატარებული ე.წ. რეფორმებიდანაც, რომელიც მიზანმიმართულად ჩვენს ახალგაზრდობაში ეროვნული მენტალიტეტის, ეროვნული თვითშეგნებისა და ცნობიერების მოშლისათვის მიზანმიმართულად იყო შემუშავებული.

ცნობილი ფაქტია, რომ ენა ადამიანში კოდირებულია და მისი ეროვნულობის გამომხატველია. ამიტომ აუცილებელია ბავშვმა მშობლიურ ენაზე აიდგას ენა და პირველდაწყებითი განათლებაც მშობლიურ ენაზე მიიღოს. ამას ადასტურებენ პედაგოგიური და ფსიქოლოგიური აზროვნების უდიდესი წარმომადგენლები: **იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი უზნაძე** და სხვები. ახლო წარსულში პროფესორი **გურამ რამიშვილი** წერდა: *„სწორედ დედაენის საფუძვლიანი ცოდნა უნდა იქცეს სხვა ენების სწავლების, კულტურის აღქმისა და გაგების ბაზად.“*

ათეული წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევების საფუძველზე მსოფლიო პედაგოგიურ მეცნიერებაში დღეისათვის აღიარებულია, რომ პატარამ, სულ ცოტა, ცხრა წლამდე ჯერ მშობლიური ენის სტრუქტურა და ლექსიკური მარაგი უნდა აითვისოს, რათა ეროვნული მენტალიტეტი ჩამოუყალიბდეს. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოხდეს სხვა უცხო ენების შესწავლის დაწყება. ჩვენმა ვაირეფორმატორებმა კი უცხო ენის, კერძოდ, ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება სავალდებულო გახადეს პირველი კლასიდან. ყოველივე ეს მომავალ თაობებში ქართული მენტალიტეტისა და ეროვნული ცნობიერების თანდათანობით ამოძირკვის მიზნით შეგნებულად კეთდება.

რა თქმა უნდა, აქსიომაა, რომ განათლების სისტემა უნდა აიგოს, უპირველესად, დედაენაზე და უნდა ეფუძნებოდეს ქართულ ქრისტიანულ ღირებულებებს. *„თუ დედაენით არ ხარ გაზრდილი, გულში გაკლია ცეცხლი ქართული,“ — არც* თუ დიდი ხნის წინ ბრძანა დიდმა **მუხრანმა.** ეს კარგად იციან „მსოფლიოს ახალი წესრიგის“ ინიციატორებმა და ამიტომ თავიანთი ყურმოჭრილი, ოცდაათ ვერცხლზე გაყიდული, ე.წ. „ქართველი პოლიტიკოსების“ ხელით ყველაფერს აკეთებენ, რომ მომავალ თაობებში ქართული ეროვნული კოდი, გენი და სული გაანადგურონ — ჩაკლან, რათა თავიანთთვის სასურველი მართვადი საზოგადოება შექმნან.

დიდი ილია ბრძანებდა: *„ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილი ხელით არ უნდა შეეხოს. ... სხვისა არ ვიცით და ჩვენ მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენს მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას.“* იმ პერიოდისათვის ქართულ ენაში უცხო სიტყვების მოძალებასთან დაკავშირებით კი მიუთითებდა: *„პირუტყვ-ბუნების ხმის მსგავსი სიტყვებით აივსო ჩვენი ენა.“*

ქართული ენის უცხო სიტყვებით დანაგვიანების შესახებ **გრიგოლ ორბელიანი** გულის ტკივილით აღნიშნავდა:

*„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, მოეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“.*

ენის მნიშვნელობასთან დაკავშირებით მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში **ივ. გვარამაძე** აღნიშნავდა: *„შთამომავლობის სრულფასოვან მამულიშვილად ჩამოყალიბებას საფუძვლად ორი ძირითადი პირობა მაინც უნდა დაედოს: რომ მან უნდა ილოცოს მშობლიურ ენაზე და აუცილებლად უნდა მოიწურთნას მშობლიურ ენაზე, რადგან რწმენაც და ცოდნაც სხვა არაფერია, თუ არა თვით ადამიანის სულში ენის საშუალებით კოდირებული მემკვიდრეობა, რომლის უარყოფა თვით მემკვიდრეობის უარყოფას ნიშნავს. უპირველესი ყურადღება უნდა მიექცეს სკოლასა და ეკლესიას. ჩვენი გადარჩენა ამ ორ საგანზედ არის დამოკიდებული“.*

დიდი პედაგოგის **ვლადიმერ პიროგოვის** მითითებით: *„ბავშვის მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების საფუძველზე ხდება მისი ეროვნული სულის კვეთების, მენტალიტეტის, მსოფლმხედველობის და შემოქმედებითი უნარის ჩამოყალიბება.“* ,

შეიძლება ითქვას, რომ დღეს, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, ქართული ენა უფრი სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა (არა მარტო სიწმინდის, არამედ სახელმწიფო სტატუსის თვალსაზრისითაც) ვიდრე ის მეცხრამეტე საუკუნეში იყო

ენისადმი დამოკიდებულება სახელმწიფო აზროვნებაზე მეტყველებს. ენა განათლების საფუძველია. სახელმწიფომ, თუკი მას დამოუკიდებლობისა და თავისუფლების პრეტენზია აქვს, თუკი ის თავისი თავის პატრონია, მშობლიური ენა, როგორც სახელმწიფო ენა, გარე თუ შიდა ზეწოლისაგან, ასევე უცხო სიტყვებისა და შეგნებულად თავსმოხვეული ჟარგონებით დანაგვიანებისაგან, უნდა დაიცვას.

ყველა ნორმალური სახელმწოფო და ერი, ყოველთვის ცდილობდა და დღესაც ცდილობს დაიცვას სახელმწიფო ენა მოძალებული ბარბარიზმებისა და უცხო სიტყვებით დანაგვიანებისაგან. სამწუხაროდ, ამ საქმეშიც მოვიკოჭლებთ.

საინტერესოა, რატომ გვახვევენ ეს ვაილიბერალები თუ ვაიდემოკრატები ქართულის — მშობლიური ენის დაკნინების ხარჯზე ინგლისური ენის სავალდებულოდ ცოდნას? კონსტიტუციურად უფლება მაქვს, ვიყო ერთი ადამიანი ჩემი ენით, ჩემი მამულით, ჩემი სარწმუნოებით ჩემს ქვეყანაში და ინგლისური ენის ცოდნის გარეშე თავისუფლად შემეძლოს სამთავრობო თუ კერძო სტრუქტურებში დასაქმება. თუ ეს რეალურად შემძლება, მხოლოდ მაშინ შევძლებ შევიყვარო სხვა ერის წარმომადგენლები და პატივი ვცე მათ ენას, სარწმუნოებას, ტრადიციებს, სახელმწიფოებრიობას.

ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა, იმდენად დავაკნინეთ, რომ დღეს ჩვენი მეზობელი ქვეყნები, რომელთა მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, გამიზნული ზრახვებით, აგერ XIX-XX საუკუნეებში შემოგვისახლეს, უკვე ოფიციალურად, თითქმის სახელმწიფო დონეზე გველაპარაკებიან და რჩევასაც გვაძლევენ, რომ ამ შემოცხოვრებულთათვის მათი ენა სახელმწიფო ენის გვერდით მეორე ენად გამოვაცხადოთ. ასე მაგალითად, 2007 წელს სომხეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საქართველოში (კონკრეტულად სამხრეთ საქართველოში) სომხურ-ქართულენოვანი უმაღლესი სასწავლებლის გახსნის საკითხი ოფიციალურად დასვა.

2010 წელს სამცხე-ჯავახეთში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა იმოგზაურა. რეგიონის გარკვეულ ოფიციალურ წრეებთან შეხვედრისას გამოთქვა აზრი, რომ სასურველია აქ მაცხოვრებმა სომეხმა ახალგაზრდობამ უმაღლესი განათლება მშობლიურ — სომხურ ენაზე მიიღოს. რა თქმა უნდა, ეს იყო ამერიკის ელჩის დონეზე სომხეთის ხელისუფლების და ოფიციალური პირების პოზიციის დაფიქსირება, იმ პოზიციისა, რომელზედაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაგან სასურველი პასუხი ვერ მიიღო.

გარდა ამისა, სომხეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მთავრობაც ყველანაირად ცდილობს საქართველოში (განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც სომხური, აზერბაიჯანული მოსახლეობაა) მიაღწიოს იმას, რომ სომხური და აზერბაიჯანული ენა ოფიციალურად რეგიონულ ენებად გამოცხადდეს. ეს საკითხი არაერთხელ დაისვა ოფიციალური პირების შეხვედრის დროსაც.

საქართველოს შესაბამისი უწყებებიდან უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ განსაკუთრებით სომხეთის მხარემ (პრესა, პერიოდული გამოცემები, პოლიტოლოგები, პოლიტიკური პარტიები, ანალიტიკოსები, მთავრობის წარმომადგენლები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები) ვაიუშველებელი ატეხა და მიზანმიმართულად ცდილობს არა მარტო სომხები, არამედ მსოფლიო საზოგადოება დაარწმუნოს იმაში, თუ რა აგრესიულად ექცევა საქართველო იქ მაცხოვრებელ ეთნიკურ უმცირესობას, განსაკუთრებით, სომხებს. ამ საკითხისადმი ქართული მხარის სამართლიანი მიდგომა სომხეთის რესპუბლიკის პოლიტიკოსთა და ისტორიკოსთა გარკვეულმა ნაწილმა (ჩვენ ვიტყოდით, დაშნაკებმა) საქართველოში შემოცხოვრებული სომხების მიმართ თეთრი გენოციდის ტოლფასად გამოაცხადა.

როგორც ჩანს, ისინი ამას უსაფუძვლოდ არ ითხოვენ. საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომრის **დავით დარჩიაშვილის** განცხადებით: *„ევროკავშირში გაერთიანების დროს საქართველომ ხელი მოაწერა გარკვეული ვალდებულებების შესრულებას, რომელთა განხორციელებაც დროთა განმავლობაში უნდა უზრუნველყოს. ერთ-ერთი ასეთი ვალდებულებაა „რეგიონულ ენათა ქარტია,“ რომელიც გულისხმობს ეთნიკური უმცირესობების ენებისათვის ოფიციალური სტატუსის მინიჭებას, ვინაიდან სწორედ ესაა გზა ევროპისაკენ. ... დოკუმენტი ჯერ რატიფიცირებული არ არის და საკითხის სასწრაფოდ გადაწყვეტა დღის წესრიგში არ დგას. უბრალოდ, მიმდინარეობს საკითხის განხილვა... და რადგან ამ საუბრის შესახებ ინფორმაციამ გაიჟღერა* (*რას ჰქვია ინფორმაციამ გაიჟღერა? ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე მოსახლეობისაგან ფარულად, მისი ნებელობის გათვალისწინების გარეშე იღებ ვალდებულებას? — თ.ი.*), *ამის გამო აჟიოტაჟის ატეხვა ჩემთვის გაუგებარია. ... ევროსაბჭოს რაც შეეხება, იქ „რეგიონულ ენათა ქარტია“ მიღებულია და ეს ევროსაბჭოში გაწევრიანების დროს ერთ-ერთ ვალდებულებად საქართველომ ამ ვალდებულების შესრულებასაც მოაწერა ხელი. მიმდინარეობს მსჯელობა, როცა გვეკითხებიან, თუ სომხეთმა მოახდინა ქარტიის რატიფიცირება, თქვენ რატომ არ ახდენთო, ჩვენ ვუხსნით, რომ ჩვენი მრავალეთნიკურობა განსხვავებულია სომხეთისაგან. არავინ გვახრჩობს, რომ ხვალვე მოვაწეროთ ხელი, მაგრამ საკითხის განხილვა აუცილებელია.“*

იგი აქვე დასძენს: *„რეგიონული ენის სტატუსი ნიშნავს, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს შეეძლოთ თავიანთ ენაზე განათლების მიღება, სამართალწარმოება, საგზაო ნიშნები, წარწერები იქნება მათთვის გასაგებ ენაზე... ამ დროისათვის ევროსაბჭოს წევრი ქვეყნებიდან ყველას არ მოუწერია ხელი“.* რას ვერჩით სომხეთის მხარეს? ის ჩვენს ქვეყანაში მაცხოვრებელი თავისი ხალხისათვის ითხოვს იმ ვალდებულების შესრულებას, რაც საქართველომ ევროსაბჭოს წინაშე აიღო.

ეს საკითხი დღესაც სომხეთის გარკვეული წრეების ძირეულ ინტერესთა სფეროს რომ წარმოადგენს, ამას ნათლად ადასტურებს 2011 წლის შემოდგომით, ერევანში გამართული სრულიად სომეხთა ფორუმი, რომელსაც 50 ქვეყნიდან 500-მდე სათვისტომოს წარმომადგენელი ესწრებოდა. ჯავახეთში მოქმედმა დაშნაკური პოლიტიკური ორგანიზაცია, — **„ჯავახკ“**-ის ხელმძღვანელმა თავის გამოსვლაში საქართველოში მცხოვრები სომხებისთვის რეგიონული ენის სტატუსის, ორმაგი მოქალაქეობისა და ჯავახეთისათვის ადმინისტრაციული ავტონომიის საკითხი დასვა. მისი განცხადებით: *„სომხები უსაყვარლეს კუთხეს — ჯავახეთს კარგავენ. საქართველოს ხელისუფლების დისკრიმინაციული პოლიტიკის წყალობით წალკა, ახალციხე, ახალქალაქი და ნინოწმინდა სომეხი მოსახლეობისაგან იცლება. სომხები მიდიან ასპინძის, ბორჯომისა და ადიგენის რაიონებიდან. საქართველოს მთავრობის ზეწოლის მიუხედავად, სომხური სკოლები სასწაულებრივად ახერხებენ მუშაობას. 20-30 წლის შემდეგ ჯავახეთი სომხური აღარ იქნება. უნდა მივაღწიოთ, რომ სომხურმა ენამ რეგიონული ენის სტატუსი მოიპოვოს; უნდა მოვითხოვოთ სომხური ეკლესიების დაბრუნება. საქართველოსა და სომხეთს შორის სომხებისათვის ორმაგი მოქალაქეობისა და სამცხე-ჯავახეთ-წალკის ადმინისტრაციულ ავტონომიად გამოცხადების საკითხის განხილვა სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა მოხდეს“.*

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ხელისუფლება მეზობელი ქვეყნის აშკარა თუ შენიღბულ მოთხოვნებს ნაბიჯ-ნაბიჯ ასრულებს. ამის ნათელი დასტურია ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის მიმართ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნიჰილისტური ქმედებაც. კერძოდ: დადგენილება ეროვნული გამოცდების შესახებ, რომლის მიხედვითაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებს აბარებენ არა სახელმწიფო, ე.ი. ქართულ ენაზე, არამედ იმ ენაზე, რომელ ენაზეც დაამთავრეს საჯარო სკოლა. ვფიქრობთ, ყოველივე ეს შეგნებულად კეთდება იმისათვის, რომ თანდითანობით ნიადაგი მოუმზადონ „რეგიონული ენის ქარტიის“ უმტკივნეულოდ და შეუმჩნევლად რატიფიკაციას. ეს კი ისეთი

➔

# არსებობის საყრდენი სამკუთხედი

პ[redacted]რად ჭრელი ქვეყნის დამ[redacted]ებობისათვის, როგორიც საქართველოა, ზურგში ლახვარის ჩაცემის ტოლფასია.

ქართული სახელმწიფოს ძლიერების პიკში, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქაში, ქართული ენა ელინთა ენის (რომლისგანაც მთელმა ელინისტურმა სამყარომ ბევრი რამ შეიძინა) „ენამზეობას“ მეტოქეობდა და წარმატებითაც. მან მოძალებულ აღმოსავლურ (სპარსულ) გლობალიზაციასაც გაუძლო; წმინდა ილიასა და სამოციანელთა წყალობით, რუსიფიკაციის ძლიერ შემოტევასაც დააღწია თავი და ბოლოს კომუნისტური გლობალიზაციის ეპოქაში, სულ ოცდაათი წლის წინ იყო, 14 აპრილი – ქართული ენის გამარჯვების დღედ გამოცხადდა. სწორედ 14 აპრილმა დაგვარწმუნა, რომ სამოცდაათწლიანმა მარწუხებმა ვერ შეძლეს მრავალათასწლოვანი ქართული ეროვნული ცნობიერების ჩახშობა, რომ ეს ასე ადვილი არ ყოფილა. *„ჩვენი ენა, ეროვნული, კულტურული და სალიტერატურო ენაა. ამ ენით ვლოცულობდით, ამ ენით ვსთარგმნეთ საეკკლესიო წიგნები, ამ ენით სწერდნენ და მღეროდნენ ჩვენი მგოსნები; მითი ვმსჯელობდით დიდ საქვეყნო საქმეებზედ, ვსწერდით ისტორიასა – ეს იყო და არის ჩვენი სამშობლო ენა, უძვირფასესი, განძი, დამცველი ჩვენი ეროვნული სულისა.“* ენისადმი **მიხაკო წერეთელის** ამ შეხედულებას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

XIX საუკუნის კოსმოპოლიტთა აზროვნებაში ჩარჩენილმა ენის ზოგიერთმა დღევანდელმა ნოვატორმა, ე.წ. „ლიბერალ-დემოკრატებმა“, უნდა იცოდნენ, რომ *: „მტრობა ენისა, არს მტრობა ერის“* და:

*„გვიან თუ მალე, დღესა თუ ხვალე,*
*რაც ენას სცოდეთ, ის გასწორდება,*
*მაგრამ კი თქვენი მრუდე საქმენი,*
*ისევ და ისევ მრუდედ დარჩება.“*

იქნებ ქართულ ენაზე ამგვარი მიზანმიმართული და დაგეგმილი შეტევა იმიტომ ხდება, რომ: *„დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა. და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან“,* რაც, რა თქმა უნდა, „მსოფლიოს ახალი წესრიგზე“ მეოცნებეთათვის (რომლთა ყურმოჭრილი მონები საქართველოშიც ბლომად მოგვეპოვება) სრულიად მიუღებელია. მაგრამ მათ კანადელი მკვლევარის **დომენიკ რიკარდელის** სამართლიან შენიშვნას შევახსენებთ: **„რაც არ უნდა ბრწყინვალედ ილაპარაკო ინგლისურად, მათ თვალში შენ მუდამ იქნები უცხო და „მეორეხარისხოვანი ადამიანი“. ამას ყოველთვის გაგრძნობინებენ“.**

მშობლიური ენა ერის არსებობის ისეთივე აუცილებელი პირობაა, როგორც მისი ტერიტორიული მთლიანობა, ტრადიციული სარწმუნოება და მისთვის დამახასიათებელი ადათ-წესები. ყველა დამპყრობელი დაპყრობილი ერის იდენტიფიკაციის საბოლოო განადგურების მიზნით, პირველ რიგში, შეტევას მის ენაზე იწყებდა. სამწუხაროდ, „ცივილიზებული“ ფორმით დღესაც ასე ხდება. თითოეულმა ქართველმა ლოცვად უნდა აღიქვას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოწოდება: *„ქართული ენა – ესაა ჩვენი ოქროს ზღუდე და მას სათუთად უნდა გავუფრთხილდეთ!“*

იმედია, რომ დღესაც, ამ ახალი გლობალიზაციის ძლიერ შემოტევასაც გაუძლებს ქართული ენა, მაგრამ ამისათვის უნდა იზრუნოს ეკლესიამ, სახელმწიფომ, მწერლობამ და, პირველ რიგში, მთელმა ერმა, საზოგადოებამ, რომლის კონსოლიდირებულ პოზიციას საქართველოს ისტორიის უძრავ ეტაპზე გადამწყვეტი როლი სწორედ მშობლიურ ენას შეუსრულებია. კარგია სხვადასხვა უცხო ენის (რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული და ა. შ.) სწავლა, მაგრამ ისინი მშობლიური ენისა და კულტურის საპირწონე ვერასოდეს იქნებიან.

ენის სიწმინდის არდაცვის საკითხი არის ის მღვრიე სათავე, საიდანაც ქვეყნის რღვევა, მისთვის ზნეობრივი ძირის გამოთხრა იწყება. დღეს ოფიციალურ დონეზე წახალისებულია და ნებადართულად მიდის ქართული ენისათვის საფუძვლის გამოცლა. ქართული სახელმწიფო ენისადმი ამგვარი დამოკიდებულება ქვეყნის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ არის მიმართული, რაც ღალატის ტოლფასია!

***სარწმუნოება.*** საქართველოში სარწმუნოება, კონკრეტულად, მართლმადიდებლობა, იყო და რჩება იმ ძირითად საყრდენ ქვაკუთხედად, რომელმაც დღემდე შემოგვინახა სახელმწიფოებრიობის ისეთი ატრიბუტები, როგორიცაა ეროვნული თვითმყოფადობა, ეროვნული მენტალიტეტი, ეროვნული მეობა, თვითმყოფადი კულტურა და ტრადიციები. სწორედ ამიტომ დიდი ილია მართალი ქვეყნის სამომავლო განვითარებისათვის სარწმუნოებას ენასთან და მამულთან ერთად განიხილავდა, როგორც უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. იგი აღნიშნავდა: *„მამული, ენა, სარწმუნოება – ეს ისეთი ცნებებია, რომელიც ნორმალური თვითმყოფადი სახელმწიფოებრიობის არსებობისა და მისი, შინაგანი სიმტკიცის ნიშან-სვეტია; ეს ისეთი ცნებებია, რომლის დაცვა-შენახვისათვის ყოველ ეპოქაში ერიც და ბერიც მხარდამხარ, თავგანწირვით უნდა იყოს.“*

მართლმადიდებლობა მთელი რიგი სახელმწიფოების ერთ-ერთი ძირითადი აღმსარებლობაა. საქართველოში კი, ისტორიულად, სახელმწიფო რელიგიას წარმოადგენდა (მაგრამ ეს სრულიადაც არ უშლიდა ხელს სხვა აღმსარებლობის მქონეთ თავიანთი სალოცავები ჰქონოდათ და ღვთისმსახურება აღესრულებინათ), რომელსაც ქართული კულტურის, ეროვნული მსოფლმხედველობის, ეროვნული ფასეულობების ჩამოყალიბება-განვითარებასა და შენახვა-გადარჩენაში უდიდესი წვლილი მიუძღვის. *„ქართველმა თავისი სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვისი სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისი სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი ამაში ჩვენ ვერ წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და დაჩაგრულნი – აქ, ჩვენში, ჰპოვებდნენ მშვიდობის მყოფელს სავანესა და სინდისის თავისუფლებას“,* – აღნიშნავდა **დიდი ილია.**

**გადავხედოთ ისტორიას:** ჩვენი ქვეყნის თავზე თავსდატეხილი საშინელი ქარტეხილებისა თუ ღვთით ბოძებული ბედისწერის შედეგად საქართველოში, ადრეული ხანიდანვე (შეიძლება ითქვას უკვე VII-X საუკუნეებიდან მაინც), მართლმადიდებლური სარწმუნოება ეროვნულობისა და ქართველობის იდენტურ მცნებად იქცა. ამან კი, ენასთან ერთად განაპირობა ეროვნული სახელმწიფოებრიობის (თუ არ ჩავთვლით რუსეთის ასორმოცდაათწლიანი ბატონობის პერიოდს) ქართველი ხალხის ეროვნული მეობის, ეროვნული თვითმყოფადობის, ტრადიციებისა და მთელი რიგი სხვა ღირებული ფასეულობების შენარჩუნება და დღემდე მოტანა.



საუკუნეების განმავლობაში იხვეწებოდა საქართველოს ხელისუფლებისა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის თანაარსებობისა და თანამშრომლობის ფორმები; საუკუნეების განმავლობაში საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, ქვეყნის მესვეურებთან ერთად, სახელმწიფოს ინტერესების ეროვნული თვითმყოფადობისა და მისი დამოუკიდებლობის სადარაჯოზე იდგა. საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება, მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული, ეროვნულ-რელიგიურ საწყისებზე აგებული სისტემა იყო, რომლის ძირეული კომპონენტები მართლმადიდებლური ეკლესია, ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი და სპეციფიკური ზნეობრივ-ეთიკური ნორმები იყო.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების შემდეგ სახელმწიფომ და ეკლესიამ გაერთიანებული ძალით ქვეყნის განმტკიცებისათვის დაიწყო ბრძოლა და ვიდრე ეს ორი მთავარი ძალა ერთად მოქმედებდა, საქართველი ყოველთვის ძლიერი იყო.

წარსულში, ქვეყნის სასიკეთოდ, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისა და სახელმწიფოს მესვეურთა შეთანხმებული ქმედების არაერთი ფაქტი ახსოვს საქართველის ისტორიას. ასე მაგალითად: როდესაც **არღუ ყაენმა** მეფე **დიმიტრი** (თავდადებული) დაიბარა, მან კარგად იცოდა, რას ნიშნავდა ეს მიწვევა. ამიტომ რჩევის მისაღებად *„შემოიკრიბნა კათალიკოს-ეპისკოპოზნი და დიდებულ-წარჩინებულნი თვისნი და დაჯდა დალიჭსა ზედა და დასხდნენ წესისამებრ წარჩინებულნი. მაშინ იწყო სიტყვად მეფემან: „ღმერთმან და უბიწოდ მშობელმან მისგან, რომელსაცა წილხდომილნი ვართ..., აწ უკეთუ წავიდე, მომკლავს მეცა და, უკეთუ არა მოახროს ეკლესიანი და ქუეყანა ჩემი.“* წარჩინებულთა წარმომადგენლებმა მეფეს შესთავაზეს მთებში გახიზნულიყო. მაგრამ მისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა კათალიკოს **აბრაამის** რჩევა წასულიყო ნოინთან. *„მეფემ სასულიერო პირთა რჩევა მიიღო და ნოინთან გაემგზავრა. ამ მძიმე ჟამს მას გაჰყვა კათალიკოსი აბრაამ და მცირედი ვინმენი.“*

წარსულში ყველა დამპყრობელი (სპარსი, არაბი თუ ოსმალო) ძალის გამოყენებით თუ „მშვიდობიანი“ გზით ქართული მართლმადიდებლური სარწმუნოების შეცვლას გვაიძულებდნენ, რადგან ცნება „ქართველი“ და „ქართული“ ეროვნული ცნობიერება და მართლმადიდებლობა თანაბარი მნიშვნელობის ცნებებს წარმოადგენდა.

მიუხედავად რვაგზის ლაშქრობისა, **თემურ-ლენგი** იძულებულ გახდა 1403 წლის ხელშეკრულებით საქართველოს მოსახლეობა მართლმადიდებლად ეღიარებინა. პიროვნება, რომელიც ქართველი ხალხის იდეოლოგიური და ფიზიკური განადგურებისათვის იბრძოდა, იძულებული გახდა საქართველოს სახელმწიფო რელიგიად მართლმადიდებლობა გამოეცხადებინა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეროვნული, შესაბამისად, სახელმწიფოებრივი, ცნობიერების შენარჩუნებასა და მის დღემდე მოტანაში საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას უდიდესი წვლილი მიუძღვის. აქედან გამომდინარე, ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში მისი როლის დაკნინება-დაქვეითება, ეს ნიშნავს ქართული სულიერი კულტურის (რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და რომელმაც საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიოს ცივილიზაციის საგანძურში), ეროვნული ცნობიერების და, შესაბამისად, დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოებრივობის მოწყობის დასამარებას.

დღეს, რამდენადაც სახელმწიფო მოწყობისა და მისი დამოუკიდებლობის შენარჩუნების საქმეში განუზომელია ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მნიშვნელობა, იმდენად გარკვეული ძალები შეგნებულად და მიზანმიმართულად ცდილობენ (სასულიერო პირთა გადაბირება, დაშინება, დაშანტაჟება და ა. შ.) ეკლესიის შინაგანად დაშლა-დასუსტებასა და ხალხის თვალში ნაცრის შეყრასა და მისი როლის დაკნინებას.

საერთოდ, მსოფლიოში მასონთა ყველა გაერთიანება თუ დაჯგუფება (და ისინი არაერთია) საუკუნეების განმავლობაში, შენიღბულად, მაგრამ გააფთრებით, ძირითადად მართლმადიდებლობას ებრძოდა და ებრძვის. ეს ბრძოლა განსაკუთრებით გამოიკვეთა და გამწვავდა ტრადიციულ, მაგრამ პოლიტიკურად და ეკონომიკურად სუსტ ქვეყნებში (მაგალითად საქართველოში).

ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისიდან, ყოფილი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელთა უმრავლესობა **(ლენინი, ზინოვიევი, კამენევი, ტროცკი, ბუხარინი, გორბაჩივი შევარდნაძე** და მრავალი სხვა) იმ მასონთა ლოჟის აქტიური წევრები იყვნენ, რომლის წარმომადგენლები დღეს მსოფლიოს ლიბერალიზმითა და დემოკრატიის იდეებით მოძღვრავენ. სწორედ ამ ლოჟის ლიდერთა მითითებით ხდებოდა ზომბირებული (უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, დროებით ზომბირებული) ხალხის მიერ საბჭოთა რესპუბლიკაში ყველა შემავალ ეკლესია-მონასტრებისა და სალოცავების ნგრევა-განადგურება, მოაზროვნე ინტელიგენციის მოსპობა და, ეროვნული თვითმყოფადობის წაშლის მიზნით, რაღაც „ერთიანი საბჭოთა ხალხის“ ჩამოყალიბება-შექმნის მცდელობა, რაც სრული კრახით დამთავრდა. ის რაც ვერ შეძლო ყოფილმა საბჭოთა კავშირმა, XXI საუკუნის დასაწყისში წარმატებით განახორციელეს ლიბერალიზაციის ყურმოჭრილმა ჩვენმა ვაიხელისუფლებამ. ამის ნათელი დადასტურებაა მოქალაქეთა პირადი საბუთებიდან მამის სახელისა და ეროვნულობის ამოღება. ამას კი შედეგად მოჰყვა ის, რომ დღეს საქართველოში უეროვნებო ე. წ. საქართველოს მოქალაქე ცხოვრობს. ეს კი მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ხალხის ეროვნული მეობის წაშლის მიზნით გაკეთდა, რაც ეროვნული გენოციდის ტოლფასია.

თავის დროზე ეკონომიკაში ე.წ. „შოკური თერაპიის“ მამამთავარს **კ. ბჟეზინსკის** კარგად ჰქონდა გაცნობიერებული მართლმადიდებლობის მნიშვნელობა ეროვნული სახელმწიფოების დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში, ამიტომ ხმამაღლა *აცხადებდა: „რადგან მსოფლიო წესრიგის დამყარებისა და მსოფლიოს ახალი განვითარების შემაფერხებელი მართლმადიდებლობა არის, ამიტომ მას დროზე უნდა მივხედოთ და მოვუაროთ, თორემ მერე გვიან იქნება.“*

ე. წ. „მსოფლიოს ახალი წესრიგის“ ქართველმა მიმბაძველებმა, ვითომდა „ახალმა ქართველებმა“ (უცხოეთიდან მასონთა მიერ უხვად დაფინანსებულ „თავისუფლების ინსტიტუტში“ გამოჩეკილი და დაფრთიანებული კოსმოპოლიტები, რომელთა დიდი უმრავლესობა დღეს თბილად არიან მოკალითებულნი საქართველოს ხელისუფლებაში, „არასამთავრობო ორგანიზაციებსა“ და, ვითომდა, „ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებში“), ბჟეზინსკის ეს ლოზუნგი საპროგრამოდ გაიხადეს და აშკარად თუ ფარულად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გააჩაღეს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ. უკვე მრავალი წელია, რაც შეგნებულად და გეგმაზომიერად მიმდინარეობს მართლმადიდებლობაზე არა მხოლოდ ზეწოლა, არამედ მისი ეროვნულობისაგან გამიჯვნაც, რადგან მათ კარგად იციან, რომ ქართული ეროვნული მეობის ერთ-ერთ ძლიერ, მყარ საყრდენად (მამულის დიდი ნაწილი გასხვისებულია, ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა, მხოლოდ ქაღალდზეღა დარჩა) მართლმადიდებლობა დარჩა. ეს კი „მსოფლიო ახალი წესრიგის“ დამყარების ორგანიზატორთა გეგმებში არ შედის.

მათი მიზანი იყო და დღესაც არის ქართული მართლმადიდებლური ეკლესია დაიმორჩილონ და შიგნიდან დაშალონ. ამის ნათელი დასტური იყო დამოუკიდებელი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დაქვემდებარება და დასუსტების მიზნით მისი ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაერთიანება.

ყველამ კარგად ვიცით თუ როგორ და რა მიზნით მოხდა ქართული ეკლესიის აღნიშნულ საბჭოში გაწევრიანება და რა დიდი ბრძოლის ფასად დააღწია მან ამ საბჭოს თავი. როგორც ჩანს, ე. წ. ლიბერალური მართლმადიდებლობის წარმომადგენლები **მეუფე პეტრეს,** მღვდელ **ანდრია სარიას,** თეოლოგ **ვლადიმერ ნარსიასა** და სხვათა მათ საძმოთა სახით, გარედან დაკვეთით და დაფინანსებით ხელახლა გააქტიურდნენ და ცდილობენ ქართულ მართლმადიდებლობაში ლიბერალიზმი დაამკვიდრონ. საბოლოო ჯამში, ამ ყველაფრის უკან საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ახალ ლიბერალურ იდეოლოგიაზე გადაყვანისათვის იბრძვიან, რაც ქართული ეკლესიის ეკუმენისტურ საბჭოში დაბრუნებას, ახალი ლიბერალური სტილის აღიარებას, ანუ ევროატლანტიკური რელიგიურ გაერთიანების სივრცეში მოაქცევას გულისხმობს.

საბედნიეროდ, დღეისათვის, ქართული ეკლესია ევროატლანტიკური რელიგიური გაერთიანებისაგან ცალკე დგას და არ არის არც ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსა და არც ევროპის ეკლესიათა კონფერენციის წევრი. უცხოეთიდან დაქირავებული (უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, მსუყე ლუკმას დახარბებული) ზოგიერთი სასულიერო იერარქი, ყველანაირად ცდილობს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობის ხელყოფას. ქართული ეკლესიის ამგვარი ხელყოფის მცდელობა ზოგიერთი ულირსი სასულიერო პირის მხრიდან წარსულშიც არაერთხელ ყოფილა. მიუხედავად ამისა ჩვენი ხალხი ქართულ მართლმადიდებლობას ქვეყნისა და ერის წინაშე თვით ეკლესიის ღირსეული საქმიანობით და არა ულირს მღვდელმსახურთა საქციელით თუ ქმედებით აფასებდა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის შესუსტებისა და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის განმტიცების საქმეში, მისი როლის დაკნინების მიზნით, დღეს ტოლერანტობის საბაბით ჩვენს ქვეყანაში არსებულ სხვადასხვა რელიგიურ კონფესიებს (რომლებიც შემოსვლისთანავე საკმაო თავისუფლებით სარგებლობდნენ და დღესაც სარგებლობენ) იყენებენ.

ამ ე.წ. ვაიტოლერანტებსა და ვაილიბერალებს კვლავ შევახსენებთ, – *ქართველი კაცი სხვათა სარწმუნოების მიმართ შემწყნარებელი იყო მუდამ იმიტომ, რომ იგი ყოველთვის თავის საკუთარ მართლმადიდებლობას იცავდა და ყველაფერზე მაღლა აყენებდა. აქედან გამომდინარე, შესაბამისად, სხვის სარწმუნოებასიც პატივს მიაგებდა და ეს ბუნებრივიც იყო.* მე თუ ჩემს საკუთარს არ ვცემ პატივს და არ ვაფასებ, ვერც სხვისას დავაფასებ. დიახ, ჩვენ, ქართველები, სხვადასხვა კონფესიების მიმართ ტოლერანტები და შემწყნარებლები ვიყავით იმდენად, რამდენადაც ჩვენი სარწმუნოება – ჩვენი მართლმადიდებლობა გაჭირვების დროსაც კი თავის სიმაღლეზე იდგა. სწორედ ეს უნდა გაითვალისწინონ საქართველოში არსებულმა ყველა რელიგიურმა კონფესიამ და სექტამ, თუ უნდათ, რომ მათ არსებობას საქართველოში გამართლება ჰქონდეს.

გენოციდი მხოლოს ფიზიკური არ არის. მასთან ერთად არის სულიერიცა და ცნობიერიც, რომლის თავსმოხვევა ერსა და ქვეყანას, დროსა და სივრცეში მოპოვებულ თვითდადგენას უნადგურებს. სწორედ სულიერი და ცნობიერი გადაგვარებისათვისაა საქართველოში სხვადასხვა რელიგიური კონფესიები და სექტები, რომლებსაც უცხოური ე. წ. „დემოკრატიული ინსტიტუტები“ (ფაქტიურად აგრესიული გლობალისტებისა და მსოფლიო ბატონობაზე მეოცნებე მასონების იდეების გამხმოვანებლები) ქმედითად იყენებენ ერთიანი საქართველოს დასანგრევად. მათ ამ საქმეში ხელის ბიჭებად, ჩვენს ქვეყანაში არსებული ე. წ. „თავისუფლების ინსტიტუტში“ დაფრთიანებული მოქმედი პოლიტიკოსები და თანამდებობის პირები ჰყავთ. სხვა მონაცემებთან ერთად, ამის ნათელი დასტურია ყოფილი ხელისუფლების მხრიდან გლდანის ეკლესიის ვანდალური დანგრევა. ეს ფაქტი მხოლოდ ეკლესიის დანგრევა არ იყო; ეს იყო იმათთვის ჭკუის სწავლება, ვინც საქართველოში სხვა რელიგიური კონფესიებისა და სექტების თავაშვებულ თარეშს ეწინააღმდეგება.

ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დაკნინება-შესუსტების მზაკვრული გეგმა საზოგადოებისაგან ფარულად ადრიდანვე მზადდებოდა. ჯერ კიდევ 2003 წლის სექტემბერში იყო მცდელობა იმდროინდელ ხელისუფლებასა და ვატიკანს შორის ხალხისა და ეკლესიისაგან ფარულად გაფორმებულიყო ხელშეკრულება (კონკორდატი), რომლის მიხედვით კათოლიკური ეკლესია იგივე უფლებებსა და სტატუსს შეიძენდა, რაც ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას კონსტიტუციით აქვს მინიჭებული. ვინმემ მიკერძოებაში ცილი რომ არ დაგვწამოს, ამიტომ მოვიტანთ ხელმოსაწერად მომზადებულ ხელშეკრულების სრულ ტექსტს.

„პროექტი.
შეთანხმება წმიდა სინოდსა და საქართველოს შორის.
პ რ ე ა მ ბ უ ლ ა.

*წმიდა საყდარი და საქართველო*

– მიიჩნევენ რა ერთმანეთს საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ ავტონომიურ სუბიექტად;

– წმიდა საყდარი, მოქმედებს რა ვატიკანის მეორე საბჭოს დოკუმენტებისა და საეკლესიო სამართლის ნორმების საფუძველზე, საქართველო, მოქმედებს რა საქართველოს კონსტიტუციისა და იმ საერთაშორისო კონვენციების დებულებების შესაბამისად, რომელთა მხარესაც ის წარმოადგენს;

– გამოთქვამენ რა სურვილს მეგობრობის სულისკვეთებით გააგრძელონ და კიდევ უფრო განავითარონ მათ შორის უკვე არსებული ურთიერთობა;

– განზრახული აქვთ რა ურთიერთგაგების საფუძველზე განსაზღვრონ საქართველოში მოქმედი კათოლიკური ეკლესიის იურიდიული სტატუსი, შეთანხმდნენ შემდეგზე :

*მუხლი I.*

საქართველო აღიარებს კათოლიკური ეკლესიის, როგორც იურიდიული პირის სტატუსს, კერძოდ, საქართველო უზრუნველყოფს იურიდიული პირების უფლებაუნარიანობის გავრცელებას საეკლესიო სამართლით გათვალისწინებული კათოლიკური ეკლესიის ისეთი ერთეულების მიმართ, როგორიცაა: საეპისკოპოსოები, ეპარქიები ან საეგზარქოსოები, სამოციქულო ადმინისტრაციები, სამრევლოები, რელიგიური საზოგადოებები, ასოციაციები, სემინარიები, კოლეჯები, სკოლები და საგანმანათლებლო ინსტიტუტები, სამედიცინო და საქველმოქმედო დაწესებულებები, კომპეტენტურ სამოქალაქო ორგანოებში მათი რეგისტრაციის შემდეგ.

*მუხლი II.*

1. საქართველო უზრუნველყოფს კათოლიკური აღმსარებლობისა და კათოლიკური რელიგიური წესების საჯაროდ აღსრულების თავისუფლებას;

2. საქართველოს კათოლიკურ ეკლესიას აქვს თვითორგანიზებისა და საჭირო საშუალებებით საკუთარი მისიის განხორციელების უფლება;

3. კომპეტენტური საეკლესიო ორგანო სარგებლობს უფლებით შექმნას ეკლესიასთან დაკავშირებული სტრუქტურები. კერძოდ, საეკლესიო სამართლის ნორმებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დააარსოს და მოახდინოს საეკლესიო იურიდიული პირების რეორგანიზება.

*მუხლი III.*

1. წმიდა საყდარს შეუძლია დაუბრკოლებლად შეარჩიოს სასულიერო პირი ეპისკოპოსის, ეგზარქოსის ან სამოციქულო ადმინისტრატორის ფუნქციების შესრულების მიზნით. ეს პირი შეიძლება იყოს ეპისკოპოსი. ზემოაღნიშნული დანიშვნების შესახებ ინფორმაციის გავრცელებამდე წმ. საყდარი, თავაზიანობისა და ნდობის პრინციპებიდან გამომდინარე, ამის შესახებ წინასწარ აცნობებს სამოქალაქო ხელისუფლების ორგანოებს;

2. კომპეტენტური საეკლესიო ორგანო სარგებლობს უფლებით, დაუბრკოლებლად დანიშნოს ნებისმიერი პირი, რომელიც ამავე დროს პასუხისმგებელი იქნება საქართველოში არსებულ სხვა საეკლესიო ერთეულებზე.

*მუხლი IV.*

საქართველო შეზღუდვების გარეშე უზრუნველყოფს კათოლიკური ეკლესიისა და მისი იურიდიული და ფიზიკური პირების ურთიერთობისა და კონტაქტების თავისუფლებას წმიდა საყდართან საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ, საეკლესიო სამართლით აღიარებულ, სხვა საეკლესიო დაწესებულებებთან.

*მუხლი V.*

საქართველო აღიარებს კათოლიკური ეკლესიის უფლებას თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი და პრინციპები. ასევე იმის უფლებას, ისარგებლოს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

*მუხლი VI.*

1. თავისი პასტორალური მისიის განხორციელების მიზნით, ეპისკოპოსი, ეგზარქოსი, სამოციქულო ადმინისტრატორი, მღვდელი ან მასთან გათანაბრებული პირები სარგებლობენ უფლებით, საქართველოში მოიწვიონ მღვდლები, რელიგიური სამწყსოს წარმომადგენლები და საერო პირები, რომლებსაც არ

გაგრძელება გვ. 8

# ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის

◀დასაწყისი გვ. 6-7

გააჩნიათ საქართველოს მოქალაქეობა;

2. საქართველოს ხელისუფლების ორგანოები გასცემენ საცხოვრებელ ნებართვას კათოლიკური ეკლესიის ზემოაღნიშნული მოწვეული წევრებისათვის, რომლებიც დანიშნულნი იქნებიან საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ შესაბამის ეკლესიებსა და კათოლიკური ეკლესიის სხვა დაწესებულებებში მსახურების მიზნით. ნებართვები, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ძალაში იქნება მათი მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

*მუხლი VII.*

1. კათოლიკური ეკლესია სარგებლობს უფლებით, შეიძინოს, მართოს, გამოიყენოს და განკარგოს მოძრავი და უძრავი ქონება და ააშენოს ეკლესიები და სხვა შენობა საეკლესიო მიზნებისათვის;

2. ქონების შეძენა, ეკლესიებისა და საეკლესიო ნაგებობების მშენებლობა და მართვა განხორციელდება საეკლესიო სამართლის ნორმების და საქართველოში მოქმედი კანონების შესაბამისად;

3. საქართველო უზრუნველყოფს ღვთისმსახურების ადგილების ხელშეუხებლობას. კომპეტენტური საეკლესიო ორგანოების წინასწარი შეთანხმების გარეშე, ღვთისმსახურების ადგილები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ მიზნებისათვის, რაც არ არის გათვალისწინებული საეკლესიო სამართლით.

*მუხლი VIII.*

1. აღსარების საიდუმლოება ხელშეუხებელია. არავის არ შეუძლია კათოლიკე ეპისკოპოსის ან მღვდლის დაკითხვა ისეთ საქმეზე, რომელიც დაკავშირებულია აღსარების საიდუმლოებასთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მღვდელი უნდა წარსდგეს როგორც მოწმე ან მხარე სამოქალაქო სასამართლოს წინაშე;

2. სასულიერო პირები არ არიან ვალდებულნი მიაწოდონ სამოქალაქო ხელისუფლებას ღია ინფორმაცია პირებისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც მათ მოიპოვეს თავისი მსახურების დროს.

*მუხლი IX.*

1.კათოლიკურ ეკლესიას აქვს უფლება დააარსოს და მართოს თავისი სკოლები საეკლესიო სამართლისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

2. კათოლიკე მოსწავლეებს, როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო სკოლებში, ექნებათ თავიანთი რელიგიის შესწავლის გარანტირებული უფლება;

3. კათოლიკური რელიგიის სწავლება საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიზნად ისახავს ეკუმენისტური სულისკვეთების განმტკიცებას და სხვადასხვა აღმსარებლობებს შორის ურთიერთპატივისცემის გაღრმავებას, რაც, ამავე დროს, გულისხმობს საქართველოს ისტორიასა და კულტურაში მართლმადიდებლური ეკლესიის როლის აღიარებას;

4. სწავლება ჩატარდება კათოლიკური ეკლესიის კომპეტენტური ხელისუფლების მიერ დამტკიცებული პროგრამის საფუძველზე და მხოლოდ იმ კვალიფიცირებული პედაგოგების მიერ, რომლებსაც გააჩნიათ ამ ხელისუფლების მიერ გაცემული სერტიფიკატი;

5. კათოლიკური ეკლესია და საქართველო აღიარებენ დიპლომებს, ხარისხებსა და სხვა აკადემიურ კვალიფიკაციებს განათლების ყველა დონეზე.

*მუხლი X.*

წმიდა საყდარი და საქართველო ადასტურებენ რა ორმხრივ დაინტერესებას, გააღრმაონ ურთიერთობები კულტურის სფეროში, ხელს შეუწყობენ კავშირების განმტკიცებას საქართველოში არსებულ დაწესებულებებსა და მთელ მსოფლიოში არსებულ კათოლიკურ ინსტიტუტებს შორის. ისინი ასევე ხელს შეუწყობენ სტუდენტთა გაცვლას საეკლესიო საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და კვლევით ცენტრებს შორის, ორივე მხარის კანონმდებლობის შესაბამისად.

*მუხლი XI.*

**1.**საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საეკლესიო ქორწინება, მისი რელიგიური წესით დღესასწაულების მომენტიდან, წარმოშობს იურიდიულ შედეგებს სამოქალაქო ურთიერთობებში, იმ პირობით, რომ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონით გათვალისწინებულ დებულებებს.

**1.**სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წიგნში საეკლესიო ქორწინების თარიღი და წესი განისაზღვრება საქართველოს კომპეტენტური ორგანოს მიერ, კათოლიკური ეკლესიის კოორდინაციის გზით.

*მუხლი XII.*

სემინარიის სტუდენტები და რელიგიური კონგრეგრაციების მორჩილები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურიდან. საყოველთაო მობილიზაციის შემთხვევაში, ამ სტუდენტებსა და მორჩილებს დაევალებათ ისეთი ოპერაციების შესრულება, რომელიც არ არის დაკავშირებული იარაღის გამოყენებასთან.

*მუხლი XIII.*

საქართველო აღიარებს და უზრუნველყოფს კათოლიკური ეკლესიის უფლებას, შესთავაზოს სულიერი დახმარება იმ მორწმუნე კათოლიკებს, რომლებიც მსახურობენ ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში და პოლიციაში, იმყოფებიან სახელმწიფო ან კერძო სამედიცინო და გრძელვადიან დაწესებულებებში ან საპატიმროებში.

*მუხლი XIV.*

1. საქართველო გადასახადებისაგან გაათავისუფლებს იმ კათოლიკური დაწესებულებების მიერ შემოტანილ ჰუმანიტარულ დახმარებას, რომლებიც საეკლესიო კანონმდებლობის შესაბამისად ოფიციალურად აღიარებულია კათოლიკური ეკლესიის მიერ და რეგისტრირებულია სამოქალაქო ორგანოების მიერ;

2. კათოლიკური ეკლესიისათვის განკუთვნილი სხვა იმპორტირებული ნივთები ასევე თავისუფლდება გადასახადისაგან.

*მუხლი XV.*

იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშობა გარკვეული გადაუწყვეტელი და სადაო საკითხები ქონებრივ, ეკონომიკურ და ფისკალურ სფეროში, რომლებიც შეეხება კათოლიკურ ეკლესიას ზოგადად ან ცალკეულ კათოლიკურ თემებს, შენობებს ან დაწესებულებებს, კათოლიკური ეკლესია და საქართველოს კომპეტენტური ორგანო შექმნიან საგანგებო ერთობლივ კომისიას ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილების შემუშავების მიზნით.

*მუხლი XVI.*

1. წინამდებარე შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანა დასაშვებია მხოლოდ შეთანხმებით;

2. წმ. საყდარი და საქართველი წინამდებარე დებულების განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილ სირთულეებს გადაწყვეტენ მეგობრული ურთიერთშეთანხმების გზით.



*მუხლი XVII.*

წინამდებარე შეთანხმება შესრულებულია ორ პირად – ინგლისურ და ქართულ ენებზე. ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს. განსხვავების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ტექსტს.

საბედნიეროდ ქართველ სტუდენტთა საპროტესტო გამოსვლის შედეგად ეს შეთანხმება არ შედგა და ვატიკანის წარმომადგენელი პეტრე მამრაძემ ფარულად გაარიდა მთავრობის სახლს.

***

როგორც ვხედავთ, ხელშეკრულებაში, საერთოდ, იგნორირებული იყო საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, ის, თითქოს არც არსებობს, და თუ არსებობს არავითარი ფუნქცია არ გააჩნია. ვატიკანის მესვეურნი იმ ზომამდე მიდიან, რომ ამ ხელშეკრულებით თავიანთ თავზე იღებენ ჩვენი ქვეყნის ისეთ მნიშვნელოვან სახელმწიფო დაწესებულებების ფუნქციებს, როგორიცაა: კულტურისა და სპორტის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროები.

ამ საკითხზე არა თუ საზოგადოება, არამედ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიაც კი არ იყო ინფორმირებული. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა **ილია მეორემ** ამ გასაიდუმლოებული შეთანხმების მცდელობის შესახებ თავისი (საქართველოს ეკლესიის) პოზიცია დააფიქსირა და აღნიშნა: *„როგორც ცნობილია, საქართველოში ვატიკანის წარმომადგენლობის ინიციატივით მომზადდა საქართველოს სახელმწიფოსა და ვატიკანს შორის რელიგიური ურთიერთობის განმსაზღვრელი საერთაშორისო ხელშეკრულება. საქართველოს საპატრიარქოსათვის სრულიად გაუგებარია, რატომ ხდება აღნიშნული დოკუმენტის გასაიდუმლოება, მაშინ, როდესაც სახელმწიფოსა და მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება საჯაროდ მუშავდებოდა წლების განმავლობაში და იგი არაერთგზის გახდა განხილვის საგანი როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოში არსებული თითქმის ყველა რელიგიის წარმომადგენლები.*

*ჩვენ არაერთხელ დაგვიფიქსირებია მზადყოფნა როგორც კათოლიკების, ისე საქართველოში არსებული სხვა რელიგიების სამართლებრივი სტატუსის განხილვისა და მისი ერთობლივი გადაწყვეტილების შესახებ. ამიტომაც ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი და ყოვლად მიუღებელია ვატიკანის მხრიდან ამ სახით და ამ რანგში ხელშეკრულების გაფორმების მცდელობა".*

საქართველოში შემოცხოვრებული უცხოტომელები მიწის მიპატრონებას აღარ სჯერდებიან და ისტორიულ ძეგლებსაც გვედავებიან. მათი ამგვარი ქმედება **„არ ახალია, ძველია,"** რადგან შემოსახლებისთანავე დაიწყეს ქართული საკულტო სალოცავების მითვისება-გადაკეთება. ამგვარი ფაქტების შესახებ უამრავი ცნობებია დაცული XIX-XX საუკუნეების პრესაში და, რომელზედაც განგაშის ზარი ილია მართალმა შემოჰკრა.

ეს მტაცებლები პრესის ფურცლებიდან „ღაღადს" აღარ სჯერდებიან და უფრო „ცივილიზებული" ფორმით ცდილობენ თავიანთი ზრახვების განხორციელებას. ასე მაგალითად: 2005 წელს თბილისში საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე – „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი" – ვინმე **ლევონ ისახანიანმა** წარმოადგინა მოხსენება, სადაც შემდეგი მოთხოვნები იყო წამოყენებული: ა) *საქართველოს ეკლესიამ უნდა გამოიჩინოს კეთილი ნება და მის ტერიტორიაზე არსებული 600-ზე მეტი სომხური ეკლესია დაუბრუნოს ეჩმიაძინს;

ბ) *საქართველოში სომეხთა წმიდა ეკლესიის ეპარქიის სათანადო სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა;

გ) *საქართველოში რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფა;

დ) *საქართველოში საუკუნეების განმავლობაში სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის ეპარქიის შემადგენლობაში შემავალი ეკლესიების ეპარქიისადმი გადაცემა.

იმდროინდელი სახალხო დამცველი ოპერატიულად გამოეხმაურა სიმპოზიუმზე წამოჭრილ ამ საჭირბოროტო საკითხს და ერთი თვის შემდეგ საქართველოს პარლამენტის სხდომაზე განაცხადა: *„ამ ეტაპზე სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია ყველაზე რადიკალურად თბილისში ნორაშენისა და ახალციხეში – სურბნიშნის ტაძრების დაბრუნების საკითხს სვამს.... საპატრიარქოს პოზიციას, ტაძრების ისტორიულ მეპატრონის შესახებ, ანგარიშს უწევს ხელისუფლება, რომელიც ცალმხრივად ვერ წყვეტს, დაუბრუნოს თუ არა ტაძრები თავის ისტორიულ მფლობელს."* ამ განცხადებით მან აშკარად მხარი დაუჭირა ისახანიანის თავხედურ გამოხდომას. იგივე პოზიცია დაიკავეს სახალხო დამცველის აპარატთან შექმნილმა რელიგიათა საბჭოს წევრებმაც (თავისუფლების ინსტიტუტში გამოზრდილნი **ბასილ კობახიძე, ნოდარ ლადარია, ბექა მინდიაშვილი, თამარ შამილი** და ძმანი მათნი).

საერთოდ, ეროვნული ორიენტაცია და ამ ორიენტაციის მატარებელი რელიგია ეს ისეთი ფასეულობებია, რომელსაც შეუძლია ხელისუფალთა მიერ ქვეყნისათვის საზიანო ქმედებებს ხელი შეუშალოს. გლობალისტური ორიენტაციის მქონე მთავრობებისათვის ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნული თვითმყოფადობის ერთ-ერთი უძლიერესი დამცველი ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, რა თქმა უნდა, მიუღებელია. სწორედ ამიტომ, მათ ქართული ეროვნული რელიგიის –მართლმადიდებლობის საწინააღმდეგოდ და მასთან დასაპირისპირებლად ყოველნაირად შეუწყეს ხელი საქართველოში სხვადასხვა რელიგიური კონფესიებისა თუ სექტების მომრავლებას.

ჩვენს ქვეყანაში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მნიშვნელობისა და როლის დაკნინება-დამცრობას არა მარტო ვატიკანი, არამედ უცხოეთიდან ინსპირირებული და უხვად დაფინანსებული საქართველოში სოკოებივით მომრავლებული სხვა რელიგიური კონფესიები და სექტებიც ცდილობენ. ასე მაგალითად: 2006 წლის იანვარში, საქართველოში მოქმედი სომხური ეპარქიის ეპისკოპოსის **ვაზგენ მირზოხანიანის** ინიციატივით საქართველოში არსებული ყველა რელიგიური კონფესიების და სექტების წარმომადგენლები შეხვდნენ. შეხვედრის ძირითადი თემა იყო მათთვის სტატუსის მინიჭების საკითხი.

ამავე წლის მარტსა (კონფლიქტებისა და მოლაპარაკებათა სტრატეგიის საერთაშორისო ცენტრში ქ. თბილისი, ხელმძღვანელი **გიორგი ხუციშვილი**) და მაისში საქართველოში არსებული ყველა რელიგიური კონფესიებისა და სექტების შეხვედრები კვლავ მოეწყო (რა თქმა უნდა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის გვერდის ავლით). მასში მონაწილეობდნენ:

1. **ნორიკ კეშოანი** – სუბსარქისის სომხური ტაძრის მოძღვარი;

2. **ლევონ ისახანიანი** – იურიდიულ საკითხებში საქართველოში არსებული სომხური ეპარქიის ხელმძღვანელის თანაშემწე;

3. **ვან ბაიბურთი** – იმდროინდელი საქართველოს პარლამენტის წევრი;

4. **ბექა მინდიაშვილი** – საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი;

5. **პაატა გაჩეჩილაძე** – არასამთავრობო ორგანიზაციის – **„21–ე საუკუნე"** – წარმომადგენელი;

6. **ანდრეი შტოკალი** – საქართველოში არსებული ლუთერანული ეკლესიის ეპისკოპოსი.

შეხვედრის მონაწილეთა აზრით, საქართველოში მოქმედმა ყველა რელიგიურმა კონფესიამ თუ სექტამ (მნიშვნელობა არ აქვს, ის რეგისტრირებულია თუ არა) უნდა მიიღოს იურიდიული სტატუსი.

იგივე საკითხი დაისვა 2006 წლის 26 მაისს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის იმდროინდელ ხელმძღვანელთან საქართველოში არსებული რელიგიური კონფესიებისა და სექტების ხელმძღვანელთა ერთობლივ შეხვედრაზე. შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. **ვაზგენ მირზოხანიანი** – სომხური ეპარქიის ეპისკოპოსი;

2. **ჯუზეპე პაზიტო** – საქართველოში არსებული ლათინურ-კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსი;

3. **მალხაზ სონღულაშვილი** – საქართველოში არსებული ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი;

4. **გარიკ აზიკოვი** – საქართველოში არსებული გერმანულ-ლუთერანული ეკლესიის მღვდელი;

5. **გაზი ახუნდ ალი ალიევი** – მუსლიმანური რელიგიური საზოგადოების წინამძღოლი;

6. **აბრაამ მიქელაშვილი** – ებრაული რელიგიური საზოგადოების რაბინი.

მათ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს პრეზიდენტისადმი გადასაცემი ერთობლივი წერილი ჩააბარეს. რომლითაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში არსებული რელიგიური კონფესიებისა და სექტებისათვის იურიდიული სტატუსის მინიჭებას ითხოვდნენ.

სომხური ეპარქიის ინიციატივით, იმავე წერილში დასმული იყო მათთვის ე. წ. „სომხური ეკლესიების" დაბრუნების საკითხი.

2009 წელს სომხეთის კათოლიკოსმა **გარეგინ მეორემ** ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ ოფიციალური (მაგრამ გასაიდუმლოებული) წერილი გაუგზავნა. მასში აღნიშნული იყო: *„როგორც სომხური ეკლესიის ლიდერმა, უნდა აღვნიშნო, რომ ბოლო 20 წლის გამოცდილება შემდეგი დასკვნის უფლებას მაძლევს – საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რელიგიის კუთხით, საქართველოში მდგომარეობა არ შეცვლილა, პირიქით, რელიგიური ცხოვრება საქართველოში, თუ არ ჩავთვლით ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, მეტად შეიზღუდა. ხოლო რელიგიური ეროვნული უმცირესობები ზეწოლას განიცდიან და მათ მიმართ შემწყნარებლობა არ არსებობს. მრავალრიცხოვანი მცდელობის მიუხედავად, დაგვემყარებინა თანამშრომლობა საქართველოს მთავრობასთან ამ კუთხით, უშედეგო აღმოჩნდა. სწორედ ამის გამო გადავწყვიტეთ თქვენთვის მოგვემართა. ვიმედოვნებთ, რომ შეერთებული შტატების მთავრობა მიმართავს ძალისხმევას, რათა აღნიშნული საკითხები ჩვენდა სასარგებლოდ გადაწყდეს".*

მიუხედავად იმისა, რომ სომხებს საქართველოში არც საკუთარი სალოცავები აკლიათ და არც მათი უფლებები იზღუდება (200-ზე მეტი სომხურენოვანი სკოლა, გაზეთი, თეატრი, ნაწვიმარზე სოკოებივით მომრავლებული პოლიტიკური პარტიები თუ ორგანიზაციები და მრავალი სხვა) გარეგინ მეორე ცდილობს მსოფლიოს შებრუნებული სურათი უჩვენოს. ყოველივე ეს დასტურია იმისა, რომ სომხური ეკლესიის იერარქებს ქართული მიწა-წყლის მიპატრონების სურვილი დღემდე არ განელებიათ. მათი ამგვარი ქმედება მწვანე შუქს უნთებს ისეთ პოლიტიკურ რეაქციულ პარტია-ორგანიზაციებს, როგორიცაა: „ვირქი," „ჯავახკი," „დაშნაკცუტუნი" და ა. შ. ისინი ხმამაღლა, ყველას გასაგონად აცხადებენ: *„ჯავახეთი საქართველოს შემადგენლობაში დროებით იმყოფება და ადრე თუ გვიან მშობლიურ სომხეთს შეუერთდება. მისი შემოერთება სომხეთის ინტერესებში შედის და ქვეყნის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს წარმოადგენს."*

როგორც ვხედავთ, საქართველოში არსებული რელიგიური კონფესიები და სექტები საქართველოს დედა ეკლესიის გვერდის ავლით ცდილობდნენ ხელისუფლებისაგან ოფიციალურად მიეღოთ სტატუსი და მიაღწიეს კიდეც.

ამ ბოლო პერიოდში ერევანსა და ვატიკანში საქართველოს მთავრობის მაღალჩინოსანთა (ხელმძღვანელ პირთა) ვიზიტის შემდეგ, განსაკუთრებით გააქტიურდნენ ლათინოკათოლიკური და სომხურ-გრიგორიანული რელიგიური კონფესიები. 2010 წლის მაისში საქართველოს პრეზიდენტი ვატიკანში ვიზიტისას რომის პაპს **ბენედიქტე მეთექვსმეტეს** შეხვდა. ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტის ადმინისტრაცია იუწყებოდა: შეხვედრაზე სააკაშვილმა და რომის პაპმა რამდენიმე კონკრეტული და მნიშვნელოვანი თემა განიხილეს. კერძოდ, ლაპარაკი შეეხო ორმხრივ ურთიერთობებს. სწორედ ამ შეხვედრაზე, „ორმხრივი ურთიერთობის" განხილვის შემდეგ, ლათინურ-კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსმა **ჯუზეპე პაზიტომ** სასწრაფოდ დაიწყო ქალაქ ახალციხეში არსებული ძველი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის (რომელიც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში სომხურ ტიბიკონზე მდგარმა კათოლიკე მღვდლებმა მიიტაცეს) გადაკეთება და მის ირგვლივ მდებარე უნიკალური სასაფლაოს (სადაც დაკრძალულნი არიან ივანე გვარამაძე, იმერეთის მეფის სოლომონ მეორის მრჩეველი ლეონიძე და სხვანი) ბარბაროსულად გაანადგურეს.

2011 წლის მაისში საქართველოში ოფიციალური ვიზიტით სომხეთის კათოლიკოსი გარეგინ მეორე ორი ძირითადი მოთხოვნით ჩამოვიდა: 1) სომხური ეკლესიისათვის იურიდიული სტატუსის მინიჭება და 2) ვითომდა სადაო „სომხური ექვსი ეკლესიის" ოფიციალურად სომხური ეპარქიისათვის გადაცემა. ორივე საკითხზე საქართველოს პატრიარქისაგან საკმაოდ ლოგიკურად დასაბუთებული პასუხი მიიღო.

მიუხედავად ამისა, 2011 წლის 1 ივლისს, ე. წ. რელიგიური კონფესიების შესახებ სასწრაფოდ მიღებული კანონით, საქართველოს პარლამენტმა და მთავრობამ ქართველი ხალხისა და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის აზრის იგნორირებისა და გვერდის ავლით, არა მხოლოდ გარეგინ მეორის, არამედ საქართველოში არსებული სხვა რელიგიური კონფესიების მოთხოვნები ერთი ხელის მოსმით დააკმაყოფილა და მათ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მიანიჭა. კანონს სასწრაფო წესით საქართველოს პრეზიდენტმაც ხელი მოაწერა. ამ ფაქტით ნასიმოვნებმა რომის პაპმა დაუფარავად, ხმამაღლა განაცხადა: **„ჩემი იდეა საქართველოში გენიალურად განახორციელესო."**

საინტერესოა სომხეთის, ისრაელის ან იტალიის მთავრობები, შესაბამისად, ეჩმიაძინის, რაბინატის და ვატიკანის გვერდის ავლით, ამგვარი სახელმწიფო ინტერესების საზიანო კანონის მიღებას თუ გაბედავდნენ?

ისრაელში სხვადასხვა რელიგიის მოქმედი ეკლესიებია, მაგრამ იქ პრიორიტეტულია იუდაიზმი. შვეიცარიაში 400 ათასი მუსლიმი ცხოვრობს, მაგრამ მხოლოდ ოთხი მოქმედი მეჩეთი აქვთ. როდესაც მუსლიმანებმა ორი მეჩეთის აშენებაც მოითხოვეს, ხელისუფლებამ ამის შესახებ ქვეყანაში რეფერენდუმი ჩაატარა. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ამ მოთხოვნაზე უარი განაცხადა და საკითხიც ამით ამოიწურა.

თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთი პრიორიტეტული, კერძოდ, ნაციონალური საკათედრო ტაძარი არსებობს. მასთან სხვა რელიგიური მიმდინარეობების სალოცავები არც იურიდიულად და არც უფლებრივად გათანაბრებულნი არ არიან და არც აქვთ უფლება ეს მოითხოვონ.

საქართველოში დღეს 40 ათასამდე კათოლიკეა და არაერთი მოქმედი სალოცავი აქვთ. მიუხედავად ამისა, სხვა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიების მითვისებას მაინც ცდილობენ. ამ დროს ბარსელონაში კათოლიკური მრევლის მოთხოვნით ერთადერთი მოქმედი ქართული მართლმადიდებლური ეკლესია დაიხურა.

როგორც ვხედავთ, „მსოფლიოს ახალი მოწყობის" და „ახალი ადამიანის გამოყვანის" ორგანიზატორებმა ქვეყანაში არსებული სხვადასხვა კონფესიების გამოყენებით საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და, შესაბამისად, ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დამცველის – ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დაქვეითება-დაკნინებას ოფიციოზის დონეზე მიაღწიეს (რამდენად გაამართლებს პრაქტიკულად ცხოვრებაში, ეს სხვა საქმეა). მათ თავიანთი ექსპერიმენტის ჩასატარებლად საქართველოს არაეროვნული ხელისუფლებისა და მთავრობის ხელშეწყობა– ძალისხმევით ჩვენი ქვეყანა შეარჩიეს ისე, რომ არათუ ეროვნულ ეკლესიას, არამედ საზოგადოებასაც კი არაფერი ჰკითხეს.

ხელისუფლებამ ხმამაღლა განაცხადა, რომ ქუჩაში ასიათასი კაციც რომ გამოვიდეს, კანონი არ შეიცვლებოდა. ამასთან დაკავშირებით ქვეყნის პირველმა პირმა დაუფარავი ცინიზმითა და სიამაყით აღსავსემ საჯაროდ განაცხადა: *„ვატიკანთან მოლაპარაკება ჰქონდა შევარდნაძის მთავრობას, მაშინაც სწორედ ან კანონს იღებდნენ. რვა წლის წინ 2003 წელს იგივე ხალხი მაშინაც იგივეს იმეორებდა – ხალხს არ გააგებინესო. ვატიკანი ძალიან გვჭირდება. ბევრ ქვეყანაში, სადაც საქართველო არ არის წარდგენილი, ვატიკანი იცავს ჩვენს პოზიციებს. ვატიკანის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩამოვიდა შევარდნაძესთან, მას ნახევარი საათით ადრე დაურეკეს. იმის გამო, რომ 100 სტუდენტი გამოიყვანეს ამ საკითხის საწინააღმდეგოდ ქუჩაში. კათოლიკების საგარეო საქმეთა მინისტრს უარი უთხრეს, ბოდიში, მაგრამ ვერ მოვაწერთ ხელს ამ ხელშეკრულებასო და ეს კაცი უკან წავიდა. წასვლის წინ მან თქვა წინასწარმეტყველური ფრაზა – თუ მთავრო-*

# არსებობის საყრდენი სამკუთხედი

ბას ეშინია ქუჩაში გამოსული 100 კაცის და ვერ აცნობიერებს, რომ ფუნდამენტურ ღირებულებებზე ლაპარაკი, ამ მოსაზრებას დიდი დრო არ უწერია. ამიტომ 100 ათასი კაციც რომ გამოსულიყო ქუჩაში, მე მაინც ამას გავაკეთებდი". ამასთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა: *„ამ საქმესთან დაკავშირებით ჩამოსული იყო სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი და დაჩქარებული ტემპით იმიტომ მიიღეს ეს კანონი, რომ სომხებმა მოითხოვეს“.*

ამ გადაწყვეტილების მისაღებად მიზეზი სააკაშვილის თავისი უცხოელი პატრონებისგან საგანგებო მითითება ჰქონდა მიღებული. ამის დასტურია გიგა ბოკერიას ამსურველი განცხადება: *„ჩვენთვის ეს გადაწყვეტილება არაფერია, ამაზე სომხები წუხდნენ, სომხებისთვის კი მნიშვნელოვანი იყო.“*

კანონის ძალაში შესვლამდე რესპუბლიკელი პაატა ზაქარეიშვილი აცხადებდა, რომ იგი იბრძოლებს სხვადასხვა რელიგიურ კონფესიათა თუ სექტების მართლმადიდებლობასთან მიმართებაში თანასწორობისათვის, რადგან მას მართლმადიდებლობის უპირატესობა რასიზმად და ფაშიზმად მიაჩნია.

ამ კანონის მიღებასთან დაკავშირებით ნაციონალების აღტაცება რესპუბლიკელებმა ერთსულოვნად გაიზიარეს. როგორც ჩანს, **რამიშვილ-ჰასრაწიანის** ე.წ. „თავისუფლების ინსტიტუტში“ დაფრთიანებული რესპუბლიკელი ვაი „პოლიტიკოსებისათვის“ მთავარია არა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ეროვნული მენტალიტეტის დაცვა, არამედ ხელისუფლებაში თბილ ადგილებზე მოკალათებით პირადი კეთილდღეობის მოწყობა. მათი დევიზია: *„ჩემს შემდეგ ქვა ქვაზე ნუ დარჩენილაო“* (ამის ნათელი დასტურია აღნიშნული პარტიის ფაქტიური დაშლა).

2011 წლის 4 ივლისს ზემოთ აღნიშნული კანონის მიღებასთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა ილია მეორემ შემდეგი სახის განცხადება გააკეთა: *„ჩვენი ეკლესიისთვისაც და სრულიად ხალხისთვისაც, საქართველოს პარლამენტმა სრულიად მოულოდნელად, 1 ივლისს, პირველი მოსმენით, მიიღო კანონი რამდენიმე რელიგიური ორგანიზაციისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების შესახებ და მისი მეორე მოსმენა, სავარაუდოდ, ხვალისთვის, 5 ივლისისათვის, იგეგმება.*

*საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ მართლმადიდებლური ეკლესიის სტატუსი და კონსტიტუციური შეთანხმება წლების განმავლობაში იყო ფართო განხილვის საგანი და მას საერთაშორისო ექსპერტიზაც ჩაუტარდა.*

*თავის მხრივ, ეკლესია არასოდეს წასულა წინააღმდეგი და ყოველთვის მხარს უჭერდა საქართველოში არსებული სხვა რელიგიებისადმი სტატუსის მინიჭებას და მათი უფლებების განხორციელებას, მაგრამ ამ პროცესს გაგრძელება არ მოჰყოლია, ანუ ხელისუფლების მხრიდან არ შექმნილა მრავალმხრივი სახელმწიფო კომისია, სადაც საკითხი იქნებოდა შესწავლილი და შეჯერებული.*

*უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სხვა სახელმწიფოებში არც ქართული მართლმადიდებლური ტაძრების საკუთრებისა და მოვლა-პატრონობის საკითხი დასმულა დღემდე და, არც ჩვენი ეკლესიის სტატუსის განხილვა დაწყებულა.*

*ამის ფონზე გაუგებარია ჩვენი ქვეყნის პარლამენტის მიერ ესოდენ მნიშვნელოვანი დოკუმენტის მიღება საჯარო განხილვის გარეშე და ასეთი აჩქარებული წესით.*

*მიგვაჩნია, რომ აუცილებელია შეჩერდეს კანონის მიღების პროცედურა (მეორე და მესამე მოსმენა) და აღნიშნულ საკითხზე გაიმართოს საჯარო დებატები, თუნდაც ტელევიზიის პირდაპირ ეთერში), რათა ჩამოყალიბდეს საერთო-საზოგადოებრივი აზრი და მოხდეს კონსესუსი მართლმადიდებლურ ეკლესიასთანაც, რადგან ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა მართლმადიდებლური ქრისტიანია.*

*ჩვენს მოქალაქეებს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ ეს საკითხი უმნიშვნელოვანესია, რადგან იგი არსებითად განსაზღვრავს სახელმწიფოს მოწყობის ძირითად პრინციპებს.“*

მეორე დღეს დამატებით გამოქვეყნდა საქართველოს საპატრიარქოს განცხადება. მასში ნათქვამია:

*„საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ 4 ივლისს გაკეთებული განცხადების შემდეგ საქართველოს საპატრიარქოში თავისი ინიციატივით მოვიდნენ საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები, რათა შემოეთავაზებინათ პირველი მოსმენით მიღებული კანონ-პროექტის შეცვლილი ვარიანტი, სადაც კვლავ უპირობოდ იყო დაფიქსირებული რელიგიური გაერთიანებების საჯარო იურიდიულ პირად აღიარების საკითხი.*

*საპატრიარქო კვლავ აყენებდა წინადადებას კანონის მიღების პროცესის შეჩერების, მისი საჯარო განხილვისა და საზოგადოებრივი აზრის კონსესუსის მიღწევის თაობაზე.*

*შემდეგ კი, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, კომპრომიდული ვარიანტიც შესთავაზა.*

*შეთანხმება ვერ შედგა, რაც მეტად სამწუხაროა, რადგან ან უკვე მიღებულ კანონი ქრონოლოგიურად როგორც ეკლესიის, ისე ქვეყნის ინტერესებს.*

*ვფიქრობთ, ეს კანონი თავის უარყოფით შედეგებს ახლო მომავალშივე გამოიღებს, რაზეც პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება.“*

ეს სახელდახელოდ შეთითხნილი ე.წ. კანონი, ძირს უთხრის ქართველი ერის ეროვნულ თვითმყოფადობას, ისე საქართველოს როგორც დამოუკიდებელი-სუვერენული სახელმწიფოს არსებობას. რამდენად იმიტბებს იგი, ამას მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ ეს არის საქართველოსა და ქართველი ხალხის წინაშე მათი მხრიდან ჩადენილი საუკუნის დანაშაული.

*„არა მხოლოდ ეროვნული ინტერესების, არამედ ქართული ენის დაცვის საქმეში უდიდესი როლი არასოდეს საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესია, რომლის ღვთისმსახურება, როგორც წესი, ძველი ქართული ენით აღსრულებს. იგი ქართულ ენას აკავშირებს თავის პირველწყაროსთან, სიცოცხლეს აძლევს იმ ძარღვს, რომელიც ამთლიანებს ქართულ ცნობიერებას, ქართული ენისა და ქართველი ერის ისტორიას,“* — *სამართლიანად შენიშნავს* დ. მელიქიშვილი.



**მ. თამარაშვილის** სამართლიანი შენიშვნით: — *„თუ ქართველებმა, რომლებმაც საუკუნეთა მანძილზე სასტიკი, სისხლიანი პოლიტიკური ქარიშხლები და გაუთავებელი ომები გადაიტანეს, შეძლეს აქამდე შეენარჩუნებინათ ქვეყნის დამოუკიდებლობა და ხელშეუხებლად, სისრულით და პირვანდელი სიწმინდით ექადაგათ ქრისტიანული მრწამსი, თუ დღეს ისინი თავიანთ საკუთარ ენაზე მეტყველებენ, კაცობრიობის დიდ ოჯახში ისინი ითვლებიან ჯერ კიდევ ძლიერ ერად, ყველაფერი ეს მხოლოდ ქართული ეკლესიის დამსახურებაა“.*

როგორც აღვნიშნეთ, ეროვნული, შესაბამისად, სახელმწიფოებრივი ცნობიერების შენარჩუნებასა და მის დღემდე მოტანაში საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას უდიდესი წვლილი მიუძღვის. აქედან გამომდინარე, ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში მისი როლის დაკნინება-დაქვეითება, ეს ნიშნავს ქართული სულიერი კულტურის (რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და რომელმაც საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიოს ცივილიზაციის საგანძურში), ეროვნული ცნობიერების და, შესაბამისად, დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოწყობის დასამარებას.

სახელმწიფო მოწყობისა და მისი დამოუკიდებლობის შენარჩუნების საქმეში რამდენადაც განუზომელია ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მნიშვნელობა, იმდენად გარკვეული ძალები შეგნებულად და მიზანმიმართულად ცდილობენ (სასულიერო პირთა გადაბირება, დაშინება, დაშანტაჟება და ა. შ.) ეკლესიის შინაგანად დაშლა-დასუსტებასა და ხალხის თვალში მისი როლის დაკნინებას.

სიმართლე უნდა ითქვას, — დღეს ქართულ ეკლესიაში ერთსულოვნება არ სუფევს. ამის ნათელი მაგალითია 2011 წლის 11 ივლისს ჩატარებული სინოდის სხდომა, სადაც საქართველოს პარლამენტის მიერ სხვადასხვა რელიგიური კონფესიებისადმი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების შესახებ მიღებული კანონის სამართლიანობა თუ არასამართლიანობა განიხილებოდა. სინოდის წევრთა უმრავლესობამ (ოცი 17-ის წინააღმდეგ) ამ კანონის შესახებ ხელისუფლების გადაწყვეტილება დადებითად შეაფასა. თავისთავად, ეკლესიაში არსებული ამგვარი სიტუაცია ერზე, მის სულიერ სიმტკიცეზე, გარკვეულწილად, უარყოფით გავლენას ახდენს. სწორედ ამ პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას მეუფე **იობი** როცა აღნიშნა: *„ჩვენში ერი სულიერად აღზრდილი არაა, ეს სწორედ ჩვენი, სამღვდელოების, „დამსახურებაა“ — ჩვენ არასწორად ვზრდით მრევლს, არ ვაძლევთ მათ მაგალითს სულიერი ძალისას, რწმენას, რაც საჭიროა თითოეული თქვენთაგანისათვის... ჩვენ, ეკლესიამ და ღვთის მსახურებმა, ყოველნაირად უნდა ვიზრუნოთ, რომ საქმით, სიტყვით, სულიერებით, მაგალითის მიმცემნი ვიყოთ ჩვენი მრევლისათვის. აქ მრევლი არაა დამნაშავე, აქ დამნაშავენი ვართ ჩვენ — მოძღვრები! „მწყემსნი არიან პასუხისმგებელნი მრევლის ასეთ სულიერ მდგომარეობაზე. როცა ჩვენი ერის ეკლესიას ვეცნობით, ვგრძნობთ, ჩვენი წინაპრები ყოველთვის შეგვახსენებენ, რომ ჩვენ, სასულიერო პირები, უნდა ვიყოთ მაგალითის მიმცემნი ერისათვის, თუნდაც თავგანწირვის ფასად; დიახ, ჩვენ უნდა დავდოთ თავი ერისათვის მისთვის მნიშვნელოვან ჟამს და სწორედ ამის შემდეგ გამოფხიზლდება და გაერთიანდება ერი“.* მიუხედავად ზემოთქმულისა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ „სინოდი საერო ინსტიტუტი არ არის“. კანონი მასთან კონსულტაციისა და შეთანხმების გარეშე დაამტკიცეს და ეკლესია ფაქტის წინაშე დააყენეს.

ნათელია, რომ უცხოეთიდან მართული გარკვეული ძალები ჩვენი ქვეყნის სულიერ თუ ფიზიკურ ოკუპაციას ცდილობენ. სულიერი ოკუპაციის ერთ-ერთ ძირითად და მძლავრ ბერკეტს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის სრული დისკრედიტაცია წარმოადგენს.

2012 წელს არჩეული ახალი ხელისუფლება უფრო შორს წავიდა და წინა ხელისუფლების მიერ მიღებულ ანტისახელმწიფოებრივი კანონს 2014 წელს მიღებული „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (ე. წ. ანტიდისკრიმინაციული) კანონით დააგვირგვინა, სადაც ეროვნულობა, ეთნიკური კუთვნილება, სექსუალური ორიენტაციასა და გენდერულ იდენტურობასთანაა გათანაბრებული და ერთ ჭრილში განხილული.

ზემოთ მიღებული კანონებით გათამამებულმა სომხეთის ეკლესიის საქართველოში მოქმედმა ეპარქიის წინამძღოლმა 2014 წლის 10 დეკემბერს ოფიციალური წერილით მიმართა საქართველოს იმდროინდელ პრემიერ-მინისტრს და 442, ე.წ., სომხური ეკლესიისა და ნანგრევების გადაცემა მოითხოვა. ამ გამომწვევ ბრძოლაში სასულიერო და საერო ხელისუფალნი ერთსულოვანნი უნდა იყვნენ და მხარდამხარ უნდა იბრძოდნენ ქვეყნის დამოუკიდებლობის, ეროვნული მენტალიტეტისა და იერსახის შენარჩუნება-გაძლიერებისათვის.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ეროვნული სარწმუნოების (ჩვენს სინამდვილეში მართლმადიდებლობის) მნიშვნელობისა და ქვეყნის ცხოვრებაში მისი როლის იგნორირებით ადვილად ვიღებთ სხვათა ისტორიული გამოცდილებით უკვე დაწუნებულ მოდელებს. ამის შედეგად საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს ეროვნული თვითმყოფადობა, ეროვნული კულტურა და ეკონომიკა ნადგურდება. „ქვეყანა“ (ბანანების რესპუბლიკა) რომელიც დღიურად ცხოვრობს სხვისი ხელის შემყურე, რასაც მისთვის უცხოელი პატრონები გაიმეტებენ, განწირულია დასაღუპავად. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ცივილიზირებული ფორმით ერის (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქართველი ერის), შესაბამისად მისი ეროვნული სახელმწიფოებრიობის კვდომის ნელი, მაგრამ შეუქცევადი პროცესი.

ჩვენს ქვეყანაში უცხო რელიგიური კონფესიებისადმი და სექტებისადმი იურიდიული სტატუსის მინიჭების შესახებ მიღებული კანონი თავისი არსით არა მარტო საქართველოს მიმართ ანტისახელმწიფოებრივი (ანტიეროვნული), არამედ ანტიევროპულიცაა. ევროპული სამართლის მოთხოვნით კონკრეტულ ქვეყანაში ცალკეული რელიგიური გაერთიანების უფლება და მოვალეობა მათი ღვაწლის, დამსახურებისა და ამ ქვეყნის დღევანდელი სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისად განისაზღვრება. **ეუთოს რეკომენდაციებში ხაზგასმულია — კონკრეტულ ქვეყანაში რელიგიური ორგანიზაციები შეიძლება განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ იმიტომ, რომ მათი ისტორიული როლი ამ ქვეყნისა და ერის ცხოვრებაში განსხვავებულია. ევროკავშირში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით — ქვეყანაში არის ერთი დომინანტი ეკლესია და არის ასევე სხვა და სხვა ეკლესიები იმის და მიხედვით, თუ რა როლი უკავიათ მათ ქვეყნის უსაფრთხოების დაცვა-განმტკიცების საქმეში.**

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოში არსებული ყველა უცხო რელიგიური გაერთიანება და სექტა სხვა ქვეყანაში არსებული შესაბამისი ორგანიზაციებიდან იმართება და ფინანსდება. აქედან გამომდინარე, ქართულ მართლმადიდებლურ დომინანტ ეკლესიასთან უფლებრივი გათანაბრება კი არ უნდა მოხდეს, არამედ მათი მოქმედების მიმართულება და უფლებადაცვითი საზღვრები უნდა დარეგულირდეს საქართველოს ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთობლივი შეთანხმებით იმ უცხო ორგანიზაციასთან, რომლისგანაც იმართება ეს სექტა თუ გაერთიანება.

სადღეისოდ საქართველოში მოქმედ უცხოეთიდან მართულ კონფესიებსა თუ სექტებს, სამწუხაროდ, ფინანსური და ადამიანური რესურსების თვალსაზრისით, უფრო მეტი შესაძლებლობანი გააჩნიათ, ვიდრე ჩვენს დომინანტ დედა ეკლესიას. როდესაც ხელისუფლება ერთი ხელის მოსმით ყველა რელიგიურ დაწესებულებას კანონით ერთნაირ პირობებსა და უფლებებს ანიჭებს, ამით ქართულ სამოციქულო ეკლესიას დისკრიმინაციულ პირობებში აყენებს. აქედან გამომდინარე, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მთავრობა შეგნებულად, ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოსა და ეროვნული ეკლესიის შესუსტება-დაკნინების მიზნით, ლობირებას უკეთებს იმ უცხო ძალებს, რომლებსაც საკუთარი იდეოლოგიური, რელიგიური, ფინანსური, ანტიქართული პოლიტიკური ინტერესები გააჩნია ჩვენს ქვეყანაში.

*„მიუხედავად მეფის რუსეთის შემდეგ გაძლიერებული ზეწოლისა და მცდელობისა, დღემდე შეგვრჩა ტერიტორია, თუმცა, თანდათან, მას სხვა ელემენტები იჭერდნენ და ეხლაც იჭერენ. მალე გამოგვეცლება ხელიდან, თუ ყოველი ღონე არ ვიღონეთ მისი დაცვისათვის... შეგვრჩა ოჯახი ქართული ტრადიციებით, თუმცა მას უცხო ზნე და უცხო ელფერი დაეტყო... შეგვრჩა ჩვენი მიწა-წყალი და სიმდიდრე, ჩვენი მეურნეობაც არსებობს, თუმცა ჩვენსავე ქვეყანაში სხვები გვჯობნიან, სხვები სარგებლობენ ჩვენზედ მეტად ჩვენი სიმდიდრითა... შეგვრჩა ჩვენი სარწმუნოება. ... შეგვრჩა შეგნება ჩვენი ეროვნებისა, თავმოყვარეობა, თუმცა იგი სუსტია და ძლიერი კულტურული კოჰეზიაა საჭირო, ძლიერი სულიერი ერთობა, რომ საქართველომ მძლავრად იგრძნოს საკუთარი არსებობა“* — ბრძანებდა დიდი ი ლ ი ა.

*„ერთიანი მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და ახალი მსოფლიო წესრიგის მოწყობის“* ქართველ მსახურებს **მიხაკო წერეთელის** სიტყვებს შევახსენებთ: *„ერთი საზოგადოების შექმნა შეუძლებელია, რადგან მრავალფეროვნება კანონია ბუნებისა და სოციალურ ორგანიზმთა ცხოვრებაც მას ემორჩილება. მრავალფეროვნება არსებულ საზოგადოებათა და რასათა, აგრეთვე მრავალფეროვნება გარემოთა დედამიწის ზურგზედ შეუძლებელ-ჰყოფენ ერთად-ერთ საკაცობრიო საზოგადოებასა.... შეუძლებლობის გარდა ასეთი ერთობა არც სასურველია. იგი სიკვდილია ინდივიდუალურობისა, ორიგინალობისა. იგი მოსაწყენია და მკვლელი შემოქმედებისა“.*

საერთო ეროვნული ორიენტაცია და რელიგია, ეს ისეთი ფასეულობებია, რომელსაც შეუძლია ხელისუფალთა უარყოფით ქმედებებს ხელი შეუშალოს და მათ სწორი ორიენტაცია მისცეს. ამიტომაც მთელი აგრესიულობით იბრძვის ამ ღირებულებების წინააღმდეგ საქართველოში უცხოეთიდან უხვად დაფინანსებული სხვა და სხვა რელიგიური კონფესიები, სექტები თუ არასამთავრობო ორგანიზაციები — ინსტიტუტები (რომლებსაც, სამწუხაროდ, დიდი გავლენა აქვთ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებაზეც). მათი დამსახურებაა, რომ „მამა-მარჩენალი“ ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს ისე უყურებს და ისე ექცევა, როგორც საკუთარ კოლონიას. ამ პოზიციიდან გამომდინარე, ამერიკელები არ მოითმენენ საკუთარ კოლონიაში მართლმადიდებლობის გაძლიერებას. ვერც ერთ მართლმადიდებლურ ქვეყანაში ისინი ვერ დამკვიდრდნენ იმიტომ, რომ მართლმორწმუნე ხალხებისთვის მიუღებელია მათი ღირებულებები.

ქართული კულტურა ქრისტიანული კულტურაა. ამ კულტურასთან ერთიანობაში ხედავს ყოველი ქართველი თავისი ქვეყნის მშვიდობასა და სულიერების იდენტიფიკაციას. ერის სულიერ საყრდენად მისი მშობლიური კულტურა წარმოადგენს; ერი მისი კულტურით იცნობა. ერში თუ კულტურული მემკვიდრეობის გენეტიკური ხსოვნა ცოცხლობს, მისი ახალ უსახურ სახედ ჩამოყალიბება შეუძლებელია. ქართული თვითმყოფადი კულტურის მთავარი საყრდენი — **ტრადიციები, ენა და სარწმუნოებაა!** ამიტომ არის გლობალისტებისა და მათი ქართველი მსახურების მხრიდან ამ ფენომენებზე (სამეულზე) ასეთი გააფთრებული და აღვირახსნილი შეტევა.

ამ ბოლო დროს მოხდა საოცრება! ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის როლი და მნიშვნელობა ძალიან ობიექტურად შეაფასა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **გიორგი კვირიკაშვილმა.** ამა წლის 23 ივლისს, ყაზბეგის რაიონის სოფელ სნოში, სასტუმროს გახსნისას, მან, ყველას გასაგონად, ამაყად, საჯაროდ, განაცხადა: *„ჩვენი სახელმწიფოებრიობა, ჩვენი ეკლესია, ისეა გადაწნული ერთმანეთში, როგორც წმინდა ნინოს ჯვარი იყო შეკრული ნაწნავით. სწორედ ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ დღეს სახელმწიფო და ეკლესია არის დამოუკიდებელი, საქართველოში სეკულარიზმი, თავისი კლასიკური გაგებით, უადგილოა და, ვფიქრობთ, რომ ჩვენს ერში არსებობს მოდელი, რომელიც არის უნიკალური მსოფლიოში.“*

ყოველივე იმის შემდეგ, რაც ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ (თავი დავანებოთ საბჭოთა პერიოდს) გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე, ე.წ. დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლებებმა მოიმოქმედეს, პრემიერ-მინისტრის ეს განცხადება უკან მიდევნებული ლამპარი ხომ არ არის? ღმერთმა ქნას, რომ ეს ასე არ იყოს.

და თუ ეს ასე არ არის, ვფიქრობთ, ამ გზავნილის შემდეგ, საკმაო დაფიქრება მართებს ქვეყნის დღევანდელ ხელისუფლებას. ამასთან ერთად უნდა შეხედოს მეზობელი ქვეყნების (თუნდაც ირანის, აზერბაიჯანის, თურქეთის, სომხეთის და წინა აზიის სხვა ქვეყნების) მაგალითს, **გააუქმოს შევარდნაძისეული ავადსახსენებელი, ე.წ. კონკორდატი,** 2011 წელს ქართული ეკლესიის საზიანოდ მიღებული როგორც ანტიეროვნული, ასევე ანტიდისკრიმინაციული კანონები და ეკლესიის მხარდამხარ იზრუნოს ქვეყნის განვითარებასა და კეთილდღეობაზე.

საქართველო იმდენად სისხლხორცეულად არის დაკავშირებული დედა ეკლესიასთან და მართლმადიდებლობასთან, რომ ჩვენს უნიკალურ შემთხვევაში, სახელმწიფოსა და ეკლესიის ხელოვნურად დაშორება შეუძლებელია. **დღეს საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის სურვილია, რომ საქართველოში მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდეს!**

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ, საერთოდ, „მამული, ენა, სარწმუნოება,“ ეს სამი საკრალური სიტყვა, ერთიანობაში ქმნის სამშობლოს ფენომენს. ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფებისაგან განსხვავებით, ჩვენ, ქართველებს, სხვა სამარქაფო სამშობლო არ გაგვაჩნია, ამიტომ თვალის ჩინივით უნდა მოვუფრთხილდეთ მას. საერთოდ, „მამული, ენა, სარწმუნოება,“ ისტორიული ცნებებია და არა ყოფითი ჭეშმარიტება. ეს არის ის უმთავრესი საყრდენი, რომელსაც სახელმწიფო ძლიერება ეფუძნება. ამ სამი ინსტიტუტის მეშვეობით ქართველი ერი (და, საერთოდ, ყოველი ერი) საკუთარ ინდივიდუალურობას, ეროვნულ თვითმყოფადობასა და ეროვნულ თვითშეგნებას ინარჩუნებს. „მამული, ენა, სარწმუნოება“ — ეს ისეთი სასიცოცხლო ფენომენია, რომელიც ქართველმა ხალხმა საუკუნეების მანძილზე ფიზიკურ-სულიერი გადარჩენის ძირითად საყრდენად აირჩია. სიტუაციების ცვლილებებისას იგი ხშირად პირველ ადგილზე სარწმუნოებას წამოსწევდა, რადგან ერის კონსოლიდაციის საქმეში სარწმუნოება და, შესაბამისად, ეკლესია, უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, ვიდრე საერო ხელისუფლება, ვინაიდან სარწმუნოება წარმოადგენდა იმ ძირითად ხერხემალს, რომელზედაც ეროვნული ცნობიერება იყო დაშენებული.

ხელისუფლებების მიერ გატარებული რიგი ღონისძიებები (ტერიტორიების უცხოელებზე გასხვისების მცდელობა, ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის შეგნებულად იგნორირება, მოქალაქეთა საბუთებიდან ეროვნებისა და მამის სახელის გაქრობა, მართლმადიდებლური ეკლესიის მნიშვნელობისა და დამსახურების დაკნინება-დასუსტების მცდელობა და ა.შ.) პირდაპირ მიმართულია ქართველი ერის უნიფიკაციისაკენ, რასაც, თავის მხრივ, ავტომატურად მოჰყვება ეთნოციდი. ფაქტია, ზემოთ ჩამოთვლილი სამი უმნიშვნელოვანესი ღირებულებების (ენა, მამული სარწმუნოება) გარეშე სახელმწიფო სახელმწოფო არ არის. საქართველოს ხელისუფლებამ, ეკლესიამ და მოსახლეობამ ერთობლივად უნდა გაითავისოს, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნება, განვითარება და გაძლიერება არა სხვათა ბრმად მიმბაძველობით, ან გარედან უცხო ძალების მიერ თავსმოხვეული ბრძანება-მითითებებით, არამედ ეროვნულ ღირებულებებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს. დღევანდელ ვითარებას კარგად თუ შევხედავთ, დავინახავთ, რომ სწორედ ძირითადი ეროვნული ღირებულებების — მამულის გასხვისებით, ენის ანგლოფიცირებით (უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით — მოდერნიფიცირება-ამერიკანიზაციით), ქართული მართლმადიდებლური სარწმუნოების დაკნინება-დასუსტებით, ეროვნული თვითმყოფადობის იგნორირებით (ოღონდ ევროპელებად ჩაგვთვალონ), სულ მოკლე ხანში ქართველობა თავის ისტორიულ სამშობლოში — საქართველოში, ეთნიკურ უმცირესობად იქცევა. სახეზე გვაქვს არც მეტი, არც ნაკლები, თეთრი გენოციდის კლასიკური ფორმა, რომელსაც გარედან უცხო ძალების დაკვეთითა და უხვი ფულადი დაფინანდებით სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა შეგნებულად ახორციელებს. დროულად თუ არ განხორციელდა სათანადო ღონისძიებები, გარედან თავსმოხვეული ე. წ. „გლობალიზაციისა“ და „მსოფლიოს ახალი წესრიგის“ მესვეურთა ფინანსური და იდეოლოგიური ზეწოლის პირობებში, საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასა და ეროვნულ თვითმყოფადობას კატასტროფა ემუქრება.



## მადლობა თქვენ, ასპინძელებო !

პატივცემულო რედაქციავ,

თქვენი გაზეთის საშუალებით ახლახან შევიტყე, რომ ასპინძაში, იქ, სადაც დიდმა მეფემ და უბადლო მხედართმთავარმა, ერეკლე მეორემ 1770 წლის 20 აპრილს, მცირე რაზმით, უბრწყინვალესი გამარჯვება მოიპოვა მრავალრიცხოვან თურქ-ოსმალ-ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლაში, დაიდგა ამ ომის ამსახველი მემორიალური კომპლექსი. ეს დიდი საშვილიშვილო საქმეა და ამიტომ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა მინდა ვუთხრა ამ იდეის ორგანიზატორებს – ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებელს **ლევან ცაბაძეს** და მხარის გუბერნატორს **აკაკი მაჭუტაძეს.**

დღევანდელ ურთულეს პერიოდში ამ ძეგლის გახსნას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს – ახალგაზრდობაში მეტი პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება და სამშობლოს დამცველებად აღზრდა – ესაა ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი. ქვეყნის ეკონომიკასაც ეშველება, სოციალური მდგომარეობაც გაუმჯობესდება, მაგრამ თუ ახალგაზრდობაში ჩაკვდა პატრიოტული სულისკვეთება, მაშინ ქვეყნას მომავალი არ უწერია და სწორედ მსგავსი პროექტების განხორციელება დიდად შეუწყობს ხელს საქართველოს განვითარებასა და სიმტკიცეს, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესს.

კიდევ და კიდევ მადლობა თქვენ, რომ ასეთი ლამაზი კომპოზიციით დატვირთული ძეგლი აჩუქეთ საქართველოს.

და კიდევ – ასპინძაში, ბევრ ქართველ და უცხოელი ტურისტსა თუ ექსკურსანტს უხდება გავლა და ამ მონუმენტმა უნდა შეახსენოს ყველას, როგორი გმირული წარსულის მქონე ერი ვართ, რომელსაც პატივისცემა და მეტი დაფასება სჭირდება!

*პატივისცემით,*

***ბონდო არველაძე**, პროფესორი*

## მესხ მოღვაწეთა გაშიფრული ფსევდონიმები

ფსევდონიმი კაცობრიობის ისტორიაში ადამიანის ერთ-ერთი საინტერესო მიგნებაა. იგი მოიცავს და შესაბამისად წარმოშობს გარკვეულ ინტრიგას. ფსევდონიმი (Pseudonymos) ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და „მოგონილი სახელის მქონეს“ ნიშნავს. მას ადამიანი, ჯერ კიდევ, ჩვენს წელთაღიცხვამდე პერიოდში მიმართავდა. კაცობრიობის ისტორიაში თითქმის ოცდახუთსაუკუნოვანი გამოცდილება აქვს. ფსევდონიმს მწერლები, მხატვრები, მსახიობები და მუსიკოსები თვითონ იგონებდნენ ან სხვები უგონებდნენ., რათა საზოგადოებისათვის უცნობად დარჩენილიყო მათი ვინაობა გარკვეული მოსაზრების გამო. თითოეულ ფსევდონიმს თავისი ისტორია აქვს და სიმბოლური კავშირი მფლობელის ცხოვრებასთან.

ძველთაგანვე გავრცელებული იყო ლიტერატურული ნაწარმოებების ანონიმურად ან ფსევდონიმებით გამოქვეყნება, რის გამოც ნაშრომთა ავტორების ვინაობა მკითხველისათვის დიდხანს, ზოგჯერ, საერთოდ, უცნობი რჩებოდა.

საქართველოშიც ძველთაგანვე ადგილი ჰქონდა ფსევდონიმების გამოყენებას. განსაკუთრებით XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული პრესა გამოირჩევა ამ ინდივიდუალობით. სტატიების ავტორთა უმეტესობა ფსევდონიმით არის წარმოდგენილი, რაც, ძირითადად, არსებული პოლიტიკური მდგომარეობით იყო განპირობებული. ფსევდონიმები ასევე მრავლად არის წარმოდგენილი სხვადასხვა ავტორთა მონოგრაფიებშიც. ფსევდონიმით წარმოდგენილი საგაზეთო სტატია თუ ნაწარმოები მკითხველში ყოველთვის აღძრავს ინტერესს და სურვილს, გაარკვიოს, თუ ვინ დგას მის მიღმა.

ნახ. ნ.თამარაშვილისა



ფსევდონიმების გაშიფვრისადმი ინტერესი ჯერ კიდევ მოსწავლეობის პერიოდში გამიჩნდა, როდესაც ვსწავლობდი ქართველ მწერალთა შემოქმედებას და, შესაბამისად, ვეცნობოდი მათ ბიოგრაფიებს. შემდეგ კი ფსევდონიმების გაშიფვრა მუშაობის წესად მექცა. ამ მიმართულებით ინტერესი კიდევ უფრო მეტად მას შემდეგ გამიძლიერდა, როდესაც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ (N4 და N10, 2003 წ.) ფურცლებზე გამოქვეყნდა ივანე შენგელიას სტატია – „გაშიფრული ფსევდონიმები“. ავტორმა წარმოაჩინა ლეო შენგელიას – გასული საუკუნის დასაწყისში მოღვაწის, საარქივო მასალა (24 გვერდის მოცულობით) 1893-1920 წლების განმავლობაში ორმოცი დასახელების ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრეფილი ფსევდონიმები, დადგენილია 227 ავტორის 432 ფსევდონიმი.

სურვილმა – გამერკვია თუ ვინ იდგა ფსევდონიმების მიღმა, დიდი სამსახური გამიწია. შესაძლებლობა მომეცა, წლების მანძილზე, სხვადასხვა გზით, გამერკვია მრავალი ფსევდონიმი. მათ შორის ძირითადად მოიაზრებიან მესხი და მესხეთში მოღვაწე პირები, ასევე სხვა ქართველი საზოგადო მოღვაწენი. ამჯერად გვინდა მკითხველს შევთავაზოთ მესხ მოღვაწეთა მხოლოდ მცირე ნაწილის გაშიფრული ფსევდონიმები:

**ასლანიშვილი გაბრიელი (ასლანოვი) – „ბავრელი“.** ბათუმის ქართული კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი;

**ბეთანიშვილი მიხეილ – „ბეთანელი“.** ინჟინერი, მწერალი, პუბლიცისტი;

**ბეთანელი ბაგრატ – „ბ. ახალციხელი“,** „ბალდახინის სალდათი“;

**გვარამაძე ივანე – „ვინმე მესხი“,** „მ.ი.მ.გ.“ საზოგადო მოღვაწე, მესხი განმანათლებელი;

**გვარამაძე კონსტანტინე – „აპრაჭიჭა“,** „ძველი რევოლუციონერი“, „შხამიანი ისარი“, „მოკეთე“, „მესხი კ. გვარამაძე, „მ.კ.გ.“, „კ. გ-ძე“, „კუნაპეტი“, „მცირე მესხი“, „ქარცეცხლი“, „მკითხველი“. საზოგადო მოღვაწე, მესხი განმანათლებელი;

**გოგოლაძე გიორგი** – „გ. ჯავახელი“, „გ. გლეხიშვილი“. სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის მეცნიერთანამშრომელი;

**გოზალოვი (გოზალიშვილი) სტეფანე** – „კოჭ-ბროლაძე“, კათოლიკე მღვდელი;

**გურგენიძე პავლე – „პავლე გურგენბეგიშვილი,“** „მესხი პავლე გურგენბეგიშვილი,“ საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი;

**დიდიმამიშვილი ზაქარია – „ძველი ნაცნობი“,** „ქ.კ. მ-ლი“ – ქართველი კათოლიკე მრევლი, „ალი“, „აღმოსავლეთელი“, „ზარიფ-ბეი“, „მესხი კათოლიკე“, „ძველად მცხეთელი“, „არა მესხი“, „კოწია დიდიმამიშვილი“, „ახალციხელი“, „ნაღვლიანი მესხი“, „ქართველი კათოლიკე“. საზოგადო მოღვაწე, სოც.ფედერალისტი;

**ველიჯანაშვილი სტეფანე – „ველჯალათი“,** „ხიზაბავრელი“, „ჯავახმესხელი“, „ს. ველჯალაშვილი“. კონსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკეთა სავანეში აღზრდილი, საზოგადო მოღვაწე. სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანის აღზრდილი;

**ზედგინიძე ბაგრატ – „ბ. ახალციხელი“,** „ახლი ბ.“ საზოგადო მოღვაწე;

**თამარაშვილი მიხეილ – „მიქეილ თამარათი“.** ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე;

**კოპტონაშვილი ვასილ – „მწარე ჯავახი“, „მოხუცი ჯავახი“.** საზოგადო მოღვაწე, ფოლკლორისტი, პედაგოგი, მღვდელი;

**რაჭველი იასე – „მეხუზლა“.** კონსტანტინეპოლში მოღვაწე ქართველი მღვდელი.

**სალარიძე გიორგი – „ახალციხელი“, „ახა-ლი, გ.“,** საზოგადო მოღვაწე;

**ტატურაშვილი პავლე – „დალი“,** სახალხო გმირი ხიზაბავრიდან;

**ქაჩხოშვილი ანტონ – „ქაჩხონათი“,** კათოლიკე მღვდელი.

**ყალაიჯიშვილი (კალაიჯიშვილი) პავლე – „ჭკუისაწყლიშვილი“;**

**ხარისჭირაშვილი პეტრე – „მეორე მათე“** (ძველი გვარი სიმონიშვილი), სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის დამფუძნებელი;

**ხუციშვილი (ხუციანოვი) იოსებ – „მესხი გუტენბერგი“,** მღვდელი, სტამბის გამომგონებელი და მესხეთში პირველი სტამბის დამფუძნებელი;

**ხმალაძე გიორგი – „მესხი გოგია“,** „გოგია მესხი“, მხატვარი, მწიგნობარი, მთარგმნელი;

წლების მანძილზე განხორციელებული სამუშაოს შედეგად ჩვენ მიერ გაშიფრული იქნა ათობით ფსევდონიმი. ასევე დავადგინეთ მრავალი გვარის წარმომავლობა და მისი ძველი სახელწოდება. ყოველივე ამან შესაძლებლობა მოგვცა წაგვეკითხა ჩვენი ისტორიის უცნობი და საინტერესო ფურცლები.

***ნატო ყრუაშვილი***

## ექვთიმე დავლაშერიძე — მესხეთის უკანასკნელი აშუღი



ჩემი ახლო ნათესავი იყო ტოლოშელი აშუღ-მელექსე ექვთიმე დავლაშერიძე, რომელიც, ფაქტიურად, უკანასკნელ აშუღად ითვლებოდა სამცხე-ჯავახეთში. ადგილობრივ ხანდაზმულ ადამიანებს დღესაც კარგად ახსოვს აშუღ-ეთოდ წოდებული ეს დიდებული ადამიანი. როგორც ვიცით, მესხეთში მცხოვრები თითქმის ყველა ცნობილი აშუღი ქართული წარმომავლობისანები იყვნენ და, სამწუხაროდ, ყველა მათგანი თურქულ ენაზე წერდა და მღეროდა. აღნიშნულის თაობაზე არაერთი საინტერესო მასალა გამოქვეყნებულა გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთში„.

ექვთიმე დავლაშერიძე ითვლებოდა ცნობილი აშუღის ნიკო დავლაშერიძის შეგირდად, რომლისგანაც ბევრი რამ ისწავლა და ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად ითვლებოდა. იგი საზზე მღეროდა როგორც საკუთარ, ასევე მესხეთში ცნობილი აშუღების სიმღერებს. მან ძალიან ბევრი ლექსი, თქმულება, ლეგენდა, ანდაზა იცოდა, რაზეც მეტყველებს გასული საუკუნის 60-70-იან წლებში სოფელ ტოლოშის საშუალო სკოლის პედაგოგისა და პოეტის, ალექსანდრე მელიქიძის მიერ მისგან ჩაწერილი თურქულენოვანი ზღაპრები, ლექსები, თქმულებები და ა.შ.

როგორც ცნობილია, ადგილობრივი ბეგები და წარჩინებული მაჰმადიანი მესხები, ნიკო და ექვთიმე დავლაშერიძეებს ხშირად იწვევდნენ ქორწილებსა და სადღესასწაულო დღეებზე, დიდ თანხასაც უხდიდნენ და დაფასებულ აშუღებად ითვლებოდნენ.

მისი მონაყოლიდან კარგად დამამახსოვრდა ერთი ფაქტი: მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო. ნიალის ზონაში, ნასოფლარ ქარზამეთში, ტოლოშის კოლმეურნეობას 20 ჰექტრამდე სახნავ-სათესი ფართობი ჰქონდა და ექვთიმესაც ხშირად უხდებოდა, როგორც კოლმეურნეობის რიგით წევრს, სათიბში სიარული.

სოფელი ქარზამეთი მაშინ სასაზღვრო ზონის შიდა პარამეტრებში მდებარეობდა. თურქეთის საზღვრიდან მას ჰყოფს პატარა მდინარე. წყალგაღმა თურქული სოფელი თათალეთია. ერთ დღეს, როდესაც ტოლოშელები სამუშაოდ ავიდნენ, თურქებიც ჩამოსულან და თივას აგროვებდნენ. როგორც ვთქვი, მდინარე, დღესაც საზღვრად ითვლება თურქეთისა და საქართველოსათვის. იქაურმა ერთმა თურქმა სიმღერით დასცინა თურმე ტოლოშელებს. ტექსტი კარგად დაუმახსოვრებია ექვთიმე დავლაშერიძეს. მას არ ესიამოვნა და მაშინვე ექსპრომტად სიმღერითვე გასცა პასუხი. საზის მაგივრად, როგორც მაშინ მითხრა, ხელში ცელი ეჭირა და თურქულად დაუმღერა:

*გვინა თაი ოლმაზ ლამპა იშილი,*
*იალამაიან ყარნინ ტოიმაზ*
*ყაშული,*
*სიზა ვას ვერურ ეთო აშული.*

(ქართულად):

*მზეს ვერ გაუთანაბრდება*
*ლამპის სინათლე,*
*კოვზის ლოკვით ვერ*
*გაძღება მუცელი,*
*ამას ამბობს აშული ეთო.*

ამ ინციდენტის შემდეგ ექვთიმე დავლაშერიძე დაუბარებიათ ახალციხის სასაზღვრო ნაწილში და მკაცრი გაფრთხილება მიუცათ, რომ შემდგომში თურქეთის მიმართულებით თითიც აღარ გაეშვირა.

ექვთიმე დავლაშერიძემ არაერთი ორაზროვანი თურქულენოვანი გამონათქვამებიც დაგვიტოვა:

***ბილმანამ** – არაფერი ვიცი;*
***ბილ-მანამ** – იცოდე, მე ვარ;*
***თანმანამ**– ვერა ვცნობ;*
***თან მანამ** – მიცანი, მე ვარ;*
***ყანმანამ** – არაფერი გამეგება;*
***ყან-მანამ** – შეიგნე, მე ვარ;*
***ალმანამ** – არ ავიღებ;*
***ალ-მანამ** – აიღე, მე ვარ;*
***გვილმანამ** – არ მეცინება;*
***გვილ-მანამ** – იცინე, მე ვარ;*
***ვერნამან** – არ მივცემ;*
***ვერ-მანამ** – მიეცი, მე ვარ;*
და ა.შ.

ეს სიტყვები მხოლოდ სასვენი ნიშნების შემდეგ იძენენ სხვა მნიშვნელობას.

იმხანად თურქული გავლენა ძალიან დიდი იყო მესხეთის ქართველობაში. ქართულად, სამწუხაროდ, არ ლაპარაკობდნენ, განსაკუთრებით მამაკაცები. ქალებისთვის კი საოჯახო ენა ქართული იყო. ამიტომაცაა, რომ მაჰმადიანი ქართველები გამონათქვამებს, ლექსებს, თქმულებებს, ლეგენდებს, მათ ენაზე გამოთქვამდნენ.

როგორც ცნობილია, ხშირად იმართებოდა აშუღებს შორის შეჯიბრებები. წესად ჰქონდათ – დამარცხებულ აშუღს თავისი საზი გამარჯვებულისთვის უნდა გადაეცა. ვისაც ყველაზე მეტი საზი ჰქონდა, ის უფრო ცნობილ აშუღად მიიჩნეოდა მხარეში.

როგორც ვთქვი, ექვთიმე დავლაშერიძის მასწავლებელი აშუღი ნიკო იმდენად პოპულარული ყოფილა თავისი მჭერმეტყველებით, სასიამოვნო ხმით, საზის დაკვრით, რომ ყველგან მას იწვევდნენ და მასაც ყოველთვის თან დაჰყავდა თავისი მოწაფე ექვთიმე დავლაშერიძე – მესხეთის უკანასკნელი აშუღი.

ერთხელ, თურქეთის რომელიღაც სოფელში, ნიკო და ექვთიმე დავლაშერიძეები მიუწვევიათ, იქ ხუთი სხვა თურქი აშულიც ყოფილა. უმღერიათ მეჯლისზე. ნიკო თითქოს მასხრად აუგდიათ და დამამცირებელი რეპლიკებით შეუმკიათ. ამ დროს, როგორც ექვთიმე დავლაშერიძემ მიამბო, სიმღერით შაირი უთქვამს მისთვის:

*ო, ნადვირ ქი სუია გირსა*
*ისლანმაზ,*
*ო, ნადვირ ქი იერ ალთუნდა*
*ფასლანმაზ,*
*ო, ნადვირ ქი ათნი ქასსან*
*სას ვერმაზ.*

*(ქართულად):*

*ის რა არის, წყალში ჩავა*
*და არ დასველდება,*
*ის რა არის, მიწის ქვეშ*
*არ დალპება,*
*ის რა არის, ხორცი რომ*
*ააჭრა, ხმას არ გაგცემს?*

ნიკომ ზუსტად გასცა პასუხი:

*ო, გვინაშ დურ სუია გირსა*
*ისლანმაზ,*
*ყიბილ ალთუნ ერ ალთნდა*
*ფასლანმაზ,*
*ო, მავთადურ ათნი ქასსან*
*სას ვერმაზ.*

(ქართულად):

*ის მზის სხივია, წყალში ჩადის*
*და არ სველდება,*
*წითელი ოქრო მიწის ქვეშ*
*არ ლპება.*
*ის მკვდარია, ხორციც რომ*
*მოაჭრა, ხმას არ გაგცემს.*

რა თქმა უნდა, კმაყოფილები დარჩნენ ნიკოს პასუხით და შესთავაზეს სამაგიერო კითხვა სიმღერით მასაც ეთქვა. ამ დროს ნიკო ცოტა შეყოვნებულა, უთხოვია გარეთ გასვლა. მათაც, ნება მიუციათ.

ნიკო გარეთ გასულა, დაუნახავს ქალი ძროხას წველიდა და მუზაც მაშინვე მოსვლია. ამ სურათის შემხედვარე შესულა მეჯლისზე და დაუმღერია:

***ყანა იახლი, ყანა იახლი,***
***ყან ტუთარ, ყანა იახლი,***
***უჩ ბაშლი, ონ აიახლი.***

(ყანა იახლის ეძახიან მდედრობითი სქესის არსებას. ამ შემთხვევაში, ქალი, რომელიც ძროხას წველიდა, რძე შედარებული აქვს სისხლთან. სისხლს იჭერს ქალი).

მისი ქართული თარგმანია:

***დედაკაცი, დედაკაცი,***
***სისხლს დაიჭერს დედაკაცი,***
***სამი თავი, ათი ფეხი.***

ეს შაირი-გამოცანა ვერავინ ვერ ახსნა და იძულებულები გახდნენ საზები ნიკოსთვის გადაეცათ.

ამ და მრავალ საინტერესო ეპიზოდებს ყვებოდა თავისი მასწავლებლის შესახებ ექვთიმე დავლაშერიძე.

***ვალოდია დავლაშერიძე,***

*ასპინძა, სოფელი ტოლოში*

# ზნეობრივი შეგონებანი შოთას აფორიზმებით

შ.რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ქართული კულტურის ფასდაუდებელი განძია. იგი არის დიადი ჰიმნი წმინდა ადამიანური მისწრაფებების, გმირობა-ვაჟკაცობის, ჭეშმარიტი სიყვარულის, მეგობრობისა და კაცთმოყვარეობისა.

მრავალჭირგანცდილი ქართველი ერი საუკუნეთა განმავლობაში საზრდოობდა უკვდავი პოემის ამ საკაცობრიო იდეებით, სულიერად მაღლდებოდა, ჭირსა და ლხინში მის ნაჭედ სტრიქონებს მოიხმობდა და მათი დახმარებით შეიცნობდა ცხოვრების ავ-კარგს. ამ მხრივ, განსაკუთრებული ძალით, ახლაც შეიგრძნობა რუსთველის ბრძნული გამონათქვამები, აფორიზმები, რომლებიც ძვირფასი თვლებივით მიმობნეულან პოემის მთელ ტექსტში და ფორმის სინატიფით, ღრმააზროვნებით, ხიბლავს მკითხველს, ამდიდრებენ მის ცნობიერებას.

ამის შედეგია, რომ გენიალური მგოსნის შემოქმედება გახალხურდა, მისი მრავალი გამონათქვამი შეერწყა და შეეთვისა ხალხურ ფრაზეოლოგიას, სიტყვის მასალად და ანდაზებად იქცა.

დარბაისლურად მეტყველი ქართველი მშრომელი კაცის ლაპარაკში დღესაც ეს კარგად შეინიშნება, ხოლო მესხეთის რაიონებში, როგორც გადმოგვცემენ, – გართობა-წვეულებების დროს, საჯარო შეკრებებში, წესად ჰქონიათ პოემის ცალკეული ადგილების ზეპირად წარმოთქმა და აფორიზმებით გაბაასებაც კი. ამ წესის მიხედვით ჯერ ერთი რომელიმე ენამეტყველი პირი რაიმე ჭკუის სასწავლო ფრაზას იტყოდა და მოპასუხეს გამოიწვევდა. მოპასუხეც უმალ ჩნდებოდა, შესაბამის რუსთველურ აფორიზმს გაიხსენებდა და შეუწყობდა თქმულს.

ეს ტრადიცია ჩვენ თავისებურად გამოვიყენეთ: გამოვთქვით ცხოვრებით ნაკარნახევი სასარგებლო რჩევა-დარიგებანი და მათ ბოლოში მოვარგეთ რუსთაველისეული შესატყვისი აფორიზმები, როგორც მშვენიერი დასკვნითი ფორმულები.

ასეთი ხერხით, ვფიქრობთ, უფრო მკაფიოდ ისახება რუსთველის სიბრძნე. გზა ეძლევა უფრო მეტი პოპულარობისაკენ და, ამასთანავე, კონკრეტულად წარმოგვიდგება მისი პედაგოგიურ-ალმზრდელობითი ძალაც.

*

სადაც წახვიდე, იცოდე,
სიკეთისათვის იწვოდე,
სიკეთე ჩვენი მცველია,
გულის ნუგეში, მხსნელია,
დიდსულოვნების გვირგვინი,
მშვიდობის დასაყრდენია,
იგია მძლევი ბოროტის –
„არსება მისი გრძელია“.

*

მუდამ მართალი იყავი,
მოყვრისთვის გაურიყავი,
სიმართლე ნატვრის თვალია,
სულის სიწმინდის კვალია,
ერთგულ, ჭეშმარიტ მეგობრის
ღირსების გამომცდელია –
„ვინ მოყვარესა არ ეძებს,
იგი თავისა მტერია“.

*

გქონდეს ნათელი მიზანი,
წინსწრაფვის გეზი ის არი,
ცდის სრულქმნა ხშირად ძნელია,
გზად ორჭოხები ბნელია,
შენია ყველა მწვერვალი,
თუ ძალნი მოგიკრებია –
„არ იცი, ვარდი უეკლოდ
არავის მოუკრეფია“.

*

გიძლოდეს შუქი რწმენისა,
გჩვეოდეს ჩვევა თმენისა,
შენს გრძნობებს შენვე მართავდე,
კეთილშობილურ განზრახვით,
მღვრიე ვნებები დაოკდეს,
საღი გონების კარნახით,
თვითაღზრდით, გულმოდგინებით,
თავს დაეუფლე მძლე ნებით –
„თუ თავი შენი შენ გახლავს,
ღარიბად არ იხსენები“.

*

სიყვარულის უჭკნობ გრძნობას
ჭეშმარიტად უწმინდესსა
მოაქვს ლხენა, სათნოება,
ნეტარება – ვით ედემსა.
თაყვანი ეც ტრფობის საგანს,
კაცთა გულნი მისთვის ძგერენ,
„წაგიკითხავს, მოციქულნი
სიყვარულსა რარიგ წერენ...
სიყვარული აგვამაღლებს,
ვით ეჟვანნი ამას ჟღერენ“.

*

აილე ბასრი მახვილი,
არვისი გქონდეს რიდია,
ამხილე, დაგმე, განაგდე,
ორპირი, ქლესა, ფლიდია.
ვინ შეურიგდეს მლიქვნელსა,
ქვემძრომს და სიტყვა ჭიანსა –
„ვგმობ კაცსა აუგიანსა,
ცრუსა და ღალატიანსა“.

*

ნურც გინდა ამპარტავანი,
კაცი ცრუ, მაღლა მხდენია,
გაბღენძილი და უქნარა,
მომხვეჭი და თავხედია,
ყალბი დიდებით მოსილი,
რუმბზე რომ აკრავს ქონია –
„თუ ყვავი ვარდსა იშოვნის,
თავი ბულბული ჰგონია“.

*

მოწყალე გულის პატრონსა,
სხვისი არ შეგშურდებოდეს,
ჩაგრულთ მწეს, ვითა მნათობსა
სხივნი უხვადა გფენოდეს,
არ კრიჟანგობდე, ლაღობდე,
გესმას ცხოვრების დინების –
„უხვად გასცემდე, ზღვათაცა
შესდის და გაედინების“.

*

ნუ ემსგავსები კაცუნას,
ცხვირს იქით ვერას ხედავდეს,
კუჭი ექციოს ღმერთადა,
ვიწრო ნაჭუჭში ძვრებოდეს,
ვხედავდეთ საქვეყნოდ ქებულს,
არ დავარდნილსა, ქვეშელსა,
„სჯობს სახელისა მოხვეჭა
ყოველსა მოსახვეჭელსა“.

*

მომავლისათვის იზრუნე,
თაობებს მიეც გზა-კვალი,
ამრავლე შვილნი, ერს ჰქონდეს
შორის სვლის დიდი საგზალი.
ორ შვილს რას აქნევ, მშობელო,
სიხარულს იკლებ, ძნელია –
„რაღაა იგი სინათლე,
რასაცა ახლავს ბნელია“.

*

იყავი გულისხმიერი,
ღრმად გწამდეს ადამიანი,
შეუბრალებელ ქმედობით
არ მიაყენო ზიანი.
თანაგრძნობა და გულ-სითბო
კაცობის გზა და ხიდია –
„უგულო კაცი ვერ კაცობს,
კაცთაგან განაკიდია“.

*

თუ მოსწავლე ხარ, შეიცან
ზნემაღალ კაცის გონება,
მისი რჩევანი მეტია,
ვიდრე სიმდიდრე, ქონება;
მოძღვრის კვალი დაგტყობოდეს,
შენი ქცევა ძვირად ღირდეს,
„გონიერსა მწვრთნელი უყვარს,
უგუნურსა გულსა ჰგმირდეს“.

*

ცხოვრების აღმართ-დაღმართზე
თუ ჭირნი შემოგესია,
ნუ დაეცემი სულითა,
ეგეც საწუთროს წესია,
გმართებს ყოველს მძლავრად შეხვდე,
ვითარ შენის ნამდვილ გმირსა –
„ჭირსა შიგან გამაგრება
ისე უნდა ვით ქვიტკირსა“.

*

„ენას კბილი“, „პირს ლაგამი“, –
იტყვის ხალხი, ბრძენთაბრძენი
და გმობს ლაქლაქს, წესად გვიდგეს
მოვუნახოთ თქმულს საყრდენი.
შენც გაფრთხილდი და სხარტ სიტყვას
გადუხადე ყველგან ხარკი –
„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის,
შაირია ამად კარგი“.

*

ზოგჯერ შეგხვდება ყრუ კაცი,
სჭვრეტ უკულმართად მავალსა,
უზრდელია და უხეში,
ისვრის ბილწ სიტყვას მრავალსა,
გარედან მდიდრად მორთული
შფოთავს და არცა მშვიდდების,
„კოკასა შიგან რაცა დგას,
იგივე წარმოდინდების“.

*

დიდი ძალაა სიტყვისა,
თუ ტკბილად ჩამოქნილია,
ავი კაცსა კლავს, ტყვიაა,
არ ნუგეშია, ჭირია.
ტკბილი სიტყვა ჭირსა შიგან
წამალია უებარი –
„გველსა ხვრელით ამოიყვანს
ენა ტკბილად მოუბარი“.

*

როგორ იქცევი, განსაჯე,
გონებით, ფიქრით, აზრითა,
საკუთარ თავს ხომ არ იჭრი
შიშველ მახვილით ბასრითა?
თავს უფრთხილდი, კაცი ჭკუით
თვის ღირსებას თვით შეიგნებს –
„მტერი მტერსა ვერას ავნებს,
რომე კაცი თავსა ივნებს“.

*

ზოგი კაცია, შეატყობ,
შენთან ვარდივით შლილია,
სულ შენთან არის მოყვრულად,
როცა შვება და ლხინია,
მაგრამ ჭირში თუ ჩავარდი,
აღარა ჩანს კვალი მისი –
„ოდეს კაცსა დაეჭიროს
მაშინ უნდა ძმა და თვისი“.

*

ზოგჯერ მტერი შენიღმული
გიცინის და პირში გფერობს,
შენ გგონია, მოყვარეა,
ერთგულობს და არა მტერობს.
ბოლოს გაუგებ, შეგზარავს
მზაკვარი ზიზღის მგვრელია –
„მოყვარე, მტერი მოყვრისა
მტრისაგან უფრო მტერია“.

*

იცხოვრე ისე, არ გაგყვეს ვალი,
მუდამ ქვეყნისკენ გეჭიროს თვალი,
კეთილდღეობა ხალხის, ერისა,
გრძნობა სამშობლოს, მშვენიერისა,
შენს სულში ენთოს, ვითარც ხმოვანი
ცნება პირწმინდა და გულოვანი –
სჯობს სიცოცხლესა, თქმულა, ნაძრახსა,
სიკვდილი მარად სახელოვანი.

*

ბევრი მცოდნე ახალგაზრდა
გულს გინათებს ფაქიზ ენით,
ზოგი ბღალავს დედაენას,
ამახინჯებს ხელჩაქნევით.
მისგან თქმული ნაზავია
აბდაუბდის და ჩმახვისა –
„არ სასმენლისა მოსმენა
არს უმჟავესი წმახისა“.

*

ზოგი მშობელი დიდგულობს,
თავი მოაქვს „პედაგოგად“,
უკულმა ზრდის თავის ბავშვებს
საქმეს იხდის გულსახოკად,
ვის რად უნდა უკეთური,
უქნარა და ურჩი შვილი,
„ცემა გმართებს აღმზრდელისა,
რა ყმა ნახო ცუდად ზრდილი“.



*

არის შემთხვევა, გულს დარდი
მძიმედ რამ შემოგწოლია,
შეჭირვება გვაქვს პირადი,
გვერდით არა გყავ ტოლია,
მონახე მაშინ კაცი მწედ,
შენს სულს რომ მოუნდებოდეს –
„დიდი ლხინია ჭირთა თქმა,
თუ კაცსა მოუხდებოდეს“.

*

განაგდე კაცი მუხთალი,
ორპირობს და ჰყიდის სინდისს,
ყველგან არის, ყველგან მზაკვრობს,
ყველგან თავის სამკელს იმკის.
შენთან შენია, სხვასთან – სხვა,
გეფიცება, გიხსნის გულსა –
„სიცრუე და ორპირობა
ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“.

*

ადამიანთა სურვილი
ფართო, ზღვარდაუდებია,
სურვილთა სრულქმნით კაცს ბევრი
სიკეთე უკეთებია.
წადილს და ინსტიქტს კი ნუ სდევ,
გამთხვევს ავ საქმეთ წყებასა,
მაცდური არის, თუმც გვაძლევს
დროებით ნეტარებასა.
ბოროტს შობს, წადილთ მოთოკვა
გვმართებს, აგვაცდენს ვნებასა –
„რაც არა გწადდეს, იგი ჰქმენ,
ნუ სდევ წადილთა ნებასა“.

*

ჩვენს წინაა მომხვეჭველი,
არსით ცხრება მადა მისი,
სურს განცხრომა, ოქრო-ვერცხლი,
ფუფუნება მარადისი.
გაქნილია, სურს გამდიდრდეს
სიყალბით და ქრთამით, ტაცვით,
აღწევს კიდეც შავბნელ მიზნებს,
წამგლეჯია, არაკაცი.
მაგრამ ჩვენში ამგვარ ბრიყვებს
მალე ენგრევათ ჭერია –
„უმსგავსო საქმე ყოველი
მოკლეა, მით ოხერია“!

*

ჩვენს შორის ზოგჯერ ბოგინობს
კაცი ავყია, ვით ხინჯი,
ზურგს უკან ორმოს მომთხრელი,
შურიანი და მახინჯი.
ცილს გვწამებს, სტრიქონებს ჩმახავს,
კარგზე ავს ამბობს, სისინებს,
ბოროტი ენის პატრონი,
დადის, ჩივის და ჩიჩინებს,
უნდა დავგმოთ და მოვკვეთოთ,
დავუბრუნოთ შავ ჯურღმულსა –
„ავსა კაცსა ავი სიტყვა
ურჩევნია სულსა, გულსა“.

*

თუ კი სუფრა გაშლილია
ანგარებით, მრუდე ნუსხით,
ნუ ეძახით ქართულ სუფრას,
ცივია და სავსე სუსხით.
მას არ ახლავს ძველი ეშხი,
გატაცება, გზნება ასგზის,
ღრეობაა, ახშობს გრძნობას,
ნაღდი ფულის სუნი ასდის.
თუ სუფთაა, უნდა იყოს
გულწრფელი და მზიანური –
„ხამს სტუმარი სასურველი,
მასპინძელი მხიარული“.

*

ცხოვრება მუდამ მჩქეფარებს,
კარგს ავი ცვლის და ბნელს – შუქი,
ზოგჯერ დარია დარული,
ზოგჯერ ცა გხურავს შავ-მუქი.
იქნებ ხიფათიც გეწვიოს,
ან აგერიოს გზებია –
იმხნევე, არ დაიმჩნიო,
თუ სად რამ ცეცხლი გგზნებია,
გზად არ შედრკე, – „არას გარგებს,
უსარგებლო ცრემლთა დენა –
წესი არის მამაცისა
მოჭირვება, ჭირთა თმენა“.

*

სიამტკბილობა, თანხმობა
ყველგან როდია ნაქები,
ზოგან რღვეულან, არა აქვთ
ერთობა მტიცედ ნაგები,
გესლავენ, მტრობენ ურთიერთს,
ხვდები მზაკვართა ბუდეში,
სიმართლისათვის მებრძოლსა
არსაით გიჩანს ნუგეში,
იქ ყოფნა გიჭირს, ხსნას ელი,
როგორც მანანას ცისაგან –
„საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს
კარგისა მამაცისაგან“.

*

ვთქვათ, ღრენს კაცი უმეცარი,
გულს ასკდება გაბრაზებით,
ჰკარგავს თავს და ზომა-წონას,
ავსიტყვაობს შავ ფრაზებით,
თუ გსურს მისი დამშვიდება,
ნუ აჰყვები შენც მის ბოდვას,
გონიერი სიტყვა უთხარ,
გადაარჩენ ხიფათს, ცოდვას.
რას მოუტანს აღვირახსნილს,
შენი რისხვა, რას იქმს სარგოს? –
„საუბარმან უმეცარმან
შმაგი უფრო გააშმაგოს“.

*

რა სიამეა, ოდეს კაცს
ნატვრა რამ აღსრულებოდეს,
დიდი ხნის ტანჯვას და შრომას,
ჭირს უკან მოიტოვებდეს.
მიზნის წვდომა ცის გახსნაა,
სიხარულის ნათლის შოვნა...
„კაცსა მიხვდეს საწადელი,
რას ეძებდეს უნდა პოვნა,
მაშინ მისგან აღარა ხამს
გარდასულთა ჭირთა ხსოვნა“.

*

უნიჭო ლექსი ყოველი
ჭირთაგან უფრო ჭირია,
მისი საფასი ისე გვიჩნს,
როგორც ღობეში ჩხირია...
მთქმელი ბობოქრობს,
დაფდაფს სცემს,
თითქოს მძლე გმირთა გმირია,
მოითხოვს ხოტბას, დიდებას,
ჭირდება ტაში ხშირია...
და არ იცის უბადრუკმან
შოთას სიბრძნის აზრი სწორი,
მელექსემან არ თქვას სიტყვა –
„უმსგავსო და შორი-შორი,
მაგრა იტყვის: ჩემი სჯობსო,
უცილობდეს ვითა ჯორი“.

*

ადამიანთა სამყარო
ჭრელი და მრავალფერია,
ზოგს სათნოება ამშვენებს,
გული უძს ნათლის მფენია,
საქვეყნო საქმეს თავს სწირავს
სულმნათი, ლაღი, მგზნებარე,
სიბრძნის წყაროა, თავკაცი,
სამშობლოს ბედით მღელვარე, –
ზოგი მდაბალი, სულმოკლე,
გულღრძო, თავკერძა კაცია,
არად უჩნს სიკეთის თესლი,
მოყვასს არ უდგას მხარშია.
ყველგან შავგულობს,
მტრობას სთესს,
გესლს ანთხევს მიწით ზეცამდის –
„კაცი არ ყველა სწორია,
დიდი ძეს კაცით კაცამდის“.

*

ხამს გული ტკბილად გიძგერდეს,
სიყვარულს თესდე თესლადა,
ნურაფრის გშურდეს გაცემად
მიიღე მტკიცე წესადა.
გაუზიარე მოყვარეს
რაც ძვირფასია, სრულია,
სულიერ განძსაც მიმართე,
გაეც, რაც სიბრძნედ თქმულია.
არ იკარგება აროდეს,
რაც გულით დანერგულია –
„რასაცა გასცემ, შენია,
რაც არა – დაკარგულია“.

*

ოდეს ბრძოლის ასპარეზზე
მედგრად იბრძვის ორი ძალა,
მათგან ერთი ცრუდ იქადის,
კვეხნა მისი არ ღირს ჩალად.
მტყუანია, არ მოჰყვება
გული წრფელად, გზნება ხარჯად,
დამპყრობელი და უძღები
მოვლენილა ხალხთა ტანჯვად.
იმის თარეშს, ძალადობას,
არ ასცდება ბოლოს დასჯა,
დამარცხდება მართლის ძალით,
წაუხდება შრომა, გარჯა.
ან რა იცის, უბადრუკმან,
რომ ბოროტის სუსტობს ხმალი,
ხამს შეიგნოს, შეიმეცნოს
შოთას სიბრძნე, ვითა რვალი:
„კაცო, ძალსა ნუ იქადი,
ნუცა მოჰკვეს ვითა მთრვალი...
დიდთა ხეთა მოერევის,
მცირე დასწვავს ნაპერწკალი“.

*შეადგინა* ***ილია მაისურაძემ,***
*რუსთავი, 1981 წელი*
*საქართველოს ცენტრალური არქივი. ფონდი N69, ანაწერი 1, N12*




# „ისინდი“ – ახალი სალიტერატურო ჟურნალი

საქართველოში ქართველი კაცი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა ლიტერატურისადმი, ამიტომაც იყო რომ პოეტური ნიჭითაც გამორჩეულ ერად ითვლებოდა. მიუხედავად უკანასკნელ წლებში ლიტერატურისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულებისა, ამ მიმართებით ინტელექტუალური საზოგადოება არ წყვეტს უწინდელ დამოკიდებულებას და სისტემატურად იბრძვის იმისათვის, რომ ქართველ კაცს კვლავინდებურად დაუბრუნოს მისდამი ინტერესი და ახალ-ახალ ლიტერატურულ გამოცემებს თავაზობს ერთგულ მკითხველ საზოგადოებას.

ახლახან ლიტერატურულმა საზოგადოებამ კიდევ ერთი ახალი, შინაარსობრივად დატვირთული და განსაკუთრებით საინტერესო ლიტერატურული ჟურნალი „ისინდი“ მიიღო, რომლის გამომცემელ-რედაქტორი ცნობილი მწერალი და კრიტიკოსი **იკა ქადაგიძეა.** სარედაქციო საბჭოში შეყვანილია ცნობილი მწერლები, პოეტები და ლიტერატორები, რომელთა შემოქმედება დიდი ხანია შეიყვარა ქართველმა მკითხველმა.

ჟურნალის პირველ ნომერში მკითხველი გაეცნობა თავად **იკა ქადაგიძის, დავით არახამიას, სევერიან ნადირაძის, მარინა თექთუმანიძის, რუსუდან ჭანტურიშვილის, მანანა ჯალაღონიას, ლაშა გვასალიას, ლერი ალიმონაკის, გიო კილაძის, დავით არახამიას, მარსიანის, გიგი ხორნაულის, შალვა მჭედლიშვილის, ლევან ბებურიშვილის, დალი კახიანის, ნინო ბაქანიძის, გიორგი შიშნიაშვილის, რეზო ადამიას** პოეზიას, პროზას, პუბლიცისტიკას, თარგმანებს, ცნობილი მეცნიერის **ბონდო არველაძის** განსაკუთრებით აქტუალურ პრობლემურ თემაზე – ქართულ-სომხურ ეკლესიებზე ვრცელ გამოკვლევას და სხვ.

ჟურნალი „ისინდი“ კიდევ ერთი დიდი შენაძენია ქართული ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველისათვის.

*საკ. ინფორმაცია*

# საუკუნის გადასახედიდან

*ჯავახეთი (მესხეთი),* 10 მაისს. ჯავახეთი პატარა მაზრაა ახალ-ქალაქისა და სძევს მაღლობ და ტიტველა ადგილზედ. უმთავრესი სახსარი ჯავახების ცხოვრებისა ხვნა-თესვაა, რადგან სახნავი მიწები ბლომად აქვთ. პურმა და ქერმა აქ კარგი მოსავალი იცის, თუმცა მიწები ურწყავია; ამ ბოლოს წლებში-კი პურისა და ქერის მოსავალმა შესამჩნევად იკლო. ეს არის მიზეზი, რომ აქ ამ ჟამად ჭირნახული ძვირია: სომარი პური ოც-ოც-და-ერთ მანეთად იყიდება, ხოლო სომარი ქერი-14-15 მანეთად (სომარი აქაური თექვსმეტი კოდია, კოდი 50 გირვანქაა). ხვნა-თესვის გარდა ჯავახი შინაურ პირუტყვის მოშენებასაც ძალიან მისდევს, მეტადრე ცხვრისა და ძროხისა, რის გამოც ყველსა და ერბოს ბლომად ჰყიდის.

ჯავახეთში საზოგადოდ ვენახები არ არის, გარდა ორის სოფლისა, საროსა და ხიზაბავრისა, სადაც თუმცა არის ვენახები, მაგრამ ამ ვენახების ღვინო ძალიან მდარეა, რის გამოც ადგილობრივი ბაზრის თუნგი ამ ღვინისა ათ შაურად იყიდება. კიდევ კარგი, რომ ამ ღვინით ჯავახები იოლად მიდიან ქელეხებსა და წირვებში, თორემ, შენი მტერი, ამისთანა გაჭირვებულ დროს (როგორც ქელეხებსა და წირვებში) ცუდი საქმე მოუვიდოდათ. აბა, მაშინ სად შეძლებდნენ ღვინის ყიდვას ახალქალაქში, სადაც თუნგი ღვინო მანეთად-ექვს აბაზად იყიდება?! ზოგიერთ სოფლებში, როგორც მაგალითად, ჩუნჩხაში, ღოლაშენში (გოგაშენში. რედ.) და თოვში (თოკში. რედ.) ბაღებიც არის და ამ ბაღებში კარგი ბოსტნეული და გემრიელი ხილი მოდის.

ჯავახები შეშის მაგივრად წივას ხმარობენ სანვავად, რადგანაც ტყეები სრულიად არა აქვთ. წარმოიდგინეთ, რა წვალებაში უნდა იყვნენ საბრალონი, მეტადრე აქაურ ცივ და სუსხიან ზამთარში რა ძნელი ასატანი უნდა იყოს მათთვის წივის ცუდი სუნი! ჯავახეთის ზოგიერთ სოფლებში მდინარეებიც სრულიად არ არის. მართალია, ამ სოფლებს წყაროები აქვთ, მაგრამ წყაროები ჰამდის დაბლობ ხრამებში, ერთი-ორი ვერსის სიშორეზედ სოფლებიდგან, თუმცა ამ წყაროებიდან სოფლელები წყალს სახედრებით ზიდავენ, მაგრამ დიდ წვალებაში არიან, მეტადრე ზამთარში, როცა გზაზედ ყინულია. ხშირად ხდება, რომ სახედარს ფეხი უსხლტება ყინულზედ, იქცევა და იმაზედ გადაკიდებული კოკებიც სულერთიან იმტვრევა.

დავიჯერო, სოფლის ახლო, ვაკე ადგილებზედ, არ შეიძლებოდეს წყლის ამოყვანა?! მაგრამ ვინ არის ამ საქმის მოთავე და ყურის მგდებელი?!

ჯავახელი გლეხი სწავლა-ცოდნას ძალიან მისდევს. ეს არის მიზეზი, რომ ამ პატარა ახალქალაქის მაზრაში არსებობს თითხმეტამდინ პირველ დასაწყისი სასოფლო სკოლა, სადაც პატარა ჯავახები წერა-კითხვას სწავლობენ. ამ სკოლებში უფრო კარგად წავიდოდა სწავლის საქმე, რომ გლეხები შემოდგომაზედ (ენკენისთვესა და ღვინობისთვეში) და გაზაფხულზედ (აპრილისა და მაისში) თავიანთ შვილებს სწავლას არ აცდენდნენ. მაგრამ, ეჰ, მახლას! რა გაეწყობა? ეს ხომ საზოგადო ნაკლია სოფლის სკოლებისა!

მოხსენებულ სკოლებში სამი ქართული სკოლაა: ბარალეთის, ქილდასა და ჩუნჩხისა, დანარჩენები სომხებისა, თათრებისა და ფრანგებისაა. ჩუნჩხის სკოლაში, რომელიც აგერ მესამე წელიწადია მას აქეთ, რაც „ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭომ“ დააარსა, არავითარი ქართული საკითხავი წიგნები არ არის „დედა-ენის“, „ბუნების კარის“ და „რუსკოე სლოვას“ გარდა. კარგი იქნება, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ქართული საკითხავი წიგნების კითხვით დააინტერესონ პატარა მოსწავლე მესხები. გარდა სწავლა-ცოდნის შეძენისა, გადაეჩვევიან თათრულ სიტყვების ხმარებას, რომელიც მათში ხშირია. გარდა ამისა, მასწავლებელი წაუკითხავს კვირა-უქმით ღვეზებსაც ამ წიგნებს. ჯავახებს ძალიან უყვართ წიგნების წაკითხვის მოსმენა, რის გამოც ხშირად უთხოვნიათ მასწავლებლისათვის რაიმე კარგი წიგნის წაკითხვა.



ჯავახეთში არ იციან ქელეხების და წირვების დროს ის დიდი ხარჯები, რომელსაც ჩვენ კურთხეულ ქართლში და მეტადრე ოსებში ძალიან აქვს ფესვები გადგმული და ხალხსა ჰღუპავს. ქელეხებსა და წირვებში მიწვეულნი ჯავახნი სასმელს ბევრს არ სმენ: ერთ-ორ ჭიქა ღვინოს ან არაყს დალევენ, მერე ადგებიან და შინ წავლენ. ქართლში და ოსებ-ში კი ამ დროს სულ სხვას ვხედავთ: ქართლელი გლეხი და ოსი ქელეხსა და წირვაში, მინამ კარგად არ დალევს და არ დაითრობა, შინ არ წავა. ჯავახეთის ზოგიერთ სოფელში ტაბლებიც არ იციან. მიცვალებულის დასამარხავად საფლავს მეზობლები უსასყიდლოდ სჭრიან.

ჯავახელი ქართველი მხდალი(?) გულ-კეთილი, ლაპარაკში თავაზიანი და დარბაისელია. ტყუილად არ არის ჯავახზედ ნათქვამი: „პირველ თქმულია ძველთაგან სიდარბაისლე მესხისაო“.

ქართულ ლაპარაკში ჯავახი ბევრს თათრულ სიტყვებს ჰხმარობს, როგორც მაგალითებრ, ყარდაშ (ძმა), ბაჯანაღი (ქვისლი), ბალდუზი (ცოლის და), ყაინი (ცოლის ძმა), თორუში (შვილის შვილი) და სხვა. ესეც კი უნდა მოგახსენოთ, რომ ჯავახი ხმარობს ბევრს იმისთანა სიტყვებს, რომლებსაც ქართლ-კახეთში კაცი იშვიათად გაიგონებს. ჯავახის ლაპარაკში გესმით შემდეგი სიტყვები – ფეხშუმი (რგვალი ხის სტოლი, რაზედაც ჯავახნი პურსა სჭამენ), სანიჭარი (შესაწევარი ფულია ქორწილის დროს), ხელ-მანდილი (ხელსახოცია), ყადრი მოუვიდა (ცუდი საქმე დაემართა), გონჯი (ცუდი) და სხვ.

ჯავახი ჩაცმა-დახურვით იმით განირჩევა ქართლელისაგან, რომ ზოგ მათგანს მოკლე ჩოხა აცვია და თავზედ დიდი ბოხოხა ბუხრის ქუდი ჰხურავს. აქ ეს კიდევ არაფერი, მაგრამ ახალციხის მხარის ქართველ გლეხებს რომ შეჰხედოთ, ჰნახავთ, რომ ბევრს მათგანს თათრული სახურები ჰხურავთ თავზედ. სარჩხინი ქართველი თათარი გეგონებათ. მხოლოდ მაშინ მიჰხვდებით, რომ ის ქართველია, როცა ქართულ ლაპარაკს დაიწყებს.

ჯავახელს ქალებს კაბის წინ ლურჯი ფუშტანლუები (ფარტუკები) აქვთ აფარებული; მკლავებს ყოლბაღებით-ვერცხლის აბაზიანითა და სამშაურიანებით იმშვენებენ, შუბლს ფიფინურებით; წელზედ იაფ ფასიანი ქამრები არტყიათ. კვირა უქმით ფეხზედ ბათინკები და ახალციხური წუღები აცვიათ; სადა დღეში, მუშაობის დროს-კი ქალამნებს იცმენენ, როგორც ოსის ქალები. თავს იშვიათად იხურავენ, მაგრამ ქალი რომ გათხოვდება, ჯვრის წერის დროს და ქორწილში უეჭველად თავდახურული უნდა იყოს.

ქურდობა, კაცის-კვლა და სახლების დაწვა აქ ისრე არ არის გავრცელებული, როგორც ჩვენ საქართველოს სხვა მხარეებში. თუ მოხდება ასეთი საქმეები, ისიც იშვიათად თათრებსა და სომხებში. ქართველებში კი ძალიან ძნელად.

ზ. ოქრუაშვილი

გაზ. „ივერია“ N108, 1894 წელი

# ზეკარობა



12 აგვისტოს, ზეკარის უღელტეხილზე, ადიგენისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის მეგობრობის ნიშნად საერთო სახალხო დღესასწაული – „ზეკარობა„ გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებელი **ზაქარია ენილაძე**, სამცხე-ჯავახეთის ვიცე-გუბერნატორი **გიორგი მიქელაძე**, ახალციხისა და ადიგენის მაჟორიტარი დეპუტატი **გიორგი კოპაძე**, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი, მეუფე **თეოდორე**, ასევე – იმერეთის გუბერნატორი **გივი ჭიჭინაძე**, ბაღდათის გამგებლის მ/შ **არჩილ გოგსაძე**, ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტი მეუფე **ანტონი** და სხვა საერო და სასულიერო პირები. რომლებმაც მობრძანებულ სტუმრებს ,,ზეკარობა„ მიულოცეს და ისაუბრეს ღონისძიების მნიშვნელობაზე.

მოწვეულ სტუმრებს ორივე მუნიციპალიტეტის მხრიდან სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ, ღონისძიების ფარგლებში მოეწყო დოღი, გაიმართა ხალხური რეწვის ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.

დამსწრე საზოგადოებას საშუალება ჰქონდა დაეგემოვნებინათ ორივე კუთხისათვის დამახასიათებელი კერძები. დასასრულს გაიმართა საზეიმო კონცერტი, რომელმაც გვიან საღამომდე გასტანა და მასში მონაწილეობა მიიღეს იმერეთისა და სამცხე-ჯავახეთის მხარის თვითმოქმედმა კოლექტივებმა და ფოლკლორულმა ანსამბლებმა.

ეთერ ლოზჟანიძე,

*ადიგენი*

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcook: ლიტერატურული მესხეთი

ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე
ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.meskheti@gmail.com
lit_meskheti@yahoo.com